ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

1870

თებერვალი.

წელიწადი მეორე.

ტფილისი.
«მნათობის» რედაქციის სტამბაში.
1870.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წოდება თხზულებათა:

1) ბავშვების მოვლა, (თხზულ. კომ-ბისა) თარგმნილი. . . . . . . . ვას. მაჩაბლისაგან.

2) ცრუ-მენტელობა დროს გატარებისათვის . . . . . . . . . . . . . ინგილო ჯანაშვილისა.

3) ნაბერწკალი (ლექსი). . . . . . . ზურაბ მოენიძისა.

4) სოფლის ყრილობა და მისი გასამართლება (სურათი). . . . . . . . . სვ. მგალობლისა

5) . . . . სიმღერა (ლექსი). . . . . * * *—სა.

6) პასუხი მაცდურს (ლექსი). . . . . თ. აკაკი წერეთლისა.

7) წერილი რედაქტორთან (მეორე). ა. გუხელისა.

8) «დროების» ბიბლიოგრაფიის შესა-საფერი ბიბლიოგრაფია . . . . . . N

9) ლამანჩელი აზნაური დონ-კისოტი, *) (თხზულება სერვანტესისა) თარგმნილი. ნ. ავალიშვილისაგან.

---

*) პირველი ოცდა შვიდი თავი «ლამანჩელი აზნაური დონ კისოტისა» დაბეჭდილია 1869 წლის «მნათობის» წიგნებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

1870

---

თებერვალი.

---

ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
***—სა.

არც კაცი კარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
თუის სოფელში დ~ სოფელს კი არარა
არგოს...

ნ. ბარათაშვილი.

თბილისი.
«მნათობის» რედაქციის სტამბაში.
1870.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რედაქციის განცხადება.

წარსული 1869 წლის «მნათობის» ხელის მომწერთ, რომელთაც ჯერ არ შემოუტანიათ იმ წლის «მნათობის» ხვედრი ფული, რედაქცია უმორჩილესად სთხოვს რაც შეიძლება მალე შემოიტანონ, რადგან ამ ფულის ამდენს ხანს დაგვიანებისაგან რედაქციას მოსდის დაბრკოლება თავის საქმის წარმოებაში.

---

ამ 1870 წლის ხელის-მომწერთ უმორჩილესად სთხოვს რედაქცია, ვისაც არ შემოუტანია ამ წლის «მნათობის» ხვედრი ფული — შემოიტანონ, რაც შეიძლება მალე.

---

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Февраля 1870 г.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავი 4.

### ბავშვების სიმრთელე დამოკიდებულია აგებულების კანონების აღსრულებაზედ.

ამ თავში მე მსურს მკითხველს გაცნობო ბავშვების აგებულებაზედ და იმ შემთხვევებზედ, რომელთაც აქვსთ უმთავრესი მოქმედება ყმაწვილების სიმრთელეზედ. ამას გარდა ვეცდები, რომ არ დამრჩეს არც ერთი საჭირო ჭეშმარიტება, რომელიც ბავშვის სიმრთელეს შეეხება. და თუ ეს აზრი კარგად შევასრულე, მაშინ იმედია, რომ ეს ცნობა ყმაწვილ და გამოუცდელ დედებსაც დიდ სარგებლობას მოუტანს.

მესამე თავში მე მკითხველს ვუჩვენებ, რომ ბავშვების სიმრთელე და სიცოცხლე ყველაზედ მეტად დამოკიდებულია იმათ მოვლაზედ და იმ შემთხვევებზედ, რომელშიაც ისინი არიან, ესე იგი, თუ ბავშვს კაი მოვლა აქვს და კარგ შემთხვევებშიაც არის, მაშინ ბავშვის სიმრთელეც კარგ მდგომარეობაშია და თუ ცუდი მოვლა და შემთხვევები მოჰყვება, მაშინ იმის სიმრთელეც საეჭვო იქნება.

თუ ეს ჭეშმარიტება კაცმა კარგად შეითვისა, ცხადია, რომ ამას ცხოვრებაშიაც დიდად გამოიყენებს; აი რისათვის ვცდილობ, რომ მკითხველმა ღრმად ჩაინერგოს გონებაში ეს ჭეშმარიტება. ამ ჭეშმარიტების ცნობა არის იმის მიზეზი, რომ თან-და-თან ბავშვების სიკვდილი მცირდება. ეს ცოდნა გვასწავლის ყოველ-და ყოველ მოვიშველიოთ ღონის-ძიებანი; ამასთანავე იმედს გვაძლევს და გვარწმუნებს, რომ ბავშვების სნეულება

და იმათი სიკვდილი თან-და-თან უფრო-და-უფრო შემცირდებათ, თუ რომ აგებულების კანონების აღსრულებას ხელს მიჰყოფითო. ამ უკანასკნელ წლებში ევროპაში ბავშვების მოვლას ყურადღება მიაქციეს და კარგად წინ წაიწიეს, მაგრამ სისრულემდის ჯერ კიდევ ბევრი უკლია. აქამდის ბავშვების აგებულებას და ამ აგებულების მუშაობას მალიან ცოტათი უგდებდნენ ყურს და ამისთვის ბავშვების მოვლაც კარგი ვერ იყო. ჩვენი იმედი ახლა იმაზედა გვაქვს, როდესაც ფიზიოლოგიის საფუძვლების სწავლას დაუწყებენ ყველა პირველ-დაწყებითი სკოლებში და როდესაც ეს ფიზიოლოგიის საფუძვლები შეიქნებიან მშობლებისათვის და ძიძებისათვის ხელთ-მძღვანელად ბავშვების მოვლაში.

ჩვენ ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ სნეულება და უდროოდ სიკვდილი უმიზეზოდ, ბედის-წერისაგან კაცს არ ემართება. ეს კაცს მაშინ ემართება, როდესაც ის გარდავა იმ პირობებს, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი სხეულის სხვა-და-სხვა ორგანოების წესიერი მუშაობა; ამის გამო ამ პირობებს ეძახიან საორგანო კანონებს. როდესაც ამ კანონებს აღსრულებენ, მაშინ სიმრთელეც კარგ მდგომარეობაშია; და თუ იმათ აღსრულებას არ დასდევენ და თაკილობენ ანუ გარდავლენ, მაშინ რომელიმე ორგანოს მუშაობაც ცუდად წავა ანუ მოიშლება, ე. ი. კაცს სნეულება დაემართება. აი, მაგალითად, თუ ნამეტანი საჭმელ-სასმელისაგან კაცი საჭმელს კარგად ვერ ინელებს, მაშინ ამ შემთხვევაში სიმრთელის მოშლილობა იმისაგან წარმოსდგება, რომ ის კაცი არ აღასრულებს იმ კანონს, რომელიც გვეუბნება: რომ კარგად საჭმელს კაცი მაშინ მოინელებს, როდესაც საჭმლის და სასმლის ზომიერება და იმის თვისება შეეფერის აგებულების მდგომარეობას და საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობასაო. მეორე მაგალითი: თუ კაცს მეტის-მეტი კაშკაში სინათლით თვალები დაუწითლდა და ანთება მოუვიდა, ამ შემთხვევაში სიმრთელის მოშლილობა იმისაგან წარმოსდგება, რომ კაცი გარდავიდა იმ კანონს, რომელიც მოითხოვს, რომ

სინათლე, რომელიც თვალს მისდის, უნდა შეჱფეროდეს თვალის შე-ქნილებასა, თორემ თვალების სნეულებს დაემართებათ. თუ თვალს არ მოვაშორეთ ის მიზეზი, რომლისგამო ის მოიშალა, მაშინ ყოველი ჩვენი მეცადინეობა თვალის მოსარჩენად ფუჭად ჩაივლის. და თუ პირველადვე თვალს იმის მოშლილობის მიზეზი მოვაშორეთ, ქნე იგი, ისეთ მდგომარეობაში მოვიყვანეთ, რომ სინათლე შეჱფეროდეს იმის გამოცვლილ მდგომარეობას, მაშინ ჩვენ ავასრულებთ იმ კანონს, რომელიც მოითხოვს, რომ სინათლე უნდა შეჱფეროდეს თვალის მდგომარეობას და ამის გამო თვალიც მორჩება. ესევე ითქმის საჭმლის მოუნელებლობაზედაც: რაც უნდა წამალი ვიხმაროთ კუჭის მოუნელებლობის დროს, ვერას ვუშველით, თუ ამ დროს არ ვასრულებთ იმ პირობებს, რომელნიც კუჭის კანონიერი მუშაობისათვის საჭირო არიან, ე. ი. თუ არ ვეცდებით, რომ ჩვენი საჭმელ-სასმელი და ცხოვრება შეჱფეროდეს საჭმლის მომნელებელ ორგანოს მოშლილ მდგომარეობასა.

აქედგან ცხადად სჩანს, რომ ჯერ თავ-და-პირველად უნდა გამოვიძიოთ და შევიტყოთ, თუ რა არის მიზეზი სიმრთელის მოშლილობისა და რომელ ორგანოზედ უფრო მოჱქმედებს ეს მიზეზი. აი, მაგალითად: ბავშვებს ხშირად ემართებათ ფილენჯის ქარი, რომელიც ხან-და-ხან ძალიან საშიშოა ხოლმე; თუ ამ სნეულების მოსარჩენად ვიხმარეთ ღონისძიება და არ გამოვიძიეთ რა მიზეზისაგან წარმოსდგება ეს ფილენჯის ქარი, მაშინ ადვილად შეიძლება, რომ ყოველმა ჩვენმა ღონისძიებამ ამაოდ ჩაიაროს, რადგან ის მიზეზი, რომელმაც დაჱბადა ეს სნეულება, განაგრძობს თავის მოქმედებასა; და თუ ჩვენ თავ-და-პირველადვე შევიტყეთ, რისგან წარმოსდგება ეს ფილენჯის ქარი, მაშინ ადვილად შევიძლებთ იმ მიზეზის მოშორებას და სნეულების მორჩენას. ეს სნეულება ემართებათ ბავშვებს წამხდარი ჰაერის გამო, ანუ ღრძილების დასხიებისაგან კბილების ამოჭრის დროს და ანუ კიდევ საჭმლის უთანაწორობისაგან. ამ შემთხვევაში ყველა ჩვენი ღონის-ძიება უსარგებლო

ქრება, თუ ამ სნეულების მიზეზს არ მოვსპობთ, ე. ი. [illegible] ჭაერს არ გამოუცვლელით, ღრმილებს არ დაუცხრობთ, [illegible] მოუცვლელით. მაშასადამე ბავშვების მოვლას მაშინ გავაუმჯობესებთ, როდესაც შევიტყობთ და ავასრულებთ იმ პირობებს, რომლებზედაც დამოკიდებული არიან აგებულების და იმის ორგანოების კანონიერი მუშაობისა.

ეს ჭეშმარიტება ჩვენ რომ კარგად შევითვისოთ და ყოველთვის ხელმძღვანელად გვქონიოთ, მაშინ ამით ორ დიდ სარგებლობას შევიძენთ: ერთი სარგებლობა ის იქნება, რომ როდესაც სნეულებას ვნახავთ რასმე, მაშინ ჩვენ დიდის გულმოდგინებით ვეცდებით ვიპოვნოთ ამის მიზეზი, მოვიშოროთ ის თავიდგან და მომავალ დროისათვისაც იმის მოქმედება სრულებით მოვსპოთ. მეორე სარგებლობა კი ის იქნება, რომ ჩვენ მაშინ დიდ ყურადღებას მოვაქცევთ სხვა და სხვა შემთხვევებს, რომელთაც აქვსთ სიმრთელეზედ მოქმედება და ამით დროზედ შევიტყობთ ჩვენ შეცდომებს, რომელთაც უმისოდ მაჯიებე-ლობას შევძლოთ.

ამ ჩვენ წარმოთქმულ კანონზედ, შესახებ სნეულებისა, მოგვყავბენ ხოლმე, რომ სნეულება იქიდგან კი არ წარმოსდგება, რომ გარდავალთ ანუ არ ავასრულებთ ბუნებით კანონებსა, არამედ თითონ ღვთის განგება მოუვლენს ავათმყოფს სნეულებასაო. მაგრამ აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ამ გვარ აზრის მქონებელს თითონ ღვთის განგებულება მოკლედ ესმის და ვერა ჰხედავს, რომ ყოველ დღის გამოცდილება და კაცის მთელი ცხოვრება ეწინააღმდეგება იმის წარმოთქმულ აზრს. ყოველი გონიერი კაცი ჰგრძნობს, რომ იმის სიმრთელე პირდაპირ დამოკიდებულია იმის ცხოვრებაზედ და შეურყეველ კანონებზედ; ისეთი ცოცხალი არსება არ იპოვება დედამიწის ზურგზედ, რომელიც, თუ არ გაგებით, ინსტინქტით მაინც არ ჰგრძნობდეს ამ ჭეშმარიტებას. (*)

(*) და მართლათაც, მკითხველი რომ კარგად ჩააფიქრდეს ამ კომ-

ჩვენ ისეთს გვარს წარმოვიდგენთ, რომ ღვთის განგებულებისა-გან არა იყოს დაარსებული. მაშასადამე სიმრთელის კანონებიც დამოკიდებული ღვთის განგებულებისაგან არის დაწესებული, რომ კაცმა თავის სიმრთელის დაუცველად ისინი აასრულოს. აქედგან სჩანს, რომ თუ ამ კანონებს ჩვენ გარდავალთ, მაშინ ჩვენ ვეწინააღმდეგებით ღვთის განგებულებე-

---

ბის სიტყვაზედ, უეჭველია დარწმუნდება ამ ჭეშმარიტებაზედ. მე მო-ვიყვან მაგალითს: კაცი მხოლოდ იმ შემთხვევებს უფთხილდება, რო-მელნიცაც ნამდვილად იცის, რომ მავნებელობას დაემართების. მაგალი-თად, ყოველი კაცი ცდილობს, რომ ძილის დროს თბილად დაიხუ-როს, რომ არ გაცივდეს; ან კიდევ—კაცს როცა წყალი გასავლელი აქვს, ის ეძებს და უფთხილდება, რომ გასავალი ფონი კარგი იყოს და კიდევ ბევრ ამ გვარ შემთხვევებში ის ფთხილობს, რადგან ნამდვილად იცის, რომ, თუ ამ გვარი გაფთხილება არ მიიღო, დაემართება რამე. მაგალი-თად, თუ ძილის დროს თბილად არ დაიხუროს, შეიძლება გაცივდეს და ავად გახდეს: რასაკვირველია, ეს იმის ავად მყოფობა იმის ბრალი იქ-ნება და არა ღვთის განგებულებისაგან მოვლინებული. ეხლა თითქმის კა-ცის წყალში დახრჩობაზედაც, თუ ის არ გაუფთხილდა და ფონი კარ-გი არ იპოვნა. რომელსაც კაცი გაციების გამო ავად ხდება, თითქმის ყოველთვის იცის, რომ იმის ავათმყოფობის მიზეზი იყო გაციება, და ღვთის განგებულებას ის არ აბრალებს; მაგრამ რომელსაც აგებუ-ლების სხვა და სხვა მოშლილობით კაცი ავად ხდება, მაშინ, რადგან იმან არ იცის სიმრთელის კანონები და ისიც, თუ ამ კანონების გარდასვლას რა შედეგი მოხდება, იმას ეს სნეულება ღვთის განგებულებისაგან მო-ვლინებული ჰგონია,—ის კი არა, თუ ეს სნეულება თითონვე იმის ბრალია. იმან ისე დარწმუნებით რომ იცოდეს სხვა სნეულების მიზეზებიც, როგორც ის იცის, რომ თუ გავცივდით ავად გავხდებით, მაშინ, უეჭ-

ბას *); მაშასადამე ყოველი კაცი უნდა ცდილობდეს, რომ ის [illegible] კარგად გაიგოს და დაიცვას, როგორც თითონ ღვთის [illegible]-გან დაწესებულნი. ყოველ სნეულებას თავის მიზეზი აქვს, რომელიც კარგის და ფრთხილის გამოძიებით შეიძლება კაცმა შეიგნოს; ამისათვის ერთი ჩვენი დიდი მოვალეობა ის არის, რომ ბავშვის აგებულებაზედ და იმის სნეულებაზედ სწავლა გვქონდეს.

მე იმას კიდევ გავიმეორებ, რომ თუ ჩვენ გვსურს სნეულების

---

ველია, ის თავის თავს უფრო კარგად გაუფრთხილდებოდა და თავის ავათმყოფობას ღმერთს არ დააბრალებდა. ადამიანის გარდა ცხოველზე-დაც ეხლა ითქმის, ისინიც ძალიან უფრთხილდებიან თავის თავს; აი, მაგალითად, თუ შეუმჩნევია ვისმე: ვირს მთელი სახრე რომ ზედ გა-დაამტვრიონ, თუ დიდი ხვრელი ანუ სხვა წინ უძევს, ბიჯს ვერ გადაად-გმევინებენ; რადგან იმას თავისი ინსტინკტი ეუბნება, რომ თუ ფეხი გადადგა — დაიხრჩობა. ვირს გარდა, ავიღოთ მაგალითად ძაღლი ანუ კატა, რომელიც ძალიან ძვირად შესცდება ხოლმე იმ საჭმელში, რო-მელიც იმათთვის მაწყინარია. ახლა მე მკითხველს ვკითხავ: ნუ თუ ადამიანი ამ შემთხვევებში პირუტყვზედ გონიერად არ უნდა მოიქცეს?

(*) იქნება ზოგმა ამ სიტყვების მიხედვით სთქვას, რომ სნეულებაც ხომ ღვთის განგებულებისაგან არის დაწესებული, მაშასა-დამე, თუ საჭირო არ იყოს, ხომ არ დააწესებდა. მაგრამ ამაზედ მე შემიძლიან ვუპასუხო, რომ სნეულებაც ისეთი დაწესებულებაა, როგორც ცოდვა. მაშასადამე, როგორც ღმერთს არა სურს, რომ ჩვენ ცოდო ვყოთ, ისე არა სურს, რომ ჩვენ ავად გავხდეთ. პირიქით, როდესაც ჩვენ სიმრთელის კანონებს ვასრულებთ და ცოდვასაც არ ჩავდივართ, მაშინ ღმერთსაც ამით ვაამებთ. აქედგან სჩანს, რომ სნეულებაც და ცოდოს ქმნაც ჩვენი ბრალია და არა ღვთის განგებულებისა. მთრგ.

გარეშე მიზეზები შევიტყოთ, უნდა ჯერ აგებულების თვის[illegible] სიერები კარგად ვიცოდეთ. თუ ეს არ ვიცით, მაშინ აგებ[illegible]ობის მომდინარეობას დროზედ ვერ შევიგნებთ და ამით ვერ მოვაშორე-ბთ კაცს იმ მავნებლობას, რომელიც ემართება იმას ამ მომდინარეობისა-გან და რომლის მოშორება ადვილად შეიძლებოდა, რომ დროზედ შე-გვეტყო იმის მიზეზი. ხშირად მშობლები და თითონ ავადმყოფებიც ამბობენ, რომ ესა და ეს სნეულება უმიზეზოდ დაგვემართაო, მაგრამ ექიმი კი მაშინვე მიჰხვდება ხოლმე, თუ რა იყო იმ სნეულების მიზეზი. ეს კიდევ არაფერი, ხშირად აგებულების კანონების უცოდინარობისა-გამო, მშობლებს არ ესმით სნეულების მიზეზი მაშინაც, როდესაც იმათ ეუბნებიან, რომ აი ესა და ეს არის ამ სნეულების მიზეზიო, — და ამისა-გამო ისინი სნეულების მიზეზის მოსაშორებლად არაფერს საშუალებას არა ხმარობენ; იმათ არც ჰგონიათ, რომ ეს მიზეზი მავნებელი არ არი-სო.

ამისგამო ძალიან საჭირო და სასარგებლო იქნება, რომ მშობლებს რაოდენიმე ცოდნა ჰქონდეთ კაცის აგებულებაზედ და იმის მუშაობაზედ. ამას გარდა კარგი იქნება, რომ თვითონ ექიმებმა, როდესაც იმათ მარ-ჯვე დრო ჰქონდებათ, აუხსნან მშობლებს აგებულების და იმის მუშაო-ბის კანონები. ამით ისინი დიდ სარგებლობას მოუტანენ, როგორც მშობლებს, ისე იმათ შვილებს.

ხან-და-ხან ჩვენ ვერ შევიგნებთ ხოლმე რომელისამე სნეულების მიზეზს; მაგრამ ჩვენი გონება გვეუბნება, რომ მიზეზი უეჭველად უნ-და იყოსო, თუმცა კი ეს მიზეზი ჯერ ვერ გვიპოვნიათო. ხშირად ჩვე-ნვე, ექიმებს, არ შეგვიძლიან გავიგოთ ამის მიზეზი; ეს იმისაგან წარ-მოსდგება, რომ ჩვენ ყოველთვის არა გვაქვს შემთხვევა ამ მიზეზების ყურის დგებისა და მშობლებსაც უცოდინარობისაგამო არ შეუძლიანთ სწორედ აგვიხსნან, თუ ბავშვის მოვლაში ისინი როგორ შესცდნენ. მე ეს ბევრჯელ გამომიცდია და ამისათვის დარწმუნებული ვარ ამ ჭეშმარი-

ტაბაზედ, რომ კი ასე მოსდება ხოლმე. ხან და-ხან მოსდე[illegible] პირველად სწავლებით ვერ შევიძლებდი შემეტყო, თუ რა შეცდომას მო-სცდოდათ ბავშვის მოვლაში, რომლის გამო უმაწვილი ავათ გაჰხდომო-დათ; მაგრამ შემდეგ, როდესაც უფრო დაახლოვებით შევიტყობდი ოჯახის გარემოებას, მაშინ ამის მიზეზი ცხადად გამოჩნდებოდა. ექი-მი არასოდეს არ უნდა დაკმაყოფილდეს მოკლე გამოკითხვით; იმას ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ ერთი და იგივე ამბის გამოკითხვას სხვა-და-სხვა პირებისაგან, ყოველთვის ერთი და იგივე მნი-შვნელობა არა აქვს. აი ეს არის იმის მიზეზი, რომ ექიმები ზოგჯერ სცდებიან ხოლმე. ექიმი გულმოდგინედ უნდა ეცადოს, რომ მშო-ბლების ამბობით არ შესცდეს; იმან, რაც კი შეიძლება, უნდა თავის თვალით დაათვალიეროს, თუ როგორ უვლიან ბავშვს, ასრულებენ თუ არა იმის დარიგებას. ამ გვარად იმას მალე შეუძლიან მოარიდოს ის შეცდომა, რომელიც ბავშვის მოვლაში მოსდება ხოლმე. რასაკვირველია, მაშინ ყოველი მშობელი დააფასებს ამ გვარ ექიმის ყურადღებას და უფრო ეცდება მოეხმაროს იმის მოვალეობის აღსრულებაში.

## თავი 5.

## ბავშვის მდგომარეობა დაბადების შემდეგ.

ცხადია, რომ ბავშვი დაიბადება თუ არა, ერთბაშად გამოიცვლება მისი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ დაწვრილებით უნდა მოვილაპარაკოთ ამ ცვლილების მიზეზზე.

დაბადებამდის ბავშვი შეადგენს დედის აგებულების განუშორებელ ნაწილს, ასე რომ ის უზრუნველად იზრდება დედის აგებულების შეწყობით, ნაზად და სათუთიანად გამოზრდილია ერთ და იმავე სითბოიან ჭურჭელში (ბუდეში). მაგრამ დაიბადება თუ არა, მას მოეჭირვება ჭამა, და უჭირდება საკვები და სასუნთქავი, რომელიც, რაც უნდა რბილი იყოს, მაინც ვერ შეედარება ბუნებით შემზადებულს უწინდელს მის ბუდეს; გარდა ამისა დაბადების შემდეგ ბავშვის აგებულებამ თვითონვე უნდა იმუშაოს, ე. ი. ბავშვმა თვითონ უნდა მიიღოს საჭმელი, მოხარშოს, მოინელოს და სისხლად აქციოს, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელს დედის მუცელში მზად მიიღებდა ხოლმე. ერთი სიტყვით ახლა ბავშვის აგებულებამ ისე უნდა იმუშაოს, როგორც საზოგადოდ ამას მოითხოვს «სიცოცხლე.» —

რადგან სიცოცხლისათვის პირველი საქმე სუნთქვა არის, ამისთვის ჯერ ჩვენ განვიხილოთ, თუ როგორ დაიწყებს ბავშვი სუნთქვას და ან ამას რა შედეგები მოსდევს.

მსწავლულები მოჰყავენ ორს მიზეზს, რომლის გამო ბავშვი, დაიბადება თუ არა, დაიწყებს სუნთქვას: პირველი ის, რომ ბავშვს მალი-

ან მგრძნობელი ნერვები აქვს. როდესაც ის დაიბადება, მაშინვე მოქმე-დებს «ცივი» ჰაერი. ჩვენ ვამბობთ — ცივი ამისთვის, რომ [illegible] ბულების სითბო ოცდა ცხრა ანუ ოცდა ათი გრადუსია, თითქმის ორ-ჯერ უფრო მეტია ჰაერის საშუალო სითბოზე, რომელიც შეადგენს თორმეტ გრადუსიდგან თხუთმეტ გრადუსამდე. შესწავლია, რომ ეს უჩვევი ჰაერი ბავშვს ძალიან ცივად ეჩვენება. ჩვენ ყველას გამოგვიცდია, თუ რა ნაირად დაგვიწყებს გული ცემას და უსუბურად აჩქარებით სუნ-თქვას, როდესაც თბილი ჰაერის ანუ წყლის შემდეგ ცივს წყალში ჩავ-ვარდებით. ეს იმისაგან მოსდებს, რომ ნერვები მეტად იგრძნობენ ამ-გვარ სიცივეს, აღიძვრებიან, გაგვიხშირებენ სუნთქვას და სისხლის მოძ-რაობას და თითქო ჩვენი აგებულება ცდილობს, რომ მსწრაფვე დაიხ-ლოის სიცივე გახშირებული სისხლის მოძრაობის გამო წარმომდგარი სითბოთი.

თუ მოზრდილებზე ამ გვარად მოქმედებს ეს სითბოს უცები ცვა-ლილება, მაშ, რასაკვირველია, ცივს ჰაერს უფრო დიდი მოქმედება ექნე-ბა ახლად დაბადებულ ბავშვზე, რომლის ნერვები ბევრად უფრო მგრძნო-ბელნი არიან. ამისთვის ბავშვი, დაიბადება თუ არა, ჭყავილს დაიწყებს, ჭყა-ვილი ხომ უსუნთქველად არ შეიძლება, ასე რომ ჩჩვილი, ადვილად აღ-მაშფოთებელი ნერვების სიცივის გამო მგრძნობელობა არის მიზეზი ბავშვის სუნთქვის დაწყებისა. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ რაოდენადაც უფრო კარგად აქვს ბავშვს გაქსული ტანში ამ გვარი ნერვების ძაფები, იმდენად უფრო იგრძნობს მისი სხეული სიცივეს და უფრო დაიწყებს ბავშვი ჭყავილს, რომლის გამო გაუხშირდება სუნთქვა და სისხლის მოძრაობა. ამისთვის ბავშვის დიდს ჭყავილს მის სიმრთელეს მიაწერენ ხოლმე.

მეორე სუნთქვის მიზეზი არის ფილტვებში შეჩერებული სისხლი. კაცის აგებულებაში ყოველთვის არის როგორც კარგი, აგრეთვე წა-მხდარი სისხლი; პირველს ეძახიან არტერიულ სისხლს და არის

ალის ფერი,—ეს სისხლი იწმინდება და ალის ფერად იქცევა ფილტვებში ჰაერის ძალით და აქედგან მერმე გაასლებული მიდის [illegible] ყველა ნაწილებში; მეორეს კი ვენურს სისხლს ქმსიან,—ეს უვანსხგნელი მოშხამულა. საიდან წარმოსდგება ეს ვენური სისხლი? აი საიდგან: როდესაც არტერიული სისხლი გადის ტანის ნაწილებში, მაშინ რაც არტერიულ სისხლში ტანის ნაწილების საკუებად საჭიროებია, მიდის იმათ საკუებად და რაც უვარგისი ნივთიერება აქვსთ ამ სხეულის ნაწილებს—იშორებენ და ეს უვარგისი ნივთიერება ერევა დასარჩენ უვარგის სისხლს. ამ გვარად უსარგებლო და წამხდარი სისხლი კიდევ გულისკენ გაემართება, რომ ფილტვებში ისევ ისე გაიწმინდოს და გაასხლდეს. გზაზედ ამ წამხდარს სისხლს ერევა საკუები წვენი, რომელიც მიიღება საჭმელ-სასმელისაგან მთელი ჩვენი ტანის საკუებად და საზრდელად, მაგრამ ჯერ ის ჰაერის ძალით უნდა ფილტვებში სისხლად იქცეს. როდესაც ვენური სისხლი და საკუები წვენი ამ გვარად ფილტვებში გაასხლდებიან და გაიწმინდებიან, მაშინ ისევ ტანის ნაწილებისაკენ გაემართებიან. ბავშვის მუცელში ყოფნის დროსაც, როგორაც ერთ რომელიმე დედის სხეულის ნაწილს, აქვს აგებულებაში კარგი და წამხდარი სისხლი. მაშასადამე რა წამს ბავშვი დაიბადება, ვენური წამხდარი სისხლი, რომელიც უწინ დედის სხეულის შემწეობით იწმინდებოდა, მოითხოვს გაწმენდას და ამის გასაწმენდად საჭიროა, რომ ბავშვმა სუნთქვა დაიწყოს. სუნთქვას და ყოველივე სხეულის მოძრაობას კუნთების შეუწყვეტლობით ჩვენ ვერაოდეს ვერ მოვასწრებდით, არა რომ მგრძნობელი ნერვები და კუნთები მორჩილ საჭიროებათაგანი არიან, არათუ სუნთქვის დაწყებისათვის, საზოგადოდ სიცოცხლისათვისაც.

ნერვების კარგს მგრძნობელობას ბავშვის აგებულებისათვის კიდევ ერთი შესანიშნავი მნიშვნელობა აქვს: ბავშვის აგებულება პირველ ხანებში ისეთი რამ ჩჩვილი და სათუთი არის, რომ ცოტაოდენი სიცივე ანუ სითბო, მაგარი საჭმელ-სასმელი, ცუდი, სასტიკი მოვლა, ანუ ცოტა-

ოდნავ რამე აგებულების შევიწროებას აგით ვაჟის და დაქალის [illegible]-ლში. როგორ უნდა შეატყოს ბავშვს ჩაცმა ყოველივე [illegible] რადგანაც ბავშვი ჯერ თვითონაც ვერ წარმოიდგენს ცხადად ამ მიზეზებს და ენითაც ვერ გვაცნობებს, ამისათვის მხოლოდ ერთი საშუალებაა ამ შემთხვევაში: იგრძნობს თუ არა ის სათუთი ნერვებით ამ გვარ რამე შევიწროებას, მაშინვე ჭყივილს დაიწყებს და ამას ჩაცმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, მით უმეტეს, რომ მეორეს მხრით, თვით ამ ნერვების სათუთი მგრძნობელობის გამო უფრო გაუძნელდება სნეულებს, თუ ჩაცმა ადრე ყური არ ათხოვა.—

ნერვების, კუნთების და სუნთქვის გარდა ჩვენ ახლა ცხოველი აგებულების სითბოზედაც უნდა მოვილაპარაკოთ. საზოგადოდ ბუნებაში სითბოს შესახებ ერთი შესანიშნავი კანონი არის: ყოველ საგნებს შორის არსებობს სითბოს სასწორი. მაგ. თბილი საგნიდგან, რომელსაც გარს არტყია ცივი ჰაერი, მიდის ცივისაკენ თბილი სხივები, ასე რომ რაოდენიმე დროს შემდეგ ეს ორი საგანი შესწორდება და ერთ ნაირი სითბოსი შეიქნება. გახურებული რკინა, რომელსაც გამოატანენ სამჭედლოდამ, მალე გაცივდება ხოლმე, რადგანაც მისი ბევრად უფრო თბილი სხივები მიილტვის ჰაერის, მიწის და ყოველივე მის გარემო მდებარე ნივთებისაკენ. ოთახიც ამ კანონის ძალით თბება ხოლმე, როცა ბუხარში ცეცხლს დავანთებთ და სხ.... ჩვენ შინაგანი სითბო ოც-და-ცხრა გრადუსი აქვს, ასე რომ ჩვენი ჰაერის საშუალო სითბო თითქმის ორჯელ უფრო ნაკლებია, ესე იგი თხუთმეტი გრადუსია, და რადგანაც ჩვენი აგებულებაც, როგორც ერთი რამ საგანი ბუნებაში, ამ კანონს ემორჩილება, ამისათვის ჩვენ ბევრი სითბო უნდა გვაკლდებოდეს ხოლმე; იქნება ამ შემთხვევაში ტანისამოსი კარგს შემწეობას გვაძლევს მით, რომ ის არ უშვებს სიცივეს და იჭერს სითბოს, მაგრამ ეს კიდევ არა კმარა, თუ რომ ჩვენივე აგებულება არ გვაძლევდეს სითბოს ბლომად და სწორობის გვარად.—

ეს ცხოველი აგებულების სითბო წარმოსდგება საჭმ[illegible] მელიც მოიხარშება კუჭში და შემდეგ უკეთესი მისი ნაწილი სისხლად იქცევა. სუნთქვა და ამის გამო სისხლის მოძრაობა განავრცელებს მთელს აგებულებაში და ყოველგან სხეულში სითბოს. ეხლა უნდა ვსთქვათ, რომ ნერვების აღძვრასაც დიდი მოქმედება აქვს აგებულების სითბოზე. რაოდენსაც უფრო მუშაობს ჩვენი ნერვები, იმდენად უფრო ადვილად შევიძენთ სითბოს,—აქედან შეიძლება ავხსნათ, თუ რისთვის გვეწვირება ძილში, როდესაც ნერვები დამშვიდებული გვაქვს, უფრო თბილი სახურავი, ვინემ დღით და თუ კარგად არ გვიხურავს ადვილად გაცივდებით ხოლმე.

ამ გვარად სჩანს, რომ ნოყიერ საჭმელზე, კარგად დასრულებულ ფილტვებზე, წმინდა ჰაერზე, მოძრაობაზე და ნერვების აღძვრაზე არის დამოკიდებული ცხოველი აგებულების სითბოს შემუშავება.

მაგრამ ახალ დაბადებული ბავშვის აგებულება ამ პირობებით ვერ სარგებლობს: ის პირველ ხანს სჭამს შრატიან რძეს და ნოყიერი საჭმელი არც ეწვევა. ეს რძე მას ძალიან ცოტა სითბოს აძლევს; ტანში ფილტვები კარგად არა აქვს გახსნილი, სუფთა ჰაერით იმდენად სარგებლობს; ნაკლებად მოძრაობს და ნერვებიც დიდს შემწეობას ვერ აძლევენ და ეს უკანასკნელი არის იმის მიზეზი, რომ ბავშვს უმეტესი ნაწილი სულ სძინავს. ამ გვარად სჩანს, რომ ბავშვის აგებულებას სითბო უფრო ძნელად ეძლევა და ამისთვის სითბოს მოკლებას ის უფრო უმეტესად ჰგრძნობს და ვერ იტანს, ვინემ ჩვენ. რომ ბავშვს აგებულება ნაკლებად აძლევს სითბოს და რომ ეს სითბო თან და თან ემატება, ეს დოკტორმა ედუარდმა ნამდვილი ფაქტებით დაგვიმტკიცა. აი, მაგალითები: ერთ დღე-ნაკლებ ბავშვს ოცდა სუთი გრადუსი სითბო ჰქონდა, ე. ი. დროზე დაბადებული ბავშვის სითბოზე ოთხი გრადუსით ნაკლები. ხორცის-მჭამელ პირუტყვს რომ მოვაშორთ შვილი, რომელსაც თავის დედაზედ მარტო ერთი გრადუსით ნაკლები აქვს სითბო, უცებ

გაცივდება. ჩიტის (ბეღურას) ერთი გვარის ბარტყები ოცდა [illegible] ოცდა ცხრა გრადუსი სითბო აქვსთ ბუდეში და თუ ბუდეს [illegible], ცალკე გრადუსიან სითბოში თხუთმეტ გრადუსამდის დაიკლებს მისი აგებულების სითბო. მართლადაც, თუ პატარების აგებულების სითბო ბოლომდე ქმედულნი, არც ადვილად არ გაცივდებოდნენ.

ამის შემდეგ, ვგონებ, საჭიროც არ არის იმაზე ბევრი ლაპარაკი, თუ როგორ საცდებიან ისინი, ვისაც ბავშვის აგებულება სიცივის ადვილი ამტანი ჰგონია. ბავშვის აგებულებას არა თუ არ შეუძლიან სიცივის ატანა, მრავლადაც მატებულის მისთვის სიცივე და ყოველივე ის, რაც კი მოაკლებს და წაართმევს სითბოს, რადგანაც ის მავნის მძლავრად შექმნის ხოლმე; სანამ გული, ფილტვები და საზოგადოდ სხეული კარგად არ გაძლიერდება, სანამ რომ სუნთქვა და საჭმლის მონელება ჯეროვნად შექმნის. შემდეგ ბავშვი თვითონაც დაიფარავს თავის თავს სიცივისაგან თავისივე აგებულების სითბოს ძალით.

ეჭვი არ არის, რომ ამ გვარი გახსნის და საზოგადოდ ბავშვის აღზრდისათვის პირველი საქმე საჭმელია. თუმცა დაბადების შემდეგ ეს იმისთვის ისე ადრე საჭირო არ არის, როგორათაც სუნთქვა. ადრე ჭმევა კიდეც ავნებს ბავშვს და ამისთვის სჯობს ჯერ მოასვენონ და დაამშვიდონ, სანამ იმას თითონვე თავისი ინსტინქტი საჭმელს არ მოათხოვნინებს.

ბავშვს საკმაოდ გახსნილი აქვს საჭმლის მოსანელებელი ორგანოები, ასე რომ მას ადვილად შეუძლიან მოხარშვა და მონელება მსუბუქი საჭმლისა — მარტივი რძისა. ბავშვის საჭმლისაგან შესდგება საკვები წვენი, რომელიც შეუერთდება ვენურს სისხლს გულის მარჯვენა ნაწილში და აქედამ ერთად მიდის ფილტვებისკენ, რომ სუნთქვით და ჰაერის ძალით კარგ არტერიულ სისხლად იქცეს. პირველი დანიშნულება კარგი არტერიული სისხლისა ის არის, რომ ჩვენ ის გვზრდის დანიშნულ დრომდის, ე. ი. ყოველივე ჩვენი სხეულის ნაწილები, როგო-

რათაც ხორცი, მვალი, ნერვები, კუნთები, ტვინი, თმა და სხ. და სხ. მისგან შესდგება და იზრდება. შემდეგ სისხლი მხოლოდ ინახავს ჩვენ აგებულებას ერთი და იმავე მდგომარეობაში მით, რომ ყოველ წამსდარ სხეულის ნაწილებს ახლებს..... მაგრამ ზოგმა შეიძლება იფიქროს: «თუ მართლაც ამ ნაირად ზრდის კაცს სისხლი, რომელიც საჭმლისაგან შესდგება, მოდი ერთი ბლომად დაუწყოთ ბავშვს საჭმლის ჭმევა, რომ დიდი გაიზარდოს და ადრე მომესწრასო». ამით ბავშვი რომ «დედაბრის ქათამსავით» გასუქდებოდეს და მოიმატებდეს, ეს კიდევ არაფერია; მაგრამ საქმე ის არის, რომ როგორც ბევრი რძე, ან რამე მსუბუქი საჭმელი, ისე ყუათიანი და მაგარი ბავშვს ძრიელ ავნებს და დაასნეულებს: პირველ შემთხვევაში ფილტვები მომეტებულ საკვებ წვენს ვერ იტანენ, და აგებულება კარგად შეუმზადებელ სისხლს მიიღებს, მეორე შემთხვევაში კი ფილტვები ვერ შეიმუშავებენ მაგარი საჭმლის წვენს და ბავშვს ციებას დააწყებინებს.

საჭმელი სულ საკვებ წვენად არასოდეს არ იქცევა, რაც უნდა მსუბუქი და ნოყიერი იყოს, ამისათვის დანარჩენი და უსარგებლო ნაწილების აგებულებიდამ გამოსვლა სხვა-და-სხვა ორგანოებით ისე საჭიროა სიცოცხლისათვის, როგორც საჭმელი და საჭმლის მოსანელებელი ორგანოები. რაც არ მოიხარშება და არ მონელდება ჩვენს კუჭში, თუ ის ტანიდგან არ გამოვიდა, უეჭველია, ძრიელ დავსნეულდებით და კიდეც დავიხოცებით. ეს ყველამ უნდა იცოდეს, ვინც კი ყოფილა მუცელში ყაბზად (შეკრული) ერთი ანუ ორი, სამი დღის განმავლობაში.

გამოსასვლელ ორგანოებს შეადგენს წლები, თირკმელები, კანი და ფილტვები. თუმცა ახალ დაბადებულ ბავშვს ეს ორგანოები ჯეროვნად არა აქვს გახსნილი, მაგრამ ჭამის შემდეგ მისი წლები და თირკმელები მაინც იწყებენ ხოლმე მუშაობას, ე. ი. დედის შრატიანი რძისაგან დანარჩენი უსარგებლო ნაწილები სწმენდენ წლებს მოშავო ლორწოიანი სითხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისაგან (მეკონიუმ). ამ შრატიან რძესა მოჰყავს მუშაობაში თირკმლე-ბი, და ბავშვი ხშირად გადის შარდზედ.

უსარგებლო ნაწილები კაცის კანიდამაც გამოდის ორთქლივით, თუმცა ჩვენ ამას მუშაობის და ძლიერი მოძრაობის დროს გარდა ვერ ვამჩნევთ ხოლმე. მსწავლულებმა გამოიკვლიეს აგებულების და გარეშე ჰაერის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ჩვენი კანიდამ ორთქლივით უფ-რო ბევრი გამოდის უსარგებლო ნაწილები, ვინემ წლებისა და თირკ-მლებისაგან. მაშასადამე კანიდამ ორთქლის გამოსვლა ბავშვის აგებულე-ბისათვისაც ძალიან საჭიროა და ამისათვის ჩვენ ამას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ფილტვებიც გვეხმარებიან უსარგებლო ნაწილების აგებულებიდამ გამოსვლაში. მაგრამ ნოტიო დარში ძნელად ვსუნთქავთ და სიმ-ძიმეს ვგრძნობთ. ძალიან თბილ და მშრალ ჰაერში კი ფილტვები მომეტებულად მუშაობენ, ასე რომ ხშირად შეგვაციებს, მოგვწყურდება და აგებულებაშიაც მოვიშლებით ხოლმე.

ყოველივე ეს წესი, შესახებ წლებისა, თირკმლებისა, კანისა და ფილტვებისა, საკლებ ანუ ნამეტნავ, ბავშვის აგებულებასაც შეეხება. ამი-სთვის ბავშვის მოვლის დროს ჰაერის სითბოს, სინოტიეს, სიწმინდეს და საზოგადოდ ყოველივე ამ გვარ მიზეზს ყური უნდა უგდოთ, თუ რომ გვსურს ბავშვის აგებულების წესიერი მუშაობა და მისი სიმრთელე. როცა ერთი რომელიმე თქმული ორგანოებთაგანი შეჩერდება, ან ზო-მიერად ვერ მუშაობს, მაშინ სხვები მიიღებენ თავიანთ თავზე ამ შრო-მას, მაგალითად, თუ კანიდამ რამე მიზეზის გამო აღარ გამოდის ორ-თქლივით უსარგებლო ნაწილები, მაშინ ფილტვები წამოეხმარებიან, რომ მოაშორონ აგებულებას უვარგისი ნაწილები, რომელნიც კანიდგან ორთ-ქლივით უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ამ გვარი უზომიერება მაინც მა-ვნებელია აგებულებისათვის.

ყოველივე ეს, რაზედაც ჩვენ აქამდის ვლაპარაკობდით, ე. ი.

ზუგთქვა, საჭმელი, ცხოველი აგებულების სითბო, უსარგებლო ნაწილე-ბის ტანიდამ გამოსვლა — შეადგენს იმ პირობებს, რომლის [illegible] ფიზიკურად ვიზრდებით და ვცოცხალ-ვართ.

ეს პირობები და პროცესსი საზოგადოა არა თუ კაცისთვის, ყოველ სულდგმულთათვისაც. ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ ისეთ ცხოველ აგებულებას, რომელშიაც ეს წესები, ნაკლებ ანუ ნამეტნავად, ამ გვარად არ მუშაობდნენ. ამას გარდა ბევრი სხვა-და-სხვა გრძნობანიც საკმაოდ აქვსთ გახსნილი პირუტყვებსაც; მაგრამ კაცი იმით განირჩევა მათგან და შეადგენს ბუნებაში უპირატესს ღონიერ არსებას, რომ მას აქვს «ჭკუა» და «ენა» და ამისგამო ბევრი სხვა-და-სხვა მოთხოვნილება. თუ კაცი არ იყოს ბუნებითად შემკული და ნიჭიერი ყოველივე ღონიერი მოქმედებისა, კეთილ ზნეობის გრძნობისა და საზოგადოდ კაცობრიული ცხოვრებისათვის; მაშინ ის იქნებოდა ისეთივე პირუტყვი, როგორც სხვა ცხოველი. სამწუხაროდ, ზოგიერთნი, მართლადაც, უახლოვდებიან პირუტყვებს, მაგრამ ეს აღუზრდელობისა და ნიჭიერების გაუხსნელობიდგან წარმოსდგება ხოლმე.

თავ-და-პირველი ჩარხი კაცის ჭკუისა, გონიერებისა და ზნეობისა არის ტვინი; მშვენიერი და უებრო ბუნების ხელით აღჭურვილი სხვა-და-სხვა საჭირო ნერვებით და გრძნობებით, რომლისაგამო ტვინში, როგორც ერთ რამე ფოკუსში აღიბეჭდება და დაისვენებს ყოველივე ის, რაც ამ გვარად თან-და-თან და ჯეროვნად ყოველ მხრის ჭკუის გახსნით წარმოსდგება კაცში ის უძვირფასესი ღირსება, რასაც ეძახიან გონიერებასა და ზნეობას და რომელთაც თან მოჰყვება ცხოვრებაში ყოველივე კეთილი და ჭეშმარიტი მოქმედება; ჭამა, სმა, ყოველივე სიცოცხლის ორგანოები და საზოგადოდ ფიზიკური აღზრდა და თავის შენახვა იმისათვის ესაჭიროება კაცს, რომ ის მისწვდეს ამ უმაღლეს გონიერების წერტილს და აღასრულოს კაცობრიობაში თავის დანიშნულება.

ტვინს, ნერვებს, გრძნობებს და საზოგადოდ ყოველ გონიერების

ნიჭიერებას მუდამ მზრუნველი ბუნება იშვიათს შემთხვევებში დააკლებს და არ ჩაუნერგავს ხოლმე ბავშვს; მხოლოდ იმათ წესიერ აღზრდას და მიმართულებას კი მიანდობს მათ დედ-მამას, რომლებმაც უნდა ქმიონ და იცოდნენ უმჯობესი და უსაჭიროესი ცნობები, რომ ღირსეულად შეუდგნენ ამ უმთავრესი მათი მოვალეობის აღსრულებას.—

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავი 6.

### ახალდაბადებული ბავშვის მოვლა.

წინად მე მკითხველს ვუჩვენე, თუ როგორი განსხვავება აქვს საზოგადოდ ბავშვის აგებულებას, და ახლაკი მე განვიხილავ საკუთრად ცხოვრებაში გამოსაყენებელ წესებს და ავხსნი იმ ფიზიოლოგიურ საფუძვლებს, რომელზედაც არიან დამოკიდებულნი ეს წესები.

როდესაც ბავშვი დაიბადება დედის მუცლიდგან, სადაც ის ამდრომდის იმყოფებოდა შეუცვლელ მაღალ ტემპერატურაში, მაშინ ის სიცივეს ისე ადვილად ჰგრძნობს, რომ ჩვენი ზაფხულის ჰაერიც ცივად ეჩვენება. ამის გამო, რაწამს ბავშვი დაიბადება, მაშინვე თბილ და რბილ შალში (ფლანელში) უნდა გაახვიონ და თუ ცივი დარი დგას, თბილ ოთახში უნდა ჰყავდეთ, მაგრამ ბუხრის ანუ ფეჩის მოშორებით. თუ ბავშვი მრთელი არის და თავისუფლად სუნთქავს, უნდა აბანონ მაშინვე, რომ გაეცალოს ტანიდგან ის ლორწო, რომელიც დედის მუცელში იცავდა ბავშვის სიმრთელეს და ეხლა კი უშლის კანის წესიერ მუშაობას. ყველაზედ უმჯობესი იქნება, რომ აი ამ გვარად აბანონ ბავშვი: უნდა მოამზადონ პატარა ვანნა თბილის წყლით, ჩასვან იმაში ბავშვი და თავი მარცხენა ხელით დაუჭირონ. ამ გვარი ბანება უფრო ყველაზედ მეტად იცავს ბავშვის სხეულს გაციებისაგან. ბანის შემდეგ უნდა ღრუბლით (ან სხვა რითმე რბილით) შეუმშრალონ ტანი, მაგრამ ოდნავ და ფრთხილად, რომ კანი არ გაუხეხონ და მეტის-მეტად არ გაუწითლონ, რო-

მელიც სწყენს ქარივა სხეულს. თბილ წყალში ბანებით ბავშვს დედის მუცლიდან გამოყოლილი ღორწო ძალიან ადვილად ეცემა [illegible] საპონი არც კი არის საჭირო. ბავშვის ბანებას კი ყურადღება უნდა, ამისთვის რომ თუ კარგად არ დაჰბანეს, ღორწო ზედვე შერჩება, მეტადრე სახსრებში, კანის ნაკეცებში, ქუთუთოებში, თვალებში და სხვ.

რადგანაც ახალდაბადებულ ბავშვს თვალები ძალიან სუსტი და ნაზი აქვს, ამისათვის ძალიან ადვილად შეიძლება იმათი წახდენა; ამისგამო შეწმენდის დროს უნდა გაუფრთხილდნენ, რომ ღრუბელი არ მოახვედრონ თვალებზე, რომ ჭუჭყიანი ტანის ნაბანი წყალი არ ჩაუვიდეს თვალებში, თორემ დაუდევრობის გამო შეიძლება ბავშვს თვალები გაუსივდეს და დაბადების მეორე-მესამე დღეს თვალების ანთება გამოაჩნდეს, რომელიც არის ხოლმე ხშირად ბავშვების დაბრმავების მიზეზი; ამისგამო ბავშვს თვალის ქუთუთოები უნდა ცალკე მოჰბანონ წმინდა წყლით და სუფთა ღრუბლით შეწმინდონ.

ბავშვის საბანი წყალი ისეთივე ტემპერატურისა (სითბოსი) უნდა იყოს, როგორც იმისი სხეულია, ესე იგი ოცდა რვა ან ოცდა ცხრა რეომიურის გრადუსი. ხან-და-ხან, თუ ბავშვი მეტის-მეტად სუსტია, კარგი იქნება, რომ ჩასვან ორი ან სამი გრადუსით უფრო თბილ წყალში. ამგვარი ბანება ბავშვს ძალიან მოაცოცხლებს. რაწამს ბავშვს ვანიდგან ამოიყვანენ, უნდა შეახვიონ თბილ სახვევში, დააწვინონ ბალიშზე და მუხლებზედ დაიდვან ეს ბალიში. ამ გვარად ბავშვის შეწმენდა და შემშრალება უფრო მოხერხებული იქნება; ამასთანავე ოდნავ ხელი უნდა უსვან ტანზედ, ხანამ კანს ბუნებითი ხორცის ფერი არ მიეცემა. მაგრამ ამ დროს უნდა გაუფრთხილდნენ, რომ ბავშვი არ შეაცივონ; ამისთვის საჭიროა, რომ ბავშვის სახვევები და ოთახი საკმაოდ თბილი იყოს და რომ ქარი არსაიდან უბერავდეს; ფეჩთან ანუ ბუხართან უმაწვილის ახლო დაჭერა არ კარგა. როდესაც ბავშვს შეწმენდენ, მერმე ტანი უნდა გაუსინჯონ კანი ხომ

ძალიან არსად შესწითლებია და თუ სადმე შესწითლებია, იმ ადგილებში პუდრი (ბრინჯფქვილი) უნდა მოაყარონ.

შეწმენდის და შემშრალების შემდეგ ბავშვს ორგვარად რბილი და თხელი ფლანელი უნდა შემოუჭირონ. ეს ერთი მხრით საჭიროა სითბოსათვის და მეორეს მხრით ჭიპისათვის, რომ ბევრი ჭყავილისაგან და ან სხვა ძალის-დატანებისაგან წელები ჭიპიდან გარეთ არ გამოუცვივდეს. რასაკვირველია, თუ ზამთარია ან სიცივე, მაშინ რბილი შალის შემოჭერა ყველაზედ უმჯობესი იქნება, მაგრამ ბავშვს თუ კანი ძალიან სათუთი აქვს და ამასთანავე თბილი დღეებიცა დგას, მაშინ ფლანელის მაგივრად შეიძლება ტილო იხმარონ, მაგრამ ძალიან შემოჭერა კი არ ვარგა, რადგანაც ბავშვს თავისუფლად სუნთქვას დაუშლის.

ამას რომ მოარჩებიან, ბავშვს ზოგი მარტო შალის საბანში ახვევს და ისე აწვენს დასაძინებლად და როდესაც გამოეღვიძება, პერანგს მაშინ აცმევს და ზოგი კი ჯერ პერანგს ჩააცმევს და მერმე ისე დააძინებს. ამ ორისაგან რომელი უფრო უმჯობესია — ძალიან ძნელია სთქვას კაცმა. ეს უფრო ბავშვზედ ჰკიდია. თუ ბავშვი ძალიან სათუთია ან ბანებისაგან და შეწმენდისაგან დაღალული, მაშინ უმჯობესი იქნება, რომ პირ-და-პირ შალში გაახვიონ და ისე დააძინონ. ბანების შემდეგ ჩააწვენენ თუ არა ბავშვს აკვანში, მაშინვე დაეძინება.

ტ ა ნ თ ს ა ც მ ე ლ ი. ბავშვის ტანთსაცმელი რბილი, მსუბუქი და თბილი უნდა იყოს და ამასთანავე ჰავისა და წლის დროის შესაფერი. ამას გარდა ბავშვის ტანისამოსი ადვილი ჩასაცმელი და გასახდელი უნდა იყოს, მთელ ტანს კარგად ჰფარავდეს და გულსა და მუცელს არ უჭერდეს; ერთის სიტყვით ტანთჩაცმულ ბავშვს უნდა შეეძლოს ადვილი მოძრაობა. აი როგორი უნდა იყოს ბავშვის ტანისამოსი; სხვა-და-სხვა მოდებს და დედის აზრებს, ბავშვის ტანისამოსის შესახებ, თავი უნდა ანებონ. საქართველოში იციან ბავშვს აკვანში რომ ჩააწვენენ, მაგრად არტახებს შემოუჭერენ და ეს ბავშვისათვის ძალიან მავნებელია,

რადგან ის მაშინ თავისუფლად ველარა ჰსუნთქავს *). თუ ბავშვი დღე-ნაკლებია, ან სუსტი აგებულებისა და ან ზამთარში დაბადებული, მაშინ ფლანელის პერანგი სჭირობია რომ იყოს, რადგან ფლანელი ძალიან კარგად იცავს სხეულს სხვა-და-სხვა მავნებელ მოქმედებისაგან და ამას გარდა კანისათვისაც ძალიან მარგებელია. ხან-და-ხან ფლანელი ახურებს კანს და ოფლი გამოჰყავს: ამ შემთხვევაში კარგი იქნება ფლანელის მაგიერად ტილო იხმარონ, მაგრამ — ტილოს ტანისამოსი კი საკმაოდ რბილი უნდა იყოს. რადგანაც ბავშვს სახიცოცხლო სითბო მოზრდილებზედ უფრო ნელა გამოსდის, ამისთვის ყური უნდა უგდონ, რომ ტანისამოსმა ბავშვის ტანი თბილად შეინახოს. თუმცა კი სიცივე ბავშვისათვის ძალიან მავნებელია, მაგრამ მეტის-მეტი იმის შეხვევ-გახვევა და ოთახის ნამეტანი სითბოც ამაზედ ნაკლებად არ ავნებს ბავშვს; ამასგარდა ბავშვის ტანისამოსში ქინძისთავების გარჭობის მაგიერად სჯობია ისევ დუგმები ან ღილები იხმარონ.

პირველ თვეებში ბავშვებს გრძელ ტანისამოსს აცმევენ; ეს ჩვეულება ძალიან კარგია, ამიტომ რომ გრძელი ტანისამოსი ტანსა და ფეხებს უფრო კარგად ინახავს სიცივისაგან. სიცივეში ბავშვს უნდა ფეხებზედ რბილი მატყლის, ფართო და გრძელი წინდები ჩააცვან.

---

*) აქ საჭიროდ ვრაცხ მკითხველს მოვახსენო რომ არტაშნების გარდა ჩვენში იციან რაკი ბავშვს აკვანში ჩააწვენენ, მაშინვე დაუწყებენ საშინლად რწევას. ეს ბავშვისათვის ძალიან მავნებელია; ამიტომ რომ ბავშვს მაშინ ძალიან სუსტი აქვს ყველა სხეულის ნაწილები და ნამეტნავად თავის ტვინი, რომელიც ამ რწევის გამო ერევა, თავბრუ ეს-ჰმევა და ძილიც რომ არ უნდოდეს, მაინც დაიძინებს. ამას გარდა აკვნის რწევის ბრახა-ბრუხი დიდსაც გაურეტიანებს თავს და ბავშვს ხომ რაღა თქმა უნდა. ჩვენებურ აკვნებზე რუსული, ჩამოკიდებული აკვნები უფრო უკეთესია. მთარგ.

ბავშვის თავისა ძლიან თბილად შენახვაც, როგორც ჩ[illegible]ილიან, მავნებელია. თბილ დარში კარგი იქნება თავზედ თხელი [illegible]ჩინი დაჰხურონ, როდესაც სიცივეში ბავშვი გარეთ გამოჰყავთ. ოთახში ყოველთვის საკმაო სითბო უნდა იყოს, რომ ბავშვს ბევრი შეხვევ გახვევა არ დასჭირდება. ბავშვს თავი იმისგან კი არ უცივდება ხოლმე, რომ თბილად თავზედ არა ჰხურავს, არამედ იმისგან უცივდება, რომ ძილის დროს, თავი თბილ და რბილ ბალიშზე უძევს და ხან-და-ხან ისე გაუხურდება, რომ როდესაც გამოეღვიძება და ან ააყენებენ, მაშინვე ცივი ჰაერი დაჰკრავს ამ გახურებულ თავზე და ამისგამო ბავშვს თავი გაუცივდება, ეს არის თავში სისხლის ავარდნის და დიდი ოფლის გამოსვლის მიზეზი. ბავშვს რომ ეს არ დაემართოს, ფხიზლობის დროს თავი გრილად უნდა შეუნახონ და როდესაც აძინებდნენ, ისეთ ბალიშზედ უნდა დააწვინონ, რომელიც თავს არ ახურებს. საზოგადოდ, თუ ბავშვს თავი დიდ სითბოში შეუნახეს, მაშინ ის შეიქნება უფრო ნერვიანი და მცირე ტემპერატურის გამოცვლასაც მაზედ დიდი მოქმედება ექნება. ნერვების ამ გვარი აღშფოთებისაგან ყმაწვილს ფილენჯი გაუჩნდება.

როდესაც ბავშვს ჯანი მიეცემა, დაიწყებს უფრო მეტს მოძრაობას, მაშინ უნდა ისეთი ტანისამოსი ჩააცვან, რომ ფეხებს თავისუფალი მოძრაობა არ დაუშალოს. ბავშვის ფეხთსაცმელად უნდა იხმარონ რბილი და თბილი წინდები და რბილი ტყავის ბაშმაკები, რომ ფეხებზედ თავისუფლად ეცვას, არ უჭერდეს და აბედი არ გაუჩინოს. თუ ბავშვს მოკლე ტანისამოსი აცვია, მაშინ ავდარში გარეთ გამოშვების დროს, მუხლები და ფეხები თბილად უნდა ჰქონდეს.

ამას გარდა ბავშვის საბანი ისეთი თბილი უნდა იყოს, როგორც იმისი ტანისამოსია, თორემ მსწრაფლი ცვლილება ბავშვს ავნებს.

ბევრსა ჰგონია, რომ ბავშვს რბილ ბუმბულზე უნდა ეძინოს ხოლმეო და ამასთანავე საცა უნდა იწვეს, ბუმბულის დოშაკზე თუ ხმელ

ლეიბზე, მაინც თბილად ჰხურვენ, თითქო მარტო ხაბანი ათბობდეს, ის კი არ იციან, რომ რბილი ბუმბულის დოშაკი უფრო ათბობს, ვიდრე ხაბანი.

ჩვენ წინათ ვსთქვით, რომ ბავშვს აგებულების სითბო უფრო ნელა აჩნდება და ამისათვის უფრო თბილი ტანთსაცმელი ეჭირვება, ვიდრე დიდებს; მაგრამ ნამეტანი სითბოც უმაწვილისათვის არ ვარგა.

---

## თავი 7.

## ბავშვის საჭმელი.

პირველ კვირეში დაბადების შემდეგ ყმაწვილი ჭამის და ძილის მეტს არას აკეთებს. იმის ტანში ამ დროს სრულდება აგებულების სამი უმთავრესი მუშაობა: საჭმლის მონელება, კვება და გამოდენა. რასაკვირველია, ამ სამი მუშაობის დაწყება დამოკიდებულია იმ სასიცოცხლო მუშაობაზედ, რომელიც მე წინად მოგახსენეთ, ესე იგი, თუ სასიცოცხლო მუშაობა არ დაიწყო ბავშვის აგებულებაში, მაშინ ყმაწვილი ვეღარ იცოცხლებს და რაღა კითხვა უნდა, რომ ეს სამი მუშაობაც არ დაიწყობა. და თუ ბავშვის გვამში სასიცოცხლო მუშაობა დაიწყო და კარგად წავიდა, მაშინ აგებულების საჭიროება მოითხოვს თავის საკვებად, საზრდელად და გამოდენის სამაგიეროდ მასალას. რაწამს ბავშვს პირველი დაძინებისაგან გამოეღვიძება, მაშინვე იმისი ინსტიკტი საჭმელს მოათხოვინებს. ამ ინსტიკტს ჰქვიან მადა. ყმაწვილის მადის დასაკმაყოფილებლად დედამ მაშინვე უნდა ძუძუ მისცეს; მაგრამ ჯერ უნდა დამშვიდდეს მშობიარობის შემდეგ. დასამშვიდებლად რვა ანუ ათი საათი კმარა. პირველად დედას ცოტა რძე აქვს და ისიც თხელი; მაგრამ რამდენიმე დღეს შემდეგ რძე ემატება და ნოყიერდება. ამ გვარი თან-და-თან რძის ცვლილება საკვირველად შეჰფერის ბავშვის აგებულებას და საჭიროებას. ახალდაბადებულის წელები, როგორც წინად მოგახსენეთ, სავსეა მოშავო სითხეთი, რომელსაც «მეკონიუმს» ეძახიან. საჭმლის მოსა-

ნელდებული ორგანოები თავის საქმეს კარგად ვერ ასრულებენ, თუ ჯერ წლები ამ სითხესაგან არ განთავისუფლდნენ და არ გაიწმინდნენ, რადგან ეს სითხე ეხლა არა თუ უსარგებლოა, არამედ მავნებელიც არის. ამ დაწმენდას ეხმარება პირველი შრატიანი რძე, რომელიც ამ სითხეს კარგად აშორებს და წლებსაც არ აშივოთებს. ამ წლების გასაწმენდად თითქმის ყოველთვის საკმაოა ერთი ანუ ორი დღე. აქედან სჩანს, თუ როგორ შეჰფერის რძის თვისება ბავშვის საჭმლის ორგანოების მდგომარეობას. რამდენიც რძე უფრო მატულობს და ნოყიერდება, იმდენად კუჭი და წლები უფრო ძალაზედ მოდიან და უკეთ ინელებენ საჭმელს.

მაშასადამე თითონ ბუნებას უზრუნვია და დაუწესებია, რომ თხელმა (შრატიანმა) რძემ წლები მეკონიუმისაგან გაასუფთაოს. მაგრამ სან-და-სან უცოდინარობის გამო ბავშვს სასაქმებელს აძლევენ და ჰგონიათ ამით უმაწვილის კუჭსა და წლებს მოვამზადებთ რძის მისაღებათაო, თუმცა მომეტებულ შემთხვევაში ამ გვარი სასაქმებელის დალევინება სრულებით საჭირო არ არის და პირ იქით დიდად მავნებელია. რა საკვირველია, ათასში ერთხელ ისეთი შემთხვევაც მოხდება, რომ უმაწვილს ადვილი სასაქმებლის დალევინება დასჭირდება; მაგრამ ამ შემთხვევაში წინ-და-წინ უნდა ექიმს დაეკითხონ. შრატიანი დედის რძე თითონ არის სასაქმებელი, რომელიც ჩჩვილი უმაწვილის აგებულებისათვის თითონ ბუნებას მოუმზადებია; ამისთვის, როდესაც ბავშვს აძლევენ სასაქმებელ წამალს, რომელიც იმისათვის სრულებით საჭირო არ არის, მაშინ ეს წამალი ორ რიგად არის მავნებელი: პირველი იმით, რომ ბავშვს წლებს უშივოთებს და მეორე,—რომ დედას რძეს შეუყენებს. ამისგამო დედას ძუძუები ევსება და ძალა ადგება, რომელიც არის იმის დასიების და იარების მიზეზი.

როცა ბავშვის დაბადების შემდეგ გავა რამდენიმე საათი, მაშინ თუ შეამჩნიეს, რომ წლები მაინც არ მოქმედებენ და ეს აწუხებს უმა-

წვილს, შეიძლება ერთი ჩაის კოვზი შაქრიანი თბილი წყალი, ან ნახევარ კოვზი ახალი კასტორის (სასაქმებელი) ზეთი დაალევინონ; სხვა წამლები კი საჭირო არ არის. ხან-და-ხან სნეულების ან ტანის რამე ნაკლულევანების გამო, დედას რძე შეუწყდება და რამდენიც საჭიროა, იმდენი აღარ გამოსდის ხოლმე. ბავშვს კი ამდროს თავის ძალის გასამაგრებლად საჭმელი აუცილებლად ეჭირვება, ასე რომ დედის რძის გამოსვლამდის იმას მოცდა აღარ შეეძლება. ეს იმისაგან მოსდება, რომ დედას თავის სიმრთელისათვის კარგად ყური არ უგდია. ამ შემთხვევაში ბავშვს ხშირ-ხშირად უნდა ჩაუდონ პირში დედის ძუძუ, თუნდა კიდეც რომ რძე არ გამოსდიოდეს; ამ გვარად დედას რძე უფრო მალე მოუვა.

რძის გამოსვლამდის კი ისეთი საჭმელი უნდა აძლიონ ყმაწვილს, რომელიც ყველაზედ მეტად ემსგავსებოდეს დედის რძეს, რადგან ამ გვარი საჭმელი უფრო შეჰფერის ბავშვის აგებულებას. ყველაზედ უმჯობესი იქნება, რომ მაწოვებლად ისეთი დედა-კაცი იშოვნონ, რომელსაც იმ ხანში ჰყოლოდეს შვილი, რადროსაც ბავშვის დედა იწვა ლოგინად. მაგრამ რადგან ამგვარი დედაკაცის შოვნა ადვილი არ არის, ამისათვის კარგი იქნება ბავშვს ძროხის რძე ასვან. მაგრამ ამ რძეში ნახევარზე მეტი წყალი უნდა გაურიონ და ამასთანავე ცოტა შაქრით შეატკბონ. ამ გვარად მომზადებული რძე ბავშვს ჯერზედ ერთი პატარა ჩაის კოვზი უნდა აძლიონ. ჯერ-ჯერობით ხანში უნდა პატარა ხანი გადიოდეს. ამ გვარად უნდა ჰკვებონ ყმაწვილი, სანამ დედას რძე არ მოუვა. ბავშვის საჭმლის მისაცემლად ჩაის კოვზის მაგივრად, უკეთესი იქნება, რომ განგებ გაკეთებული საწოვებელი იხმარონ. ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზედ მეტად ამ შემთხვევაში ძროხის რძე უფრო უკეთესი იქნება. ზოგჯერ ბავშვს აძლევენ რაღაც ფაფა-ფუფას, წვენს და კიდევ სხვა რაღაც საჭმელებს, მაგრამ რადგან ამ დროს ბავშვის მოსანელებელი ორგანოები ჯერეთ მომზადებული არ არის, რომ ამ გვარი მცენარიდგან გაკეთებული საჭმელი მო-

ილოს, ამისათვის ამ გვარი საჭმელები ყმაწვილს კუჭსა და წვლებს უშ-ფოთებს. წყლით შერეული და შაქრით გატკბილებული ძროხის რძე თავის შედგენილებით ყველაზედ მეტად ემსგავსება დედის რძეს და ამისათვის ყველა საჭმელზედ უმჯობესია. ეს რძე ბავშვს უნდა ორს ან სამ საათში ერთხელ აძლიონ და უფთხილდნენ, რომ ნამეტანი არ მოუვიდეთ. ერთი პაწაწინა წონა რძე კარგად მოხელებული უფრო შე-ერგება ბავშვს, ვიდრე ორი ამოდენა წონა, რომელიც ყმაწვილის სუსტ კუჭს ამძიმებს.

თუ დედის სიმრთელე ჩვეულებრივს მდგომარეობაშია და სხვა არა-ფერი არა სჭირსრა, მაშინ იმას მშობიარობის შემდეგ სამ დღეში რძე გაუკეთდება და ბავშვის შესაფერად რძე თან-და-თან გამოეცვლება, უფრო ხოყიერი შეიქნება. თუ ეს ყველა როგორც უნდა ისე ასრულდა და დედაც კარგ მდგომარეობაშია, მაშინ რამდენისამე თვის განმავლობა-ში ბავშვისათვის სხვა საჭმლის მიცემა საჭირო აღარ არის: ძუძუს წოვება სრულებით საკმაო იქნება.

მაშასადამე დედის რძე არის ყმაწვილისათვის ბუნებითი და ყველა-ზედ უკეთესი საჭმელი. ეხლა მოგახსენებთ, თუ როგორ ხშირად უნდა ბავშვს წოვება. რასაკვირველია, პირველი ჩემი დარიგება ამ შემთხვევაში ის არის, რომ ნამეტან საჭმლის მიცემას ერიდონ. ნამეტანი საჭმლი-საგან კუჭი მალ-მალე აივსება და გაიჭიმება, და ეს არის საჭმლის მო-ნელების მოშლილობის მიზეზი. ამას გარდა ბავშვს ამის მიზეზით მუცელი გაებერება და გვრემას დაუწყებს. გამოუცდელმა და უცოდინარმა დედებმა იციან წამ-და-უწამ, რაკი ბავშვი დაიჭყავლებს ან სწყინს რამე, მაშინვე ძუძუს ჩაუდებენ პირში, ასე ჰგონიათ შიმშილის მეტი ყმაწვილს სხვა არა შეაწუხებსრა. რაც შეიძლებოდეს თავიდგანვე ბავშვი წესიერად ერთსა და იმავე დროს უნდა მიაჩვიონ წოვნას. ყმაწვილი საკვირველად ჩქარა და ადვილად ეჩვევა წოვნას დანიშნულ დროს და იმ საშუალო ხანში, რომელიც გადის ერთი მოწოვებიდგან მეორე მოწოვებამდის, ის

სრულებით დამშვიდებულია; ამ გვარად ბავშვიც მოსვენებული იქნება დედაც. ძალიან სცდებიან ისინი, ვისაც ყოველი ბავშვის ჭყავილი შიმშილის მიზეზად მიაჩნიათ. ყმაწვილი უნებურად ყოველ ძლიერ მგრძნობელობის დროს ჭყავის ხოლმე. რადგანაც ბავშვს ჭყავილის გარდა ვერაფრით შეუძლიან წარმოსთქვას თავისი მგრძნობელობა, ამისთვის თუნდა ჰშიოდეს, სცხელოდეს, სციოდეს, თუნდა უჩხვლიტოს რამე, ან ცუდად იწვეს, დაიღალოს წოლით, ტანისამოსი უჭერდეს, სინათლე ანუ ხმა აწუხებდეს, მაინც ერთის ხმით ჭყავის; მაგრამ გამოუცდელი დედები ყურს არ უგდებენ იმას, თუ რათა ტირის ბავშვი და ყოველთვის რამდენჯერაც დაიჭყავლებს, იმდენჯერ ძუძუს მისცემენ ხოლმე.

მეტის-მეტი გაფრთხილებაც, რომ ბავშმა არ დაიჭყავლოს, არ ვარგა. ბავშვის ჭყავილი მავნებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ჭყავილი ძალიან ხშირი და ჟინიანია და არის ბავშვის რაიმე სნეულების მიზეზი. მომეტებულ ნაწილში დედებს შეუძლიანთ შეიტყონ, თუ რათა ჭყავის ბავშვი,—უსიამოვნო რამე გრძნობისაგან თუ ავადმყოფობისაგან. რადგანაც ბავშვი თავის უკმაყოფილებას ერთგვარი ჭყავილით წარმოსთქვამს და სხვა ამის მეტი ღონისძიება არა აქვს, რომ აცნობოს თავისი უსიამოვნობა, ამისთვის იმისი ჭყავილი ყოველთვის შიმშილს არ უნდა მიაწერონ და წამ-და-უწამ აწოვონ. ამ შემთხვევაში უნდა კარგად შეიტყონ რა არის იმისი ჭყავილის ნამდვილი მიზეზი, რომ ბავშვს მოაშორონ ეს მიზეზი; ამას გარდა ყური კარგად უნდა უგდონ: ბავშვის ჭყავილი უსიამოვნო რამ მგრძნობელობისაგან წარმოსდგა, თუ შემაწუხებელი სნეულებისაგან.

არის ერთი ძალიან საჭირო კანონი საჭმლის შესახები, რომელიც ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, როგორც ბავშვების, ისე დედების საღლეგრძელოდ. ეს კანონი გვეუბნება, რომ საჭმელი იმდენი უნდა მიიღოთ, რამდენიც ზრდაზედ ანუ გამოდენაზედ იხარჯება. პირველ კვირებში, დაბადების შემდეგ, ბავშვი ძილისა, საჭმლის მონ-

ღებისა და ზრდის მეტს არას აკეთებს, ამისათვის ამ დროს ბავშვმა უფრო ხშირად უნდა მიიღოს საჭმელი, ვიდრე შემდეგ. [illegible] წლის საზოგადოდ ყველამ მიიღოს, ესე იგი ახალ-დაბადებულს ბავშვს ორს ან სამ საათში ერთხელ მისცენ საჭმელი; რამდენათაც ბავშვი იზრდება, იმდენად უფრო გვიან-გვიან უნდა აჭამონ. დედები რომ ყოველ ბავშვის ჭყავილზედ დაუმშვიდებლად მაშინვე ძუძუს არ უდებდნენ პირში, მაშინ მართლა დავრწმუნდებოდით, რომ ორ საათ ნახევარში ანუ სამ საათში ერთხლის მეტად არ მოითხოვდა ბავშვი საჭმელს. რასაკვირველია, როდესაც ბავშვს მართლა მოუნდება ჭამა, დედამ ყოვლთვის უნდა აწოვოს თავის შვილს, მაგრამ ამასთან უნდა უფრთხილდეს, რომ საჭიროებას არ გადასცილდეს და ამით კუჭი არ დაუმძიმოს. ბავშვი როგორც დღისით ისრე ღამით მოითხოვს საჭმელს, თუმცა კი ისე ხშირად არა, როგორც დღისით. პირველ ხანში ბავშვი მთელ ღამეს სამჯერ მოითხოვს ძუძუს, მერმე ორჯელ და მასუკან ერთჯერაც საკმარისი იქნება. თუ დედა სუსტი აგებულებისა არის და ჰსურს, რომ თავის შვილს ძუძუ თითონ აწოვოს, იმისთვის ძალიან საჭიროა, რომ ღამით მოსვენება ჰქონდეს. ამ შემთხვევაში დედა ღამით რომ არ შეწუხდეს, შეიძლება ბავშვს მთელ ღამეში ერთხელ ან ორჯელ მისცენ საჭმელად ცოტ-ცოტა ძროხის რძე წყალში გარეული. ეს ძალიან სასარგებლო იქნება დედის სიმრთელისათვისაც და შვილისათვისაც; ამისათვის რომ თუ სუსტმა დედამ ძილი გაიტეხა და თითონ აწოვა, ადვილად შეიძლება მერმე ძალიან დასუსტდეს და კარგად ვერ აწოვოს თავის შვილს. რასაკვირველია, ამის გამო შვილის სიმრთელეც კარგად ვერ იქნება. ყველა ბავშვების აგებულება ერთი არ არის; ზოგს თავის საზრდელად უნდება უფრო მეტი რძე და ზოგს კი ამის ნახევარი. ამას გარდა თითონ დედის რძის ნოყიერებაც ერთნაირი არ არის. ეს დამოკიდებულია დედის სიმრთელეზედ; ცხადია, რომ რამდენათაც რძე ნოყიერი და ყუათიანი იქნება, იმდენად უფრო ცოტა ეყოფა ბავშვს და პირ-იქით

რამდენათაც რძე უფრო ნაკლებად ნოყიერი იქნება, იმდენად უფრო მეტი მოუნდება ეს რძე ბავშვს თავის საზრდელად. ამისათვის მეტად საჭიროა, რომ დედამ სწორედ იცოდეს როდის უნდება ბავშვს საჭმელი და როდის არა. როდესაც მუძუს დანახვით ბავშვი მხიარულობს, მაშინ ეს იმას ჰნიშნავს, რომ ბავშვს საჭმელი უნდა, და თუ ბავშვი მუძუს დანახვის გამო ჩუმად არის და მუძუებს ყურადღებას არ აქცევს და ამასთანავე, თუ ის ხშირად პირიდგან ამოაქცევს რძეს, ჰგრძნობს წელების მოშლილობას, მუცლის ტკივილს, მუცელში კარგად ვერ გადის, და სიცხეცა აქვს, მაშინ ეს იმას ჰნიშნავს, რომ ბავშვს ძალიან ხშირად აჭმევენ. ამ შემთხვევაში მაშინვე უნდა ღონისძიება მიიღონ და უფრო გვიან-გვიან აჭამონ. ამასთანავე უნდა ყურადღება მიაქციონ დედის საჭმელსაც, იქნება ამ საჭმელსაც შეცვლა ეჭირვებოდეს. ამ შემთხვევაში თუ კარგად არ გაუფრთხილდნენ და არ აასრულეს რასაც ჩვენ ვამბობთ, მაშინ ბავშვებს ხშირად სიყვითლე დაემართებათ. ამის მოსარჩენი უმთავრესი ღონისძიება არის საჭმლის გამოცვლა; მაგრამ ამას ჩვეულებრივ ყურს არავინ უგდებს და მაშინვე მიჰმართვენ ხოლმე სხვა-და-სხვა საქიმო ღონის-ძიებას, დამამინებელს, ქარებისაგან გამანთავისუფლებელს და სხვას, რომლებიც მხოლოდ დროებით დაამშვიდებენ ბავშვის წუხილს და თითონ სნეულებას კი ვერ მოარჩენენ, მანამ არ მოჰსპობენ იმ მიზეზს, რომლისაგამო ბავშვი დასნეულდა.

სხეულის მოქანცულობას, მეტის-მეტ სულის ღელვას, ერთი სიტყვით რასაც კი აქვს ძლიერი მოქმედება დედის აგებულებაზე, ყველას პირ-და-პირი მავნებელი გავლენა ექნება დედის რძის თვისებაზედაც. ამისათვის ყოველი გონიერი დედა უნდა ცდილობდეს, რომ ჩვეულებრივ კარგ გუნებაზედ იყოს, დაწყნარებული, ნამეტნავად წოვების დროს. ამას გარდა დედამ სხეულის დაქანცულობის შემდეგ ბავშვს ძუძუ არ უნდა აწოვოს, და ნამეტნავად უფრო მაშინ, როდესაც იმისი სული აღელვე-

ბულია რამე შემოსვლისაგამო. რადგანაც ამას არ დაჭირდებათ, ამისაგამო ბევრი უბედურება ემართებათ ბავშვებს.

ამაზედ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ პირველ ექვს თვეში ბავშვისათვის ყველაზედ უფრო ყუათიანი და ნოყიერი საჭმელი არის დედის რძე. ბავშვსა და დედის შუა ისეთი ბუნებითი სისხლის და აგებულების ერთობა და დამოკიდებულება არის და ნამეტნავად უფრო გარ-გადმოყოფობის დროს, რომ არა მგონია იპოვებოდეს სხვა ისეთი დედა-კაცი, რომელთანაც ბავშვს ამ გვარი ერთობა და დამოკიდებულება ჰქონდეს. ამისგამო დედებმა თითონვე უნდა აწოვონ. მაგრამ რადგან ზოგ დედას სნეულება და შეუძლებლობა არ აძლევს ნებას შვილის ძუძუს წოვებისას, ამისათვის, რა საკვირველია, დამნაშავე არ არის თავის მოვალეობაში, რომ თავის შვილის ძუძუს მაწოვებლად სხვა დედაკაცს იყვანს. უწინ ჩვეულებათა ჰქონდათ, რომ დედები თითონ არ აწოვებდნენ თავის შვილებს, თუმცა კი თითონაც კარგად შეეძლოთ წოვება, და ამ საქმეს მიანდობდნენ ხოლმე სხვა დედაკაცებს. ეს ჩვეულება დიდად მავნებელი იყო როგორათაც დედებისათვის, აგრეთვე შვილებისათვისაც; მაგრამ ახლა ბევრმა კარგად შეიგნო კაცის ბუნება და ამისათვის დედები თითონ აწოვებენ თავის შვილებს, რა საკვირველია, თუ ქმრები არ უკრძალვენ ამას რამე მიზეზის გამო. ხან-და-ხან, თუმცა ძლიერაცა ჰსურთ ზოგიერთ დედებს, რომ თითონ აწოვონ თავის შვილებს, მაგრამ სუსტი აგებულებისა და სნეულებისაგამო ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას, და ამისათვის ამ მოვალეობის ასრულებას მიანდობენ ხოლმე სხვა დედაკაცებს. ძუძუს წოვების შეუძლებლობა ხშირად იმისაგან მოხდება, რომ დედები თავის თავს არ უფრთხილდებიან და საზოგადოდ როგორიც უნდა, ისეთი ცხოვრება არა აქვსთ. რადგანაც რძე აგებულებაშივე შემზადდება, ამისათვის ყოველს სიმრთელის შეცვლას მასზედაც აქვს მოქმედება. თუ დედა კარგად არის, რძეც საკმაო და ნოყიერი ექნება, და თუ კარგად ვერ არის, ან ცუდ ყოფა-ცხოვრებაშია, მაშინ

ბიბლიოთეკა

რმეც საკმაოდ და ისე ნათელი არ ქმნება. საკვირველი ეს არის, რომ როცა საზოგადოდ ვლაპარაკობთ ამ წესებზედ, მაშინ ყველანი თანახმა არიან და ამბობენ, რომ ეს მართლა ასე არისო: მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ თუ ამ წესების მიხედვით დაუწყეთ ლაპარაკი რომელსამე უსწავლელ და გამოუცდელ დედას, რომ იმისათვის ძალიან საჭიროა სუფთა ჰაერი, მოძრაობა, საქმის კეთება, სულის მშვიდობა ადრე ადგომა, თავის გაფრთხილება და უთხარით, რომ ამ პირობების კარგად აღსრულებით იმისი სიმრთელეც კარგ მდგომარეობაში იქნება და შვილსაც კარგად აწოებს, მაშინ ის დედა, რომელიც უწინ თანახმა იყო თქვენი საზოგადო ლაპარაკისა, რაკი საქმე საკუთრივ იმაზედ მივარდა, თქვენ დარიგებას ყურსაც არ ათხოვებს და ეს ლაპარაკი ტყუილად ჩაივლის. უსწავლელ კაცს რომ სხვა და სხვა კანონებზე და წესებზე დაუწყოთ ლაპარაკი, ის მხოლოდ მაშინ დარწმუნდება ამ კანონებზედ და წესებზედ, როდესაც ის ცხადად დაინახავს იმათ მოქმედებას. აი მაგალითად: უსწავლელ კაცს რომ უთხრათ ლოთობა კაცის სიმრთელის მავნებელია, ალპობს აგებულების შინაგანსოს და ერთი სიტყვით წვრილად რომ მოუყვეთ, თუ როგორი მავნებლობა მოსდევს ლოთობას, მაშინ ის, იქნება, ჯერ პირველად დაგეთანხმოთ ამ კანონზედ, მაგრამ რადგან შემდეგ ის ისე მალე ვერ დაინახავს ლოთობის მავნებელ შედეგს, ამისათვის პირველსავე მარჯვე შემთხვევაში გარდაჰხდება თქვენგან ნათქვამ კანონს და ისევ ისე დათვრება, ის კი აღარ ახსოვს, რომ ამ ლოთობით იმას თან-და-თან გაუგებრად სხეულის აგებულება ეშლება. უსწავლელი დედაც ეგრე იქცევა: თუ იმან სრულებით არ იცის სიცოცხლის კანონები და წესები, მაშინ ის ვერ გაიგებს ამ კანონების საჭიროებას, რომლის შედეგები მაშინვე არ გამოჩნდება; და როდესაც თქვენ უხსნებთ და ეუბნებით იმას, თუ როგორი ყოფაქცევა ჰმართებს თავის მომავალი შვილის კეთილ-დღეობისათვის, მაშინ ის, თუმცა თქვენი ლაპარაკის დროს ბევრჯერ დაგეთანხმე-

ზათ, მაგრამ შემდეგ თავის პირველ მოსულს ყინს შესწირავს, მთელ თქვენ დარიგებას და ან მთლად ასრულებს იმ კაცის რჩევას, რომელ-ლიც უფრო აქეზებს დედის გულის ნდომას. რადგან ამ გვარ დედე-ბმა არ იციან ისეთი შეურყეველი კანონები, რომლის ძალითაც შე-ძლოთ იმათ სჯა, ამისთვის ისინი ვერ არჩევენ, თუ ბუნების კანონს ან რა შეჰფერის და ან რა ეწინააღმდეგება. ეს არის იმის მიზეზი, რომ ისინი არიან სოლმე ყინიანები, არ დასდევენ თავის თავს და ამითი ავ-ნებენ თავის შვილებს, თუმცა კი ძალიან გული შესტკივათ თავის შვი-ლების კეთილ-დღეობისათვის.

საჭმლის გარდა სუფთა ჰაერში მოძრაობასაც დიდი ზედმოქმე-დება აქვს დედის რძის თვისებაზედ. ჩვეულებრივ, დედებმა არ იციან თუ სხეულის სიმრთელისათვის როგორ საჭიროა წესიერი ფიზიკუ-რი მოძრაობა. ისინი მხოლოდ იმას უგდებენ ყურს, თუ რა უფრო საკადრისია საზოგადოებაში. ისინი სრულებით არ დასდევენ თავის და თავის შვილების დღეგრძელობას, წესიერ მოძრაობას, საქმობას და სხვა ამ გვარი სიმრთელის წესების აღსრულებას. წმინდა ჰაერში მო-ძრაობა სიმრთელისათვის დიდად საჭიროა. თუ ამას ყურს არ უგდებენ, მაშინ ეს ყველაზედ უმეტესად საჭმლის მონელებას და ერთობ მთელ ტანიდგან წესიერად გამოდენას დიდად ავნებს. ძალიან იშვიათად მოხ-დება ისეთი შემთხვევა, როდესაც დედას არ შეუძლიან თავის შვილის ძუძუს წოება, თუმცა სიმრთელის წესებს კი ის კარგად ასრულებს. ეს შემთხვევა მაშინ შეიძლება მოხდეს, როდესაც დედა ისეთი სუსტი აგებულებისა არის, ან ისეთი სიმრთელისა, რომ სულაც არ უნდა გა-თხოვილიყო. კიდევ ამ გვარი შემთხვევა შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც დედა უცებ გახდება რითიმე ძალიან ავად. ამის დასამტკიცე-ბლად ავიღოთ მაგალითად სოფლის ხალხი. იმათში ძალიან ძვირად იპოვნით ისეთ დედაკაცს, რომელსაც თავის შვილის ძუძუს წოება არ შეეძლოს. ეს იმისაგან მოხდება, რომ შეძლებული გლეხკაცის ცოლე-

ბის ცხოვრება უფრო შეჰფერის სიმრთელის კანონებს, ვიდრე განათლე-ბული და მოდის მიმყოლი ჩვენი ქალების ცხოვრება. გლეხ-კაცის ქალე-ბი ყოველ-დღე მოძრაობაში არიან, მომეტებული ნაწილი გარეთ წმინ-და ჰაერში ატარებენ დროს, ყუათიან საჭმელსა ხმარობენ და სხვა-და-სხვა მომეტებულ მდიდრულ რაღაც-რაღაცა მხურვალე საჭმელ-სასმელს მოკლებულნი არიან, ადრე დგებიან და სრულებით განთავისუფლებულნი არიან იმ სხვა-და-სხვა მოდებისაგან, რომელიც ყოველ დღე აფიქრებს და აწუხებს ჩვენ ქალებს. ჩვენი ქალებიც ორსულობის დროს და მელო-გინობის შემდეგ რომ იმ რიგად ასრულებდნენ სიმრთელის კანონებს, როგორც გლეხკაცის ქალები, მაშინ, უეჭველია, ჩვენი ქალებიც ჩინებუ-ლი ძუძუს მაწოებელნი იქნებოდნენ.

ის მიზეზები, რომელნიც უშლიან მდიდარ ქალებს თავის შვილე-ბის ძუძუს წოებას, იმათ სიმრთელისათვისაც დიდად მავნებელნი არიან. აი რაში მდგომარეობს ეს მიზეზები: მდიდარი ოჯახის ქალები თაკი-ლობენ ფიზიკურ მოძრაობას, სძინავთ მეტის-მეტ რბილ ბუმბულის დოშაკზედ, რომელიც სხეულს დიდად ასუსტებს; დღით ატარებენ დროს თბილ და მძიმე ჰაერიან ოთახებში და ღამე კი ჰსუნთქვენ უფრო წამხდარ და შეგუბებულ ჰაერს, რადგან აქვსთ ჩვეულებად საწოლზედ ბალდახინსავით ფარდების გადაფარება, გონება დაფანტულად ატარებენ დროს და არა აქვსთ ისეთი კაი ანუ ჯანის მომყვანი საქმე, რომელშიაც გული გაართონ. გვიან წვებიან და გვიანაც დგებიან. განებივრებულნი არიან და ამისგამო ისრულებენ ყოველ თავის ჟინსა და სურვილს. სჭა-მენ უფრო მომეტებულს, ვიდრე იმათი აგებულება მოითხოვს და მოი-ნელებს. სმენ უღონოდ მაგარ ჩაის და სხვა-და-სხვა სასმელებს. სცხოვ-რებენ მავნებელ ადგილებში. იცმენ როგორც მოდას შეჰფერის და ტა-ნის მუშაობას ყურს არ უგდებენ. ერთის სიტყვით, რაც კი სიმრთე-ლის წინააღმდეგია, სულ იმას სჩადიან. თუ ამ გვარი ცხოვრება ბოლოს ჰშლის დედის სიმრთელეს იმ რიგად, რომ აღარ შეუძლიან თავის შვილს

აწოვოს, ამაში, რა საკვირველია, ცხადათ სჩანს, რომ თითონ დედა არის დამნაშავე და არა ბუნება.

ვისაც ჰსურს კარგი მაწოვებელი იყოს, იმას სიმრთელეც კარგ მდგომარეობაში უნდა ჰქონდეს. ამისთვის რომელ დედასაც ჰსურს თითონ აწოვოს თავის შვილს ძუძუ, უნდა ისე იცხოვროს, როგორც იმის აგებულებას შეჰფერის. იქნება ზოგმა დედამ არ დაიჯეროს ეს ჭეშმარიტება, რომ ძუძუს წოვების დროს უნდა უბრალო და არც ძალიან მსურვალე საჭმლის ხმარება. ამის დასამტკიცებლად აბა იმ დედებმა თვალ-ყური ადევნონ: უბრალო გლეხ-კაცებში უფრო იპოვნის კაცი ჯანიან მაწოვებელ ძიძას, თუ ჩვენ ქალებში? ამას რა კითხვა უნდა, რომ გლეხკაცებში უფრო მომეტებული ჯანმრთელი ძიძები იპოვება. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი ის არის, რომ, თუმცა გლეხ-კაცის ქალები თითქმის მუდამ მუშაობაში არიან, მაგრამ მომეტებული ნაწილი თავის სიცოცხლეს წმინდა ჰაერში ატარებენ; ხორცეულ საჭმელს ძვირათ სჭამენ, ცხარე სასმელს ძვირათ ხმარობენ და ამათ მაგივრად მიწის ნაყოფის და ფქვილეული საჭმლის ანაბარა არიან. რა საკვირველია, ის დედები, რომელნიც ამ რიგად სცხოვრებენ, თავის შვილებსაც კარგად აწოვებენ, თუ რომ მუშაობისაგან მეტის-მეტად შეწუხებულნი არ არიან და უბრალო საჭმელიც სამყოფი აქვთ. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ თუ დედას ჰსურს ნოყიერი რძე ჰქონდეს, ამისათვის საჭირო არ არის სხვა-და-სხვა ყუათიანი საჭმლის მოგონება. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ზომიერი მიწის ნაყოფისაგან შემზადებული საჭმელი და ფქვილისაგან გაკეთებული თხელი რამ საჭმელი და ხან-და-ხან ცოტა ხორცეულისაც არა უშავსრა; ღვინისა და სხვა ცხარე გამოხდილი სასმელების ხმარება სრულებით საჭირო არ არის. თუ მაწოვებელის საჭმელი მომეტებულად ნოყიერია, აქედგან რძეც ბავშვისათვის მეტის-მეტი ნოყიერი და მსურვალე იქნება.

თუ დედისა და ბავშვის სიმრთელე კარგ მდგომარეობაშია და ამა-

ხთანავე დედას რძეც საკმარისი აქვს, მაშინ სხვა საჭმლის [illegible] შვილისათვის სრულებით საჭირო არ არის ექვს ანუ შვიდ თვემდის; ჯერ იგი მინამ კბილები არ აეჭრება. ბევრს ჩვეულებათ აქვს, რომ პირველ თვიდგანვე ძუძუს გარდა ბავშვს აჭმევს სხვა ფქვილეულ ფაფა-ფუფებს; მაგრამ ამ გვარი საჭმელების გამო ბავშვს კუჭი ეშლება; ფილენჯის ქარი ანუ სხვა სნეულება აუტყდება, ნამეტნავად კბილების ამოსვლის დროს.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ხან-და-ხან დედას საკმაოდ არა აქვს რძე, რომ შვილს აწოვოს. ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ? თუ დედა სრულებით კარგად არის და რძეც კარგი აქვს, მაგრამ ბავშვის გასაძღომად კი არა კმარა, მაშინ ამ შემთხვევაში დედამ წოვება არ უნდა გაუშვას და ძუძუს გარდა უნდა აძლიოს ყმაწვილს ადვილად მოსანელებელი რამე საჭმელი და თუ დედის რძის ნაკლებობა წარმოსდგება დედის სიმრთელის რამე მოშლილობისაგან, ანუ იმისაგან, რომ რძის თვისება არ შეეფერის ბავშვის საჭიროებას და ანუ კიდევ სხვა რამე ბავშვის მავნებელი მიზეზისაგამო, მაშინ, რა საკვირველია, ბავშვს მაწოვებელი ძიძა უნდა უშოვნონ. რამდენიც უფრო ჩქარა იშოვნიან ძიძას, იმდენი უფრო დედისათვისაც და შვილისათვისაც უკეთესი იქნება.

თუ საჭიროება მოითხოვს, რომ რძის გარდა ბავშვს სხვა საჭმელიც აძლიონ, მაშინ ამ საჭმლის არჩევაში სახეში უნდა ჰქონდეთ ის წესი, რომ საჭმელი, რომელსაც ბავშვს აძლევენ, უნდა ჰგავდეს დედის რძეს. ამ შემთხვევაში ყველა საჭმელზედ უკეთესი და უფრო დედაკაცის რძის მსგავსი არის ძროხის ანუ ვირის რძე. მაგრამ ამ რძეში წყალი უნდა გაურიონ და ცოტად გაატკბილონ და საჭიროებისამებრ ბავშვს ძუძუს გარდა ცოტ-ცოტა აძლიონ. თუ ამგვარი საჭმელი ბავშვისათვის შესაფერი იქნება, მაშინ სხვა საჭმელი აღარ უნდა, მინამ ბავშვს კბილები არ ამოუჭრება. მაგრამ ხან-და-ხან ბავშვს ამ გვარად შემზადებული ძროხის ანუ ვირის რძეც მძიმედ ეჩვენება ხოლმე და ამის-

გამო დასწყობინებს პირღებინებას, გაუჩენს პირში სიმჟავეს, მუცლის ქარებს და მუცლის გვრემას. ამ შემთხვევაში კარგი იქნება წყლის მაგივრად ძროხის ანუ ვირის რძეში ქერის ფქვილის ფაფა, ანუ არროურუტი *) გაურიონ. აი როგორ ამზადებენ ბავშვისათვის ამ გვარ საჭმელს. ადუღებენ წყალში სუსარს, (ესე იგი კარგად გამომცხვარ პურს, ნაჭერ-ნაჭერ დაჭრილს და მერმე გამხმარს); მერმე რძესაც უმატებენ და ეს საჭმელი ბავშვის კუჭსაც და წესიერ გამოდენასაც უხდება. თუ ძროხის ან ვირის რძეც არ შეჰფერის ბავშვის საჭიროებას, მაშინ მინამ ბავშვს საჭმელს შეუცვლიან, უნდა ექიმს დაეკითხნენ, რომელმაც კარგად უნდა გასინჯოს როგორ აჭმევენ ბავშვს, ან ხომ საჭმელს ძალიან ხშირად და მომეტებულად არ აძლევენ.

თუ ბავშვს თავის დედის რძის გარდა სხვა საჭმელი ეჭირვება, მაშინ ეს საჭმელი იმ გვარად უნდა აძლიონ, როგორც თითონ ბავშვის ბუნებას შეჰფერის. ამისათვის, როდესაც ბავშვს ძროხის ანუ ვირის რძეს აძლევენ, ისეთი საწოვებელი უნდა იხმარონ, რომლიდგანაც რძე ისრე ნელ-ნელა გამოდიოდეს, როგორც ძუძუდგან გამოდის. ეს რძე ახალი ნაწველი და თბილი უნდა იყოს, ესე იგი დაახლოებით ისეთი სითბო უნდა ჰქონდეს, როგორიც დედის რძესა აქვს. ამისათვის ბავშვის წოვებამდის საწოვებელი თბილ წყალში უნდა ჩაუშვან. ამ გვარ წოვების დროს ბავშვი არ უნდა იწვეს, თორემ რძის ყლაპვას დაუშლის და ხან-და-ხანაც შეიძლება დაუხედავობისაგამო უმაწვილი ამ გვარად დაახრჩონ. როდესაც ბავშვს აწოვებდნენ, უნდა ხელში ეჭიროთ, მაგრამ მეტის-მეტად გულ-აღმა დაჭერაც არ ვარგა. თუ თითონ ბავშვს არა აქვს სურვილი, საჭმელი ძალათი არასოდეს არ უნდა

*) არროურუტი არის სასამებლივით გაკეთებული ფქვილეული, მცენარის ძირებიდგან, რომელიც იზრდება სამხრეთის ამერიკაში. ამ სასამებელს ყველა აფთიაქში ჰყიდიან.

საშუალოთ. თუ ბავშვი მრთელი არის, პირველი კბილები ექვს ან შვიდ თვეს უკან ამოუჭრება, და თუ სუსტი აგებულებისა არის, მაშინ უფრო გვიან ამოუვა, ასე რომ ხან-და-ხან თორმეტ ანუ თხუთმეტ თვემდის კბილები არ ამოუჭრება. ზოგი გვარი არის, რომელსაც შთამომავლობითვე კბილები გვიან ემოუჭრებათ ხოლმე. თუ დედა კარგად არის და რძეც ბავშვისათვის კარგი და სამყოფი აქვს, მაშინ რასაკვირველია კბილების ამოჭრის შემდეგაც შეიძლება ბავშვს ძუძუ არ გააშვებინონ. საზოგადოდ რაც საჭმელს შეეხება, ამ შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ მხედველობაში დედის და ბავშვის სიმრთელის მდგომარეობა და არ მიჰხედონ იმას, თუ რამდენი თვე არის გასული ბავშვის დაბადების შემდეგ. ზოგი ბავშვი ოთხ თვეში უფრო უკეთესად იხსნება, ვიდრე სხვა ბავშვი ექვს თვეში. თუ ექვს, ან შვიდ თვეს უკან ბავშვს ძუძუს გარდა სხვა საჭმელიც მოუნდა, მაშინ ეს იმისაგან კი არ მოხდება, რომ ბავშვს ექვსი, ანუ შვიდი თვე შეუსრულდა, არამედ ეს იმისაგან მოხდება, რომ ამ დროს ბავშვს წინაკბილები ამოუვა, რომელიც ცხადად გვიჩვენებს, რომ ბავშვის საჭმლის მოსანელებელი ორგანოები სხვა საჭმლის მიღებისათვისაც მომზადებულნი არიან. მგრეთვე, როდესაც ჩვეულებრივ ცხრა ან ათ თვეს უკან ბავშვს ძუძუს აშვებინებენ, მაშინ ეს იმას კი არ ჰნიშნავს, რომ ბავშვს ცხრა ან ათი თვე შეუსრულდა, არამედ ეს იმას ჰნიშნავს, რომ ამ დროს ბავშვის აგებულებაში მოხდება ხოლმე რამდენიმე ისეთი ცვლილება, რომელიც გვაცნობებს, რომ ბავშვის აგებულება სხვა საჭმელსაც კარგად აიტანსო. და თუ ეს ცვლილება ბავშვის აგებულებაში შეგვიანდა რამე მიზეზის გამო, მაშინ საჭმელიც რამდენსამე თვეს არ უნდა შეუცვალონ. ერთის სიტყვით ბავშვის საჭმლის გამოცვლა და იმის ძუძუს გაშვებინება დამოკიდებულია ბავშვის აგებულების მდგომარეობაზედ და არა იმაზედ, თუ რამდენი ხანი გასულა ყმაწვილის დაბადების შემდეგ.

როდესაც ბავშვს წინა კბილები დაუწყებს ამოჭრას, მაშინ შეიძლება ბავშვს აჭამონ გატკბილებულ რძეში შერეული ცოტა არროურუტი, ანუ ქერის ფქვილის ფაფა. ეს საჭმელი უნდა დღეში ორჯელ აძლიონ და ამასთან თან-და-თან დაუგვიანონ ძუძუს წოვება. თუ ეს საჭმელი ბავშვის აგებულებას არ მოუხდა, მაშინ ამის მაგიერად შეიძლება მისცენ მარტო ქერის ფქვილის ფაფა და ან ვარიის, ან ხბოს ფქვილ-ნარევი თხელი წვენი; რასაკვირველია, ამასთან იმდენი საჭმელი უნდა მისცენ ბავშვს, რამდენიც შეჰფერის იმის საჭმლის მოსანელებელ ორგანოების ძალას; ეს საჭმელი უნდა ნელ-ნელა აძლიონ. თუ ბავშვი ცოცხალი და ჯანიანია, მაშინ ფაფის ძღევა უფრო უკეთესი იქნება, და თუ ბავშვი ჩუმი, სუსტი და ნაზია, მაშინ ვარიის ანუ ძროხის წვენი სჯობია აჭამონ. ხან-და-ხან ისიც მოხდება ხოლმე, რომ ერთი რომელიმე საჭმელი ბავშვს მოუხდება ერთს ან ორ კვირას და მერმე კი ამავე საჭმლისაგან უმაწვილს კუჭი ეშლება; მაშინ შემთხვევის გვარად საჭმელი უნდა გამოუცვალონ. საზოგადოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ ყოველთვის ერთნაირი საჭმლის ძღევა არვარგა. თუ წელები ძნელად მუშაობენ, მაშინ ქერის ფქვილის ფაფის ძღევა ყველაზედ უფრო კარგი იქნება და თუ წელები ადვილად და კარგად მუშაობენ, მაშინ ბავშვისათვის ადუღებულ რძეში არეული არროურუტი უფრო უკეთესი საჭმელი იქნება. იმ საწოვებელსაც, რომლიდგანაც ბავშვს საჭმელს აძლევენ, კარგი ყურის გდება უნდა, რომ ყოველთვის სუფთად შენახული იყოს და სუნი არა ჰქონდეს. ფქვილით შემზადებული საჭმელი რძეში მაშინ უნდა გაურიონ, როდესაც ბავშვის ჭამის დრო მოვა. როდესაც ბავშვი ჭამას გაათავებს, მაშინვე ყოველთვის საწოვებელი უნდა კარგად გარეცხონ და მერმე წმინდა წყალში შეინახონ. ამ გვარ საწოვებელს უფრო რეზინისას აკეთებენ და მართლადაც რეზინის საწოვებელი ყველაზედ უმჯობესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყმაწვილის ძუძუს გაშვებინება.

ბავშვის ძუძუს გაშვებინება უმთავრესად დამოკიდებულია ერთის მხრით დედის სიმრთელეზედ და იმის მდგომარეობაზედ და მეორეს მხრით ბავშვის სიმრთელეზედ და იმის აგებულების გახსნაზედ. თუ დედის სიმრთელე კარგად არის და რძეც სამყოფი აქვს, მაშინ ძუძუს გაშვებინება ცხრა ანუ ათი თვის შემდეგ უფრო კარგი იქნება. ამ ხნის განმავლობაში ჩვეულებრივ ყმაწვილს კბილები ამოსდის, რომელიც ჰნიშნავს ბავშვისათვის საჭმლის გამოცვლის საჭიროებას. სუსტი აგებულების ბავშვებს ხან-და-ხან რამდენიმე თვით შეუგვიანდებათ ხოლმე კბილების ამოსვლა; ამ შემთხვევაში ძუძუ არ უნდა გააშვებინონ და იქამდის აწოვონ, სანამ ბავშვის აგებულება სრულებით მომზადებული არ იქნება საჭმლის გამოცვლისათვის. ზოგჯერ მრთელ ბავშვებსაც პირველი კბილები ერთის და ხან-და-ხან ორის წლის უკან ამოსდით. ზოგიერთ ოჯახებს მთამომავლობითვე სჭირთ გვიანი კბილების ამოჭრა. ამისათვის საზოგადოდ ბავშვის გახსნას უფრო მომეტებული ყურადღება უნდა მიაქციონ, ვიდრე იმისი კბილების ამოჭრას. ხან-და-ხან სუსტ, სატკბურიან ბავშვებს გვიან ამოსდით ხოლმე კბილები; ეს იმას ჰნიშნავს, რომ რამდენი თვეც უნდა გავიდეს, მაინც ამათთვის ძუძუს წოვება ძალიან საჭიროა. ამ შემთხვევაში შეიძლება ხან-და-ხან ბავშვს დღეში ერთხელ ანუ ორჯელ ვარიის წვენი აჭამონ; თუ შეამჩნიეს, რომ ეს წვენი ბავშვისათვის მარგებელია, მაშინ შეიძლება თან-და-თან ცოტ-ცოტათი ძუძუ გააშვებინონ. თუ ძუძუს გაშვებინების დრო ჯერ არ მოსულა და დედასაც რძე საკმაოდ აღარა აქვს, რომლის წოვების გამო დედას სიმრთელე ეშლება, მაშინ ამ შემთხვევაში დედის და ბავშვის სიმრთელის დასაცველად საჭიროა, რომ ბავშვს კბილების ამოჭრამდის ძუძუ თან-და-თან გააშვებინონ. თუმცა ამ გვარი ძუძუს გაშვებინება კარგი არ არის, მაგრამ ამით უფრო მეტ მავნებლობას ვიშორებთ.

როგორც ძალიან გვიან, ისე ძალიან ადრე ძუძუს გაშვებინება არ არის კარგი. ძუძუს გაშვებინების დრო მაშინ მოვა, როდესაც ბავშვს კბილები ამოეჭრება, და ერთობ ხიმრთელე კარგ მდგომარეობაში მოვა. სხვა განსაკუთრებით შემთხვევაში კი უეჭველად უნდა ექიმის რჩევა ჰკითხონ. ძალიან კარგი იქნება ბავშვს ძუძუ მაშინ გააშვებინონ, როდესაც კარგი ამინდები დგას და როდესაც შეიძლება ბავშვის წმინდა ჰაერში ხშირად გამოყვანა. ამისთვის რომ, როდესაც ბავშვს ძუძუს აშვებინებენ და საჭმელს უცვლიან, მაშინ ხშირად ბავშვს ნერვები უშფოთდებიან, და ამ აშფოთებას ყველაზედ მომეტებულად წმინდა ჰაერი ამშვიდებს.

როდესაც უმაწვილს ძუძუს აშვებინებდნენ, მაშინ აი როგორი წესი უნდა ასრულონ: ბავშვი თან-და-თან სხვა საჭმლის ჭამას უნდა შეაჩვიონ და ამ ჭამის შესაფერად ცოტ-ცოტა ძუძუს წოვებას უნდა მოუკლონ. ზოგი ერთბაშად აშვებინებს ძუძუს და ეს ჩვეულება დედისათვისაც და შვილისათვისაც დიდად მავნებელია. როდესაც ექვს ანუ შვიდ თვეს უკან ბავშვს წინა კბილები დაუწყებს ამოჭრას, მაშინ უმაწვილს დღეში ერთხელ ანუ ორჯელ მსუბუქი რამ საჭმელი უნდა აძლიონ; შემდეგ ამ საჭმელს თან-და-თან უნდა უმატონ, რომლის გამო ბავშვს ძუძუს წოვების სურვილი თან-და-თან დაეკარგება და მაშინ ძუძუს გაშვებინება უფრო ადვილად შეიძლება და არც დედა შეწუხდება ძალიან და არც შვილი. როდესაც ბავშვი კბილების ამოჭრისაგან ავად და შეწუხებაში არის, მაშინ ძუძუ არასდროს არ უნდა გააშვებინონ, ამისათვის რომ ამით ბავშვი უფრო ავად გახდება და წლებიც მოუშლება.

ძუძუს გაშვებინების შემდეგ ბავშვს ისევ თხელი საჭმელი უნდა აძლიონ, რომელსაც აძლევდნენ ძუძუს წოვების უკანასკნელ დროს. მანამ ბავშვს წინა კბილების გარდა შუა კბილებიც არ ამოუვა, მანამ საჭმლის გამოცვლა საჭირო არ არის. ბავშვის ზრდის შესაფერად — შეიძლება წინანდელ საჭმელს სხვა საჭმელიც მიუმატონ; მაგრამ, რაც უნდა

იყოს, მაინც პირველ ძუძუს გაშვებინების ხანში, ბევრის და მეტის-მეტი ნოყიერი საჭმლის მლევა არ ვარგა.

ძუძუს გაშვებინების დროს ბავშვს ყველაზედ მომეტებულად ის ავნებს, რომ ჩვეულებრივ დედებს და ძიძებს ყოველი ბავშვის ჭყავილი შიმშილის მიზეზად მიაჩნიათ და ცდილობენ მაშინვე პირში საჭმელი მიაჩეჩონ. ის კი არ იციან, რომ ამით ისინი უფრო აშფოთებენ ბავშვს; ხშირის ჭამისაგან უმაწვილს კუჭი ეშლება და იმისი უბრალო შეშფოთება ნამდვილ სნეულებად შეიცვლება ხოლმე. რასაკვირველია, დედისათვის სამძიმოა თავის მწუხარე შვილის ცქერა, მაგრამ იმისთვის უფრო სამძიმო არ იქნება, როდესაც თავისი ბრალით უბრალო ბავშვის შეშფოთებას საშიშო სნეულებად გარდააქცევს? თუ ბავშვს კაი მოვლა აქვს, მაშინ ის ადვილად ეჩვევა გამოცვლილ საჭმელს და მალე მოდის თავის ჩვეულებრივს სიმშვიდეში.

როდესაც ძუძუს გაშვებინების შემდეგ ბავშვს მეტის-მეტი მადა ეძლევა და თითქმის გაუმაძღარი ხდება, მაშინ იმას კაი ყურის გდება უნდა. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ბავშვს ეს მეტის-მეტი საჭმლისა და იმის ნოყიერობისაგან დაემართება და თუ უმაწვილს საჭმელი არ გამოუცვალეს, მაშინ წლების შეშფოთების გამო ბავშვს სიმრთელე მოეშლება.

ბევრმა დედებმა და ძიძებმა იციან, რაწამს ბავშვს გამოაჩნდება ერთი პაწაწკინა სნეულების მიზეზი, მაშინვე საქმით წამლებს მიჰკარდებიან ხოლმე. ჩვენდა სამწუხაროდ იმათ ასე ჰგონიათ ეს სნეულება ბავშვს გარედგან დაემართა და ამისთვის ცდილობენ, რომ ეს სნეულება უმაწვილის აგებულებიდგან ისევ ისე გარეთ გააგდონ და ბავშვი მოარჩინონ. იმათ ასე ჰგონიათ, რომ ვერაფერი მოვლით ამ სნეულებას ვერ მოარჩენთო; ის კი არ იციან, რომ სნეულება აგებულების უწესურ მოქმედებისაგან წარმოსდგება, და ამგვარი აგებულების უწესური მოქმედება თავის გვარად წარმოსდგება ურიგო ცხოვრებისაგან, რომელიც

შეიძლება კაცმა ისევ ისე რიგზედ მოიყვანოს და ამით ხნეულება მოა-შოროს. ზოგიერთი აი როგორ უცქერის ხნეულებას: რაწამს გამო-აჩნდება პირველი ხნეულების მიზეზი, მაშინვე წამლობას მიჰყობს ხელს და ხრუტებით არ უგდებს ყურს და არ იშორებს იმ მიზეზს, რომე-ლიც იყო ამ ხნეულების მიზეზი. რასაკვირველია, ამ გვარი ღონის-ძიება, არა თუ არჩენს ხნეულებას, არამედ უძნელებს კიდეც. ამ გვა-რად ხშირად ხმარობენ ყმაწვილებისთვის სხვა-და-სხვა საქმიო წამლებს და ამით ბავშვებს სიმრთელეს სრულებით უშლიან. ის კი არათუ იმათ სიმრთელეზედ მოყვანისათვის აუცილებელი წამლები სრულებით საჭირო-არ იყო. იმათ უნდოდათ მხოლოდ კარგი და ფთხილი მოვლა. ძალიან ხშირად გვესმის დედებისაგან, რომ «ჩემი შვილი ავათ არისო, მუც-ლის ტკივილები მოსდისო, ესა და ეს წამალი კარგიაო, მაგრამ არა ეშველაო». იმაზედ კი, თუ რა მიზეზისაგან მოსდა ეს ხნეულება და ანუ რა ღონის-ძიება მიიღეს ამ მიზეზის მოსაშორებლად, სიტყვასაც არავინ იტყვის. ბავშვის სიმრთელისათვის ისე მავნებელი არა არისრა, როგორც დაუსრულებლად სხვა-და-სხვა წამლების ძლევა. და ამისგამო იმ დედებს და ძიძებს, რომელნიც ყოველ ბავშვის ცოტა უქეიფობაზედ დაუფიქრებლად ასმევენ სხვა-და-სხვა წამლებს, არ შეუძლიანთ აასრულონ თავიანთი მოვალეობა ბავშვების მოვლაში.

---

(შემდეგი იქნება).

## ცრუმენტელობა დროს გატარებისათვის.

### 1

მკითხველს ჰგონებ არ ესმის ამ ჩემი საუბრის სათაურის აზრი. მაგრამ ძალიან ადვილად მიხვდება, თუ შეიტყო, რომ ეს სტრიქონები ეკუთვნის იმ ახირებულს კაცს, რომელმაც ამ განგრძელების დასაწყისს სტატიას სათაურად დაუსვა: «ზაფხულის ტვინ-თხელაძეების და ფეთ-ხუმაძეების შესაქცევი».

მე ეს სათაური შევცვალე ამ ზედწარწერილი სიტყვებით. მაგრამ მქონდა საფუძველი იმის შეცვლისა? მაქვს ნება და საფუძველი, რომ მე ერთი და იგივე სტატია სხვა-და-სხვა სახით და ფერით ვაკითხო სა-ზოგადოებას? უეჭველია, რომ უმისოდ არ იქმნება. ამის საბუთი ჯერ ის არის, რომ წინანდელმა სათაურმა დაჰკარგა თავისი საზაფხულო მნიშვნელობა; მერე ისა, რომ, როგორც ვგრძნობ, ის ბევრს მკითხვე-ლებს არ მოეწონებოდათ; თუმცა მე სრულებით იმისთვის არ ვუსათა-ურე ჩემს სტრიქონებს, რომ ვინმე გამეჯავრებინა. ამისთვის არც უფ. ანჩის-ხატის-უბნელს უნდა ეწყინოს, რომ მე ეგ სიტყვები წარმოვსთ-ქვი იმის ფელეტონის გამო, რომელშიაც ის ამბობდა: ზაფხულობით კაცს ტვინი უთხელდებაო. მაშასადამე მე ის შეუფარდე იმ გვარს კაცებს, რომელთაც სიცხეში ტვინი თხლათ აქვსთ, და არა ყველა «დროების» და «მნათობის» მკითხველებს. მაშ სამართალი მოითხოვს, რომ მე არ გამიწყრნენ. მე მხოლოდ იმაში ვარ დამნაშავე, რომ უბნელის აზრი სა-

ქმეში მოვისმარე. მაგრამ უბნელს კი უფრო უნდა ესიამოვნოს, რომ მისმა აზრმა ნაყოფი მოიტანა. იმან ხომ იმისთვის დასწ[illegible] ფელეტონი, რომ მისი შინაარსი ყველამ მიიღოს და მოიხმაროს!?

აქლა კი იმედი მაქვს, ყველანი მიხვდებიან, რომ ეს საუბარი შეადგენს განგრძელებას: «ზაფხულის ტვინ-თხელამქების და ფეთხუმამქების შესაქცევისას». მაგრამ, უფ. უბნელო! აბა საიდგან დავიწყო ჩემი გაწყვეტილი საუბარი, რომ წარსულს მიმავალთან კავშირი ჰქონდეს? მგონებ ისევ ისა სჯობს, რომ თქვენიდამ დავიწყო.

2

გაზეთი «დროების» მე 40 №-ში თქვენ ქალაქის ცხოვრებას და ამაოებას ადარებთ სოფლის ცხოვრებას და ამაოებას, და ზაფხულობით სოფელში ცხოვრება უფრო მოგწონთ, ვიდრე ქალაქში. — მოწონების მიზეზიც თქვენის აზრით ის არის, რომ სოფელში კაცი უფრო თარხნათ. სცხოვრებს. ეს თარხნად ცხოვრებაც იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ ძალიან დიდის გულ-დაჯერებით ეუბნებით მკითხველებს: «სოფელში თქვენ როგორღაც (სიტყვა: «როგორღაც» ჰნიშნავს ინსტინკტურად გრძნობას) თარხნათ ხართ: არც ტანისამოსს დასდევთ, არც ჭამა-სმას, არც ზასლსა», რომლებისთვის მიმდევარობაც, თქვენის აზრით, შეადგენს «ქალაქის ამაოებას», რომელნიც გაუსხნელ კაცის გონებას ადათად დაუდვია და ამძიმებს თქვენს საყოველდღეო ცხოვრებას და ამისთვის გსურთ «განჰყიქოთ აშუურნი მათნი და განაგდოთ უღელი მათი». ამ სიტყვებიდამ, სხვათა შორის, გამოდის, რომ უბნელს სოფლის უზრუნველობა და ბინძური ბურსაკულად ცხოვრება უფრო მოსწონს, ვიდრე ქალაქის სუფთა ცხოვრება, რადგან ეს და სხვანი ამგვარნი «ამძიმებენ მის საყოველდღეო ცხოვრებას», ესე იგი ნებას არ აძლევენ მარტივად, ბურსაკულად ცხოვრებისას და შეადგენენ «გაუსხნელი კაცის ამაოებას». დიახ! ამ გვარად გდებაში ის ძალიან დიდს თარხნობას და თავისუფლებას

ჰხედავს. სწორედ რომ გასაკვირველია ამ გვარი თარხანი [illegible]-ბის მოწონება და ბეჭდით საზოგადოებისათვის ქადაგება. ბარაქალა [illegible]-ნელს! ამ გვარი აზრისათვის. მე რომ ამ გვარი აზრისათვის სიცილი ასტეხო და ძველებურად გსთქვა: შეიბილწა და წარწყმდა მთელი ქვეყანაო, იქმნება დამცინიან, მაგრამ აქ არა არისრა დასაცინი. მეცნიერება კაცობრიობას უქადაგებს სიწმინდეს, ფაქიზობას, გვირცლს და თავ-ცნობით ცხოვრებას, უქადაგებს შრომას, სუფთა ტან-საცმელს, კარგს, ზომიერად ნოყიერს ჭამა-სმას, — უმბნელი კი «დროებაში», წინააღმდეგ გიგიენისა, ქადაგებს, რომ მას მოსწონს უზრუნველი, ბინძური და დაუდევარი ცხოვრება. თქვენმა მზემ, ამგვარი აზრებით ზიაზნულობით საზოგადოების გართობა ძალიან დიდად მოსაწონარი მოვლენა გახლავთ ჩვენი დაობებული და დასავსებული ლიტერატურისა . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

სოფელში ტან-საცმელის სისუფთავეს, კარგს ნოყიერს ჭამა-სმას (დიეტურად) და კარგს მოწყობილ სუფთა სახლში ცხოვრებას მხოლოდ ის ხალხნი არ დასდევენ, რომელთაც ეს სანუკვარი ფაქიზობა ხორცად, სისხლად და ჩვეულებად არ ჰქცევიათ, და თუმცა ამგვარი ხალხი ქალაქ-ადგილას მიბაძვით სისუფთავეს მისდევენ, — ეს იმისთვის კი არა, რომ მათ უამისოდ ვერ უცხოვრიათ, არამედ მისთვის, რომ იქ ყველას სუფთად აცვია და ეშინიან საზოგადოების განკიცხვისა. მაგ. იმერეთის ბიჭები — ყამასები ქალაქში რომ ნამოდიან, ძალიან იპრანჭებიან და სუფთად იცმენ, მაგრამ სოფელში რომ მივლენ, ისევ უწინდებურს დაუდევარს და უფაქიზო ცხოვრებაში გაებმიან ხოლმე. ნათქვამია: «დაჩვეულს ნუ მოაკლებო, უჩვევარს ნუ დააჩვევო; ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო». მაშასადამე ვინც სუფთა ცხოვრებას, კარგს, წმინდა ტან-საცმელს, ნოყიერ ჭამა-სმას და სუფთა სახლს არის მიჩვეული, ის ვერც ქალაქში და ვერც სოფელში ამათს ვერ მოიშლის; და თუ მოიშალა, მაშინ უეჭველია, რომ მას ბუნებას ქონის მომაკვდინებელი ცვლილება —

კრიზისი. მიიყვანეთ მაგ. გლეხი კაცი . . . მედიდურად მოწყობილს სახლში ჩასვით, თუ იმას არ ეუცხოვოს ეს სახლი და [illegible] ირჩივოს თავისი კბილებ ჩამტვრეული და შემურტლული სახლი. მიიყვანეთ აგრეთვე მედიდურად და ფაქიზად ჩაცმული და მცხოვრები განათლებული კაცი და ჩასვით გლეხ-კაცურს ქართულს კომლიან სახლში, თუ იმას გული არ დაუსხენიანდეს და თავ-ბედი არ იწყევლოს. გონება გახსნილს და გაწმენდილს კაცს არაოდეს არ მოეწონება სოფლის ცხოვრება ქალაქის განათლებულს ცხოვრებაზე მომეტებულად, რადგან ამ გვარი კაცი სიცოცხლეს ეძიებს და ელტვის. ქალაქ ადგილას ცხოვრება უფრო დუღს და ფუფუნებს, ცხოვრება ბრწყინავს და ცხოველობს. ამისთვის რომ საზოგადოება, რომელიც იქ ჰსცხოვრებს თავის სახით და თვისებით ისრე გადაშლილია და გადახატული ყველა კაცის თვალწინ და ყველას ისრე აღვიძებს და აფხიზლებს, რომ ყოველი მუნ მცხოვრები, გონიერი კაცი, როგორც ფოტოგრაფია, თითქმის ისე ნამდვილად გადიღებს თავის სასარგებლოდ ყოველს კარგს საზოგადოების თვისებას. ქალაქ ადგილას ყოველი განათლებული კაცი ნამდვილად ჰხედავს, რა არის სისუფთავე და სიწმინდავე, რა დიდებით არის მოხალი განათლებული ცხოვრება კაცისა, რა მოძრაობაში არის კაცის ჭკვაგონება, რა დიდს ბედნიერებას შეადგენს კაცისთვის სუფთა, ფაქიზს და მოწყობილს სახლში ცხოვრება და რა მნიშვნელობა აქვს მისთვის განათლებულს საზოგადოებას. განათლებული კაცი ძალიან დიდად აფასებს და მოსწონს ქალაქში, განათლებულს ხალხში ცხოვრება, ამისთვის რომ ის აქ ჰპოებს იმ გვარს ხალხს, რომელნიც იმისავით ერთ გვარი აზრისანი არიან, ერთნაირად ესმისთ ცხოვრება, ერთი წადილით და გრძნობით არის მათი ცხოვრება შეკავშირებული; ერთის სიტყვით ჰპოებს ისეთს ხალხს, რომელნიც თანაუგრძნობენ იმის აზრს და მიმართულებას და განუზიარებენ ერთმანერთს თავიანთს აზრს და გრძნობას შეხახებ ცხოვრებისა. მაშასადამე განათლებული კაცი განათლებულ ქალაქში

ჰპოვებს თავის გულის კაცს და თავის სასურველს ცხოვრებას, ჰპოვებს სახსრებს და ღონის-ძიებას თავის ჭკუა-გონების გახსნისას, ჰპოვებს სხვა-და-სხვა მიმართულების, ხასიათის და ჭკუა-გონების ხალხს, რომელთა შორის ცხოვრება, მიმოსვლა და მიმართვა აძლევს კაცს იმდენს სარგებლობას, რამდენსაც აძლევს თითქმის მოგზაურობა სხვა-და-სხვა ქვეყნებში. მეტადრე ამ მხრით რიგიანს სარგებლობას აძლევს იმ კაცთა, რომელთაც ძვირად უღირთ თავიანთი ჭკუა-გონების გახსნილობა; ამისთვის რომ აქ ათასნაირი ჯური ხასიათის ხალხი სცხოვრებს, ათას ნაირი თემის ხალხი ტრიალებს და მოქმედებს, სტირის, იცინის და მიელტვის ცხოვრებას, აცხადებს თავის წადილს, ზნეს, ჩვეულებას, ცრუ-მორწმუნეობას და ცხოვრების კილოს; ყველა იბრძვის თავის ცხოვრების დასაწინაურებლად, თავის არსებობის და მეთაურობის დასამტკიცებლად ამ უდიდეს კავკასიის ქალაქში, რომლის საკუთრად მითვისებასაც ქართველები და სომხები ერთმანერთს ეცილებიან და მისი დიდებით ამაყობენ და მით მოგვაგონებენ ბერძნების შვიდი ქალაქის ერთმანერთთან შეცილებას ჰომეროს ვინაობაზე და სადაურობაზე. თბილისის ქალაქში მდგომი კაცი იქით მიიხედავს თუ აქეთ გამოიხედავს, ყველგან ჰხედავს, რომ ქართველი, სომეხი, რუსი, ურია, ლეკი, ყიზილბაში, ოსმალელი, ოსი, ჩერქეზი, იმერელი, ხევსური, მეგრელი, აფხაზი, ფრანგი, ნემეცი, იტალიანელი და სხვა ათასნაირი ხალხი ერთს ქალაქში სცხოვრებენ, ყველა თავ-თავის კილოზე და ჩვეულებაზე, და ყველა თავის ჭკუა-გონების გვარად ვაჭრობს და მით სცდილობს თავისი ცხოვრება გაადვილოს, გაახალოს და გაალაზათიანოს. ამ გვარს ქალაქში ცხოვრება ყველა განათლებულს კაცს უნდა მოსწონდეს და არა იწუხებდეს. ძალიან უცნაური უნდა იყოს ის კაცი, რომელიც აქ ცხოვრებას, სოფლის ცხოვრებას ამჯობინებს, ან არა და წაღმა-უკუღმა მიმართულება უნდა ჰქონდეს; ან კიდევ არ უნდა ჰქონდეს გაწმენდილი გემო და განათლებული გონება. ამისთვის რომ კაცს, რომელსაც ერთხელვე უარი უყვია სოფლური

ბინძური და უდარდელი ცხოვრება, მოუშორებია თავიდამ, სოფლურის ჩვეულება, ზნე და ცრუ-მორწმუნეობანი, და დიდად ადვასხემს [illegible] და უმაღლესს განათლებულს საზოგადოებაში ცხოვრებას, უეჭველია, ის არაოდეს სოფელში ცხოვრებას არ ამჯობინებს, ქალაქში ცხოვრებას: ამასთანავე სოფელში ცხოვრებას ის კაცი მოიწონებს და ამჯობინებს, რომელსაც ჰსურს დააფასოს თავისი წაღმა-უკუღმა მიმართულება განათლებულ საზოგადოებისაგან. განათლებულს კაცს სრულებითაც არ უნდა ერჩივნოს ქალაქის განათლებულს საზოგადოებაში ცხოვრებას სოფლის გაუნათლებელს . . . . ხალხში ცხოვრება. ამისთვის რომ სოფლის ხალხი ჯერ ისე გარემოცულია უმეცრის ჩვეულებებით, ცრუმორწმუნეობებით და დაუდევარი გამერტლული ცხოვრებით. ხალხი არის გაუნათლებელი და გაუგებარი. იმას არა ესმის რა იმ მოვლინებებისა, რაც მის გარემო ხდება. ყოველს ბუნების მოვლენას, თუნდ აილეთ მიწის ძვრა, თავის და ქვეყნის ცოდვიანობის მანიშნებელ მქადაგებლად მიაჩნია.

ამ გვარის ფიქრებით სოფლის ხალხის გონება არის დახშული ყოველი ახალი, ცხოვრების გამაფაქიზებელი და გამაღაზათიანებელი ცვლილების მიღებისათვის, მას რაც მიუღია მამა-პაპისაგან: ჩვეულება, ზნეობა, ცრუმორწმუნეობა და ცხოვრების კილო, ამაების მეტი არა მოსწონსრა. ყოველი ახალი მას აშინებს და აფთხობს. ეს არის მიზეზი, რომ გაუხსნელი ხალხი ძალიან დაჰსცინის ხოლმე იმ განათლებულს კაცებს, რომელნიც მათ შორის ქადაგებენ გონივრული ცხოვრების ახალ კილოს, წინააღმდეგი უხდებიან მათს ცუდს ჩვეულებებს, ცუდს ზნეს და სხვა. გრიბოედოვის განათლებული ჩაცკი ქადაგებს გაუნათლებელს მოსკოვის ხალხში ბრწყინვალე აზრებს, მაგრამ მას დასცინიან და სასაცილოდ იგდებენ, რის გამო ჩაცკი ისე ბრაზიანდება, რომ კაცს უკვირს ამ განათლებული კაცის ცოდვიანობა, და მაშინ ის მართლაც სასაცილოდ აგდების ღირსი ხდება. დალოცვილის შვილს, რა-

და აჯავრებს: არ უგონებენ და დაე ნუ გაუგონებენ! მაგრამ არა: რადგან მოსკოვლებს არა ესმოდათ ჩაცვის ქადაგებისა და ამისთვის[illegible] ლიან ეჯავრებოდათ, ახლა ჩაცვა უნდა დაჰყოლოდა და დაჰმორჩილე-ბოდა ხალხის სუფრე ჩვეულებას, ზნეს და ისეთი მსჯელობა უნდა მიე-ლო ყოველის ფერზე, ვითარცა ჰქონდა გაუნათლებელს ხალხს, უნდა შერიგებულიყო ხალხის ბინძურ ცხოვრებასთან, და ხელი აეღო თავის აზრზე და მიმართულებაზე, რომელი ცვლილებაც მას თავ-ზარ დაჰცემ-და, ამისთვის რომ თავის თავისავე წინააღმდეგ იმას «ჰოო» უნდა ეთ-ქვა, რასაც გაუნათლებელი საზოგადოება იტყოდა, უკეთუ ჰსურდა მშვიდობიანად, უშფოთველად და არა გულ-ამოძუებულად ცხოვრება. ყო-ველი განათლებული კაცი, რომელიც შევა სოფელში და იწყებს ხალხთან ცხოვრებას, თუ უნდა, რომ ის ხალხმა მოიწონოს, მშვიდობიანად იც-ხოვროს, სასაცილოდ არ აიგდონ, უნდა ქვემდებაროს ხალხის აზრს; უამისოდ ის ხალხში ვერც მოთავსდება და ვერც იცხოვრებს. აბა ახლა, მაშ იფიქრე, ჩემო უბნელო, რამდენად საზარალოა განათლებული კაცი-სათვის თავის მიმართულებაზე და მსჯელობაზე ხელის აღება და ხალხის მსჯელობის და მიმართულების მითვისება. მე არა ვგონებ, რომ ამაზე დიდი უბედურება კიდევ იქმნებოდეს რამე განათლებული კაცისათვის. აგრე, ჩემო სისხლ-ხორცო, ქართველო, მე თქვენ წინააღმდეგ უნდა დავამტკიცო, რომ სოფელში დაუდევრობას და ბინძურად ბურსაკულად ცხოვრებას, რომელსაც თქვენ თარხნობას უწოდებთ, მე ქალაქში მზრუ-ნველობა მირჩევნია სიფაქიზეზე, ნოყიერს და ზომიერს ჭამა-სმაზე, რადგან ამაებს მოითხოვს კაცისაგან გონიერად წოდებული მეცნიერება.

მაგრამ, ვაი ჩემი ბრალი, მკითხველო! მე რომ ძალიანაც მოვიწო-ნდეს ქალაქში ცხოვრება, მე მაინც-და-მაინც უნებლიედ სოფელში უნდა ვიცხოვრო. მე ბედმა აქ გადმომტყორცნა, მაგრამ ძალიან კი ვცდილობ თავაზიანად დავითხოვო ჩემგან ეს ამ გვარი სვედრი. «ცდა ბედის მო-ნახევრეა» ნათქვამია. მე ჩემის მხრით ვეცდები და იქნება ღმერთმა ჰქ-

ნას აუსრულე და აგსცდე უსიამოვნო ბორკილს ხალხთა ჩვეულებისას, ზნეობისა და მსჯელობისას. ძალიან ბევრია ამ დალოცვილ-სოფელში უსიამოვნო და ჭკვა-გონების დამაძინებელი მოვლინებები, რომელნიც მუდამ და ყოველს ფეხის გადადგმაზე გექადიან უმეცრების დაღებულს პირში მიცემას. აქ უმეცრება ისე ჭკლავს და ისეთ ტალღებს იხვრის, რომ მუდამ გეშინიან-უმეცრებამ ეგ გონება მისდილი და დაბეჟილი არ მიმაგდოს საქმეო.—ახლა კი მესმის, ჩემო უბნელო, თქვენი სიტყვები: «ახლა სოფელში რამდენ რასმე ჭნახავ ახალს, ჩემო მკითხველო, თუ ქალაქის მცხოვრები ხარ? დააკვირდი სოფლის ხალხის ცხოვრებას, რამდენს რასმე ისწავლი, ყური დაუგდე ხალხს, ჭკვას გაიგონებ! მიუპყარ თვალი და ყური შენი და ყოველნი საგრძნობელნი შენნი და ჭსცნობ, თუ ჭკვა-დასურული კაცი არა ხარ, ბევრს სასარგებლო და საჭირო საქმეებს». აი, მე დავაკვირდი სოფლის ხალხის ცხოვრებას, მიუპყარ თვალი და ყური ჩემი და ვხცან, რომ აქ უმეცრებას პირი აქვს დაღებული და ცდილობს, თუ მოახერხა, განათლებული კაცის მიმართულების, სიწმინდის, სიფაქიზის და ჭკვა-გონების, როგორც ამბობთ, ჩაყლაპვას. და აი, მე რომ ამის მეტი ვერა ვიპოვერა სოფლურს ცხოვრებაში, ძალიან გამიკვირდა უბნელისაგან მოწონება სოფლებში ცხოვრებისა და მოფიქრებისა, რომ იქმნება იმას მოსწყინდა ქალაქში მუდმივი ცხოვრება და ამისთვის ახლა სოფელში ცხოვრება მოსწონს. რასაკვირველია, რომ კაცს მუდამ ერთ გვარი ცხოვრება მოსწყინდება, რადგან ამ თვისებას არ შეიცავს თვით კაცის დაუდგრომელი ბუნება. იმას ძალიან უყვარს სხვა-და-სხვა ფეროვნებით ცხოვრება, ამისთვის რომ ეს მას ალვიძებს და აცხოველებს და იგი თვითონ არის სიცოცხლე.

ამ გვარის კაცის ბუნების მიხვრა-მოხვრა სჩანს აგრეთვე კაცობრიობის ისტორიიდამ, რადგან ყოველი კაცი არის პირველ-სახე (პროტოტიპი) საზოგადოებისა და მისი საკუთარი ჭკვა-გონების გასხნილობა შეადგენს ნიშანს საყოველთაო გასხნილობისა და წინ-წაწევისას. ყველა

ხალხსა აქვს დრონი თვისი უმეცრებისა, გამოძიებისა, გონიერებისა, განათლებისა, აღყვავებისა და დაცემისა, ასე რომ მთელს კაცობრიობას აქვს ბუნებას ეტყობა ეს ამ გვარი თვისება. უეჭველია, რომ კაცის ამ დაუდგრომელს თვისებაში არის მიზეზი თან-და-თან მისი წარმატებისა, განათლებისა და აღყვავებისა, მაგრამ ამისთვის მოწონება ამ წარმატების გზაზე მსვლელობაში მისი ყოვლის ცრუ-პენტელაობისა, სრულებით არ შეიძლება. აბა მაგ. რა მოსაწონი იყო კაცობრიობის ცხოვრებაში ის დრო, როდესაც მომეტებული ნაწილი ხალხი საზოგადოებაში ცხოვრებას სულის წარწყმენდად ჰრაცხდა, და ამისთვის მიიხვეწებოდა მთა-ღრეში და იქ გარეწრედ ჰსცხოვრებდა: არ დასდევდა არც ხორაგს, არც ტანსაცმელს, არც სიწმინდავეს, სტანჯავდა და ჰჩაგრავდა თავის ბუნების მოთხოვნილებაებს და ღტოლვილებაებს და ბინძურად და მშიერ-მწყურვალს ცხოვრებაში ჰხედავდა თავის დანიშნულებას და ბედნიერებას. მე ამას ვერ მოვიწონებ, უბნელმა კი თავისი თვითონ იცის. «კაცია და გუნებაო», ნათქვამია, — ლუარსაბს ბოზბაში მოსწონს და მის ცოლს, დარეჯანს, ჩიხირთმა, ახლა რა ვქნათ: «გემოვნებაზედ ბაასობა რიგი არ არისო», ამბობენ რუსები. — თუმცა ეს საბუთები აქვს უბნელს, მაგრამ მე მაინც-და-მაინც უამბობ დრეპერის სიტყვებით ანტისთენისა და დიოგენის დაუდევარ ცხოვრებას და მით შევყვები ინგილოების ცხოვრების რომელთამე მოვლენაების აღწერას, რადგან, ჩემის ფიქრით, ესეც შემწეობას მისცემს უბნელს გაიგოს, თუ რამდენად მავნებელია და სამაგლეო კაცისათვის უწმინდურად, დაუდევრელად და გარეწრედ ცხოვრება იმ სოთარხნით, როგორც ესმის ის უბნელს.

ანტისთენი არის ფილოსოფოსი, დამაწყებელი ცინიკური (ძაღლური) მოძღვრისა. მისი სწავლის შინაარსი ძალიან კარგიად გამოიხატების მისივე ცხოვრებით. იმან უარ ჰყო სვიანი და კაცის სიცოცხლის დამატკბობელი სიმდიდრე: თავის ნებით სცხოვრობდა დიდს სასწყლეში და არას დასდევდა მოსაკვდინებელს სიცხე-სიცივეს; ეცვა ძალიან მო-

უწოხარი მიუხრუწილ-მოუხრუწილი ტანისამოსი, არას დასდევდა წვერ-
ულვაშის სისუფთავეს, დადიოდა გათხუპნული და გალეჰკუჭმული და
მშიერ-მწყურვალად გდება ბედნიერებად მიაჩნდა. ვინც გაივლიდა და გა-
მოივლიდა მის მახლობლად. შეუძლებელი იყო არ მისწდომოდა მის
თავ მოყვარეობას და არ ეწყენინებინა უშვერის სიტყვებით, საძაგელი
მისვრა-მოსვრით და გატყლარჭვით. ამ გვარის ქცევით იმან ისე შეა-
ძულა ყველას თავისი თავი, რომ არა ვინ ეკარებოდა მას, დიოგენ
სინოპელის გარდა; ბოლოს მოკვდა ძალიან დიდს სისაწყლეში. ის არა-
ფრად აფასებდა სამშობლოს სიყვარულს და მეგობრობას: როდესაც იმის
სიცოცხლის უკანასკნელ დღეს ჰკითხა დიოგენმა: საჭიროა მისთვის
მეგობარი, თუ არა?—ანტისთენმა კითხვით მიუგო: «შეიძლებს მეგო-
ბარი ამ ტანჯვისაგან ჩემ გამოხსნასა?» დიოგენმა ხანჯალი მიაწოდა
და უთხრა: «აი ეს დაგიხსნის».—«მე მსურს გავთავისუფლდე წვალებისა
და ტანჯვისაგან, და არა სიცოცხლისაგან», მიუგო ანტისთენმა—აბა რა
მოსაწონარია, უზნელო, ამ გვარად კაცის ცხოვრება, მოშორება თავის
ტოლ-ამხანაგთან და გარეწრად ყოფნა. კაცის ბედნიერება არის მოსათვი-
ქრებელი მხოლოდ თავის ტოლ-ამხანაგში, რომელნიც ერთის მიმართუ-
ლებით, აზრით, გრძნობით და სარწმუნოებით სცხოვრებენ. და გარეგანი
ცხოვრების მოვლენებიც ეთანხმებიან შინაგან ჭკვა-გონების მიმართუ-
ლებას. მაშასადამე უზნეურია განათლებული კაცი მცხოვრები გაუნათლე-
ბელს ხალხში, სოფელში, რომლის ცხოვრებაც მის მიმართულებას სრუ-
ლიად ეწინააღმდეგება.

ამის სწავლა მიითვისა და ფეხ-და-ფეხ მისდევდა დიოგენ სინო-
პელი. ეს კაცი ძალიან გარყვნილი იყო. საცოდავი და შესაბრალისი
სწავლა ანტისთენისა ამ კაცმა მთლად მოიხმარა ცხოვრებაში. ჯერ სი-
ყრმიდგანვე ის იყო მიჩვეული ნებივრულს და კმაყოფილს ცხოვრებას,
მაგრამ როდესაც მის მდიდარს მამას გამოაჩნდა ყალბი ფულების მო-
ჭრა, დიოგენმა, რომელიც ამ საქმეში მონაწილე იყო, დასტოვა მედი-

დური და ნებივრული ცხოვრება, ამაოდ შერაცხა ქვეყნიური სიამოვნება და შეაფურთხა ხალხისა ჩვეულებას. შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ის იყო ხასე და წინამორბედი მომავალი დროებისა, ამისთვის რომ ის ცდილობდა დაეხშო ბუნებითი მიზიდულება მარხვით და გაჭქწრედ ბოჩკაში ცხოვრებით. ის ამბობდა, რომ სხეული უშლის კაცის სულს ბჯერს ქველ საქმესა და ამისთვის ჭნაგრავდა, ადუნებდა და ასუსტებდა მას ყოველის ღონისძიებით. ის ქადაგებდა, რომ რამდენათაც კაცი უასლოვდება ფიქრს თავის-თავის მკვლელობისას, იმდენად ის ახლოს არის კეთილობისადმი. იმას არა ეცვა რა ტანზე ერთი გრძელი კაბის მეტი; გამშარანი, კომბალი და ერთი წყლის სასმელი ჯამი შეადგენდნენ მის სიმდიდრეს; მაგრამ ჯამი შემდეგში იმან გადააგდო, როგორც ნივთი უსარგებლო, ოდეს დაინახა, რომ ერთი ყმაწვილი წყალს მუჭით სვამდა. იმას დიდ კმაყოფილებად მიაჩნდა ღანძღვა საზოგადოების პატიოსნური აზრებისა, საქვეყნოდ ასრულებდა სხეულის მოთხოვნილებას, და ამტკიცებდა, რომ რაც თავის თავად ცუდი არ არის, ის აშკარად უნდა გაკეთდეს. ამბობენ, რომ ის იმისგან მოკვდა, (დაბადებიდგან მე ოთხმოცდა ათ წელში,) რომ უმი ძროხის ფეხი შეჭამა. იმან ისე საძაგლად მოიხმარა სოკრატის ზნეობითი სწავლა, რომ უწოდეს: «შეშლილი სოკრატი». მისგან სასაცილოდ აღგება, მისი სიძულილი, უკადრისობა სხვათა მსჯელობისა და სჯულის ურწმუნოება ძალიან კარგად აიხსნებიან იმ მოთხრობით, — რომ იმან ერთხელ თავის ავათმყოფობის დროს აღუთქვა მეგობრების წინაშე დაისა ღმერთის მსხვერპლის შეწირვა. მეორე დღეს ის მოვიდა ტაძარში, დაიჭირა თავში კბენარი და მოჰკლა დიანას ტრაპეზზე და მით გადიხადა მსხვერპლის შეწირვის მოვალეობა.

აბა, ჩემო უბნელო, მოასწონარია ამ კაცის ბოჩკაში გარე-წრედ ცხოვრება? რომელიც არას დასდევს არც სმა-ჭამას, არც ტან-საცმელს და არც სახლს, არ ეძიებს საწმინდავს და სიფაქიზეს. განა ეს სიათა-

ხნეა? განა ამას დიოგენისა და მის გვარი მიმართულების ხალხის მეტი კიდევ ვინმე მოიწონებს? განა თქვენც ამ გვარი დაუდევარი ცხოვრება მოგწონთ? განა თქვენც დიოგენის მიმართულება გაქვთ? ვაიმე, თუ მართლაც ასეა!

3

«ვითარს სამწუხარო მიმართულებას კაცის ჭკვა-გონებისას წარმოგვიდგენენ ეს ფაქტები!» ასე დაფიქრებით და მწუხარებით ათავებს დრეპერი, ავტორი ევროპიის ჭკვა-გონების გახსნის ისტორიისა, ამ არა კაცთა ცხოვრების აღწერას. მართლაც რომ შესაბრალისნი არიან ანტისფენი და დიოგენი. უკანასკნელი განიცდა და ამაგა უკარგისი, ბინძური და ძაღლური მიმართულებისათვის არა თუ მარტო პირუთნეველმა კაცობრიობის ისტორიამ, არამედ ინგილოს ხალხმაც. იგი ქოქოლას აყრის დიოგენს ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისებრი მიმართულების კაცებს ძაღლად აქცევს. მას თავისებურად გამოუსატავს მისი ცხოვრება და ზეციური ძალით ძაღლად უქცევია. მას მისი ცხოვრება ქრისტიანობაში გადმოუტანია და განუგმირავს მისი უღმრთო მიმართულება და ყოფა-ქცევა წმინდის გიორგის ძალით. აი რა გვარად მოუთხრობენ ინგილოები კაცის თარხნად ცხოვრების ამბავს. გიამბობ, ყური დაუგდე უბნელო, თუმცა იგი შენს მეტს არავის ეჭაშნიკება. რავქნათ, ყველასთვის გასართობი აბა სად ვიშოვნოთ.

ყოფილა ვინმე მეაქლემე არაბი ანუ მეცხვარე. ამას გაუგონია წმინდა გიორგის სასწაულთ-მოქმედება და მოუყვანია თავისი ცხვრის ფარა ამ წმინდის ეკკლესიის მახლობლად, რომ რა არის გამოსცადოს: მართლა აქვს იმას სასწაულთ-მოქმედების ძალა, თუ არა.

ეს ეკკლესია წმინდის მთავარ-მოწამისა არის ხოფ. კახის აღმოსავლეთის მხარეს; მდებარებს ერთს წინ-ცხვირ წამოწვდილ მთაში, რომე-

ლიც დაჭყურებს ალაზანს, და შეადგენს ერთს დიდ ლოდს, რომელიც უგუმბათო ეკკლესიას მიემსგავსება. ლოდი იქმნება სიგრძე-სიგანით 12 არშინი, ხოლო სიმაღლით — ექვსი. — ხალხის აზრით, ეს ლოდი შიგ ღრუვიანია და ის ღმერთს აგრე დაუბადებია. აი ეს არის წმინდის გიორგის ეკკლესია, რომლის დასავლეთისკენ დარბაზში აწყვია ზოლ-ზოლად, კეცებად, ლოდი ქვები. აი შიგ ამ ლოდში, ხალხის აზრით, სცხოვრებს საქართველოს მფარველი წმინდა გიორგი, და მეორე, ხელით აშენებულს, ეკკლესიაში, რომელიც ახლა დაქცეულია, — საქართველოს პატრონი ყოვლად წმინდა ღვთის-მშობელი. ამ სალოცავს ხალხი უწოდებს: «ქურმუხის საყდარს».

აი აქ ამ ეკკლესიაზე მოსულა მდიდარი მწყემსი წმინდა გიორგის მადლის გამოსაცდელად. აქ მას დაუნებებია თავი ცხვრის ფარისთვის და უთქვამს: აბა, წმინდაო გიორგი! თუ შენ მართლაც სასწაულთ მოქმედების მადლი გაქვს, დღეს და ამაღამ მოუარე ჩემს ცხვარს, ისე რომ არც ერთი არ დააკლდეს ფარას და მაშინ მე ვირწმუნებ, რომ შენ მართლად მადლი გქონია და ერთს კარგს მოვლილსაც სამღრთოდ შემოგწირავ. ამას შემდეგ მეცხვარეს გაუნებებია მეორე დღემდე ცხვარი თავის ნებაზე. იმას თვალ-ყური აღარ დაუჭერია ცხვარზე იმ დღეს და ღამეც არხეინად დაუძინია. ცხვარს უძოვნია ის მახლობლივი მთები და საღამოზე მისულა თავის თავად და დაქუჩებული იმ მეცხვარის ახლოს. დილას ამდგარა — დაუთვლია ცხვარი და უნახავს, რომ სულ მთლად არის. იმას ეს ძალიან სწყენია და, გაჯავრებულს, დაპირებული სამღრთო კი არ შეუწირავს, არამედ. . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . ამ საძაგლობისთვის ღმერთს იმისი ცხვარიც და თვითონაც ქვად უქცევია. და აი, მკითხველო, ზემოდ-მოხსენებული, ზოლ-ზოლად მწყობი ქვები, ინგილოების აზრით, იმ მეცხვარის ცხვრები ანუ არაბის აქლემებია.

რამდენად მიემსგავსება ეს მოთხრობა დიოგენის მიმართულებას და მოქმედების ამბავს, მე ამაზე აღარას ვიტყვი, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამბავში, თუ მისი არა, მისებრივი კაცის ცხოვრება და მიმართულება არის გამოხატული; და თუ ეს ტყუილია, გამოაცხადოს უმნელმა.

## 4

ამ ქურმოხის წმინდა გიორგის ეკკლესიას ვახუშტი თავის გეოგრაფიაში, სოფ. ჯაკის და ელისენის აღწერაში, მოიხსენებს მხოლოდ «ქურმოხის ეკკლესიად». მაგრამ ეტყობა, რომ იმას ძალიან მცირედი ცნობები ჰქონია ამ მაზრაზე. ის ამ ერთი ეკკლესიის მეტს, თუმცა მრავალნი უფრო უდიდესნი და უმშვენიერესნი არიან, არ მოიხსენებს თავის აღწერაში, რომლების აღწერის დადუმებაც აიხსნება მხოლოდ მისი უცოდინარობით. რომ მართლაც ის ვერ იცნობს ამ მხარეს, ეს მტკიცდება პირველად იმ ფაქტით, რომ იმან არ იცის ქურმოხის ეკკლესიის წმინდის სახელი, არ აცის ვის სახელზე ყოფილა აშენებული, და ამისთვის ის უწოდებს ხალხსავით ურუვად: «ქურმოხის ეკკლესიად»; მეორედ ვახუშტი ამბობს, რომ სოფ. ქისში არის დიდი მშვენიერი გუმბათიანი ეკკლესია და აქ მჯდარა ეპისკოპოზი მაქისისა, წუქეთისა (ესე იგი: ჯაკისა) და ელისენისა (ესე იგი: ჭარ-ბელაქნის ქვეყანისა); მაგრამ ეს ეკკლესია არ არის არც დიდი, არც მშვენიერი, მხოლოდ ძალიან მოხერხებულს მაღალს ადგილას არის აშენებული, ასე რომ მორიდამ თუ უყურებს, ის აღავერდზედ დიდი და უმშვენიერესი გგონიათ თავისი მაღალი გუმბათისგამო, მაგრამ ახლოს რომ მისვალ, ის ძალიან პატარა ეკკლესიად დაგხვდებათ. ახლა სომხების მონასტერია.

ვახუშტმა არც ამ ეკკლესიის სახელი იცის, მაგრამ, როგორც შევიტყე მე, 1869 წელს, როდესაც მივედი იქ იმ ეკკლესიის სანახავად,

ის არის აშენებული მოციქული ელიჲს სახელზე, რომელიც სამოცდაცხრა [illegible] თავგანიათ, მარწმუნებდა მუნ მყოფი მნათე. როგორც ეტყობოდა, ეს ძალიან გამოქნილი და საკმაოდ ნასწავლი კაცი უნდა ყოფილიყო სამღრთო-წერილში. თათრულს ვერ ლაპარაკობდა თავისუფლად, მაგრამ ფრანციზულიკი, როგორც შევიტყე იქვე, კარგად სცოდნია, რადგან დიდ ხანს უვლია ევროპაში წმინდათათვის თაყვანის საცემლად და სავაჭროდ. ამ ამბავმა მე გამიცხოველა სურვილი ამ ტაძრის გარემოების შეტყობისა, მაგრამ ამაოდ დარჩა ჩემი წადილი. ის ვერ ლაპარაკობდა კარგად თათრულს. შევიტყე მხოლოდ ის, რომ ამ ეკკლესიას აქვს საწიგნე (ბიბლიოთეკა), — რომელშიაც ბევრია თურმე ძველებური წიგნები. მე თუმცა ძალიან მოვიწადინე იქ შესვლა და წიგნების შინჯვა იმ განზრახვით, რომ იქნება ძველი ქართული ხელთ-ნაწერი რვეულები ვიპოვო მეთქი, მაგრამ ჩემს საუბედუროდ იმის წინამძღვარი შინ არ დამხვდა და მე ძალიან დიდად დავღონდი. ერთი ეს კი მითხრეს, რომ ეს ეკკლესია ხან ქართველების ხელშიაო, ხან ხომსებისაო, და ამათ ერთმანერთის ზედ-წარწერაები, სასაფლაოს ქვებზე თუ ეკკლესიაზე მყოფი, უშლიათ და თავიანთი უწერიათ. ამ გვარად ქცევისა გამო აქ აღარა იპოვება რა ძველებური წარწერაებისა. ხოლო ახლებთა შორის კი ის იყო შესანიშნავი, რომ ის საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, (1830 წლებში) არის განახლებული; მისი განახლებაც იმაში მდგომარეობს, რომ იმისი ქვემოთი დასავლეთის შესავალი კარების კედელზე, რომელიც ყოფილა გადმონგრეული მტრისაგან, ზედ არის მიშენებული სხვა კედელი რიყის ქვით, რომელიც ისე გაირჩევა თლილი ქვის ძველი კედლებისაგან, როგორც ღამე დღისაგან. ამ კედლის მიდგმით ეკკლესია უფრო გაუდიდებიათ.

ვის ხელში ყოფნაში ყოფილა ამ ეკკლესიის კედელი დაქცეული, ანუ, უკეთა ვსთქვათ, ვის ეკუთვნოდა ის წინა-პირველად, ამას ამტკიცებს პირველად ვასუშტი, ოდეს ამბობს, რომ აქ მჯდარა ეპისკოპოზი,

მესხიისა, წუნქეთისა და კლარჯეთისა, რომელ ქვეყნებშიაც იყო ქრისტიანობა ქართველთა ეკკლესიის წესით. მეორედ ამტკიცებენ ჯავში მცხოვრები ქიშიანები ნადირანები,—რომელთაც აქამდე ჯავში მრავალნი ამ გვარის უწოდებენ და ამბობენ, რომ ისინი ამისთვის იწოდებიან ასე, რომ ქიშის სოფლიდგან მოსული ქართველები არიანო. ეს ს. ქიში მდებარეობს ქ. ნუხის თავში.

გასაკვირიც არ არის, რომ ვახუშტმა, ქართლ-კახეთის ეკკლესიების დაწვრილებით აღმწერმა, არ იცის უფრო შესანიშნავი ეკკლესიები ზაქ. მაზრაში მყოფნი, ვითარნიც მაგ. არიან ლექეთისა, ყუმისა, ზურნისა, გულუგისა და ბახთალოსი, ამისთვის რომ იმ დროს, როდესაც ის სწერდა გეოგრაფიას, ნუხის მაზრა და ზაქათალის მაზრა მოშორებულნი იყვნენ პოლიტიკურს ერთობას კახეთის სამეფოსთან. და თუ ზოგიერთნი ქრისტიანობას აღვიარებდნენ, იმასაც მალვით, ფარულად, მაჰმადიანობის სახელს ქვეშ. მაგრამ ეს კი არის, რომ ნუხის მაზრაში უფრო მალე დაღუპულა ქრისტიანობა და მასთან ქართველობაც, ვიდრე ზაქათალის მაზრაში. ამის გამო მრავალთა ნუხის მაზრაში მცხოვრებთა და ქრისტიანობის მსურველთა ქართველთა დაუტოვებიათ თავიანთი დედულ-მამული და გადმოსულან წუქეთში—კახში—სადაც გადმოჰყოლიათ აგრეთვე ეპისკოპოზი. რომელს წელში მომხდარა ეს არევ-დარევა, მე ამისი გარკვევით არა ვიცი, მხოლოდ იმას ვფიქრობ, რომ ამ დროს აქეთ ეპისკოპოზის კათედრაც ს. კახში გადმოუტანიათ და მღვდელ-მთავარს უცხოვრნია ზემოდ მოხსენებულს ქურმოხის წმინდა გიორგის ეკკლესიაში. ასე ამბობენ ინგილოები. აქედგან მას უმწყემსავს თავის ეპარხიის ქრისტიანების, შაჰაბაზის შემდეგაც, რომელმაც აქ ძირიანად შეარყია ქრისტიანობა და ქართველობა 1604 წელში.

ინგილოების ფიქრით, აქაური უკანასკნელი ეპისკოპოზის მოკვლა ილისოს ხელთნისგან არ არის ძლიან დიდი ხანი. ეს უკანასკნელი

ეპისკოპოზი თურმე დააპატიმრეს ილისოს სულთნებმა, დიდ ხანს აწვალეს და ეუბნებოდნენ: «გვითხარ, სად არის შენახული თქვენის ეკლესიების ნივთეულობა და ფული, თორემ მოგკლავთო». მღვდელმთავარს, წვალებისაგან თავი რომ მოჰბეზრებია, სიკვდილის მსურველს უთქვამს: «წამიყვანეთ ჩემს სამშობლოში კახში და იქ გეტყვით, სად არის ეკლესიის განძიო». ის მოუყვანიათ თავის სახლში, იმას მაგრა შემოუყუჟღავს (?) ეზოს ხირხლები და უთქვამს: «ახლა კი რომ კიდეც მომკლით, ფიქრი არა მაქვს: მე ჩემს სამშობლოში მოვკვდები და დავიმარხები მაინც არის, და სად არის ეკლესიების სიმდიდრე დამალული, მას კი არ გეტყვით». ვერას გზით და ღონის-ძიებით ის ვეღარ მოუშორებიათ ამ ხირხლებისაგან და ამის გამო გაბრაზებულთ და ყელში ბოღმა მომდგარ მაჰმადიანთ ლუკმა-ლუკმად უქცევიათ და სასაცილოდ აგდებისათვის ხოლო. თორაღასათვის,—რომელი სახელიც აქამდე რჩენია კაკს—უწოდებიათ: კახი, რომელიც ჰნიშნავს: ლეღვისა თუ ვაშლის ჩირს: ესე იგი ეპისკოპოზი ისე აკუწ-დაკუწეთ, ისე ლუკმა-ლუკმად ჰაქციეთ, როგორაც ლეღვის და ვაშლის ჩირიო. აი ამ დროიდგან და ამ მიზეზისა გამო მკლებური სახელი კაკისა: თორაღა—შეუცვლიათ და სასაცილოდ უწოდებიათ თორაღასათვის ახალი სახელი—ყახი (ლეკურად, ინგილოურად: კაკი) *). ამის სიასლეს ამტკიცებს აგრეთვე ბროსეცა. ის ამბობს, რომ წოდება კაკი არის ახალი წოდება ილისოს სასულთნოსიო, მაგრამ არ ვიცი კი საიდგან წარმოსდგაო.

ზაქათალაზე ხუთი ვერსტის სიშორით არის მეფე ლეონის დროინდელი, გუმბათიანი ეკლესია, რომელიც 300 წელიწადის განმავლობაი ობლად იმყოფება, ამბობს პლატონ ეგ.-მე იოსელიანი. საქარ-

*) ეს არის მიზეზი, რომ მე ამ სტატიაში ვხმარობ ხან კახს, ხან კაკს.

თველოს მეფეთა მორჩილნი ჭარელნი, განაგრძელებს ის, ვერ [illegible]დნენ შეწუხებას ეკკლესიის გარშემო მცხოვრებ ქრისტიან[illegible]ჯრა უწინარეს მამისა და ძმის მკვლელი მეფე კონსტანტინესი (1604 წ.), რჯულის მოღალატისა, რომელმაც დაუმონავა და უმკვეთრდომა აქაური და ამას ქვეითა ქრისტიანობა ილისოს სულთანს, დასმულია შიგ ღვთის მსახურება აქამდე მოღწეულს ტაძარში. სხვა ქართველთა მკომურნი, რომელნიც ზაქათალას ქვემოთ სცხოვრებენ და არიან რიცხვით ორმოც ხოვლამდე, ხმლით და ისლამის ძალადობით მიქცეულან მაჰმადის სარწმუნოებაზე ინგილოდ (ანუ გათაგმეველად) სასულ-წოდებით. ქართველებთან პოლიტიკურს ერთობას მოკლებულმა ინგილოებმა, თუმცა მამა-პაპური სარწმუნოება ვერ დაიცვეს, დაიცვეს ენა (ქართული) და პატივის ცემა ქრისტიანობისადმი. კახეთის მღვდელმთავარნი და უკანასკნელი ბოდბის მიტროპოლიტთაგანი (განა კიდევ იუგნეს?) იოანე ბოდბელი, არ სტოვებდნენ იმათ უსაღმრთო ნუგეშოდ; წმინდა აღდგომისათვის ისინი უგზავნიდნენ ნაკურთხს სანთლებს, რომელნიც მათ მოაგონებდა ქრისტეს აღდგომას..... ეს კავშირი და ერთობა სჩანს აგრეთვე მეფეებისა და ინგილოების შორის 1800 წლამდე; ამ წლიდგან კი ის შესწყდება. —

5

მიუბრუნდეთ ახლა «ქურმოხის» წმინდა გიორგის გარემოების აღწერას; ვგონებ რომ ღირს იმისი თქმა.

ეს ეკკლესია მდებარეობს ძალიან მშვენიერს ადგილას: იქიდგან მოჩანს მთელი ნუხის მაზრა, აღმოსავლეთისკენ რომ გაიჭიმება, და ზაქათალის მაზრა, პირს რომ დასავლეთისკენ მიაქცევს; აგრეთვე მოჩანს ქიზიყი, კახეთი და ალაზნის ველი. იგი ლოდი ეკკლესიისა გარემო არის გათლილი და კედლებად აყვანილი, და დასავლეთს მარცხენა

მხარეს გვერდის კედლის გარედგან აქვს ჩამოსაჯდომი საჭე, ზედ [illegible]-
დის კედელზედვე ჩამოჭრილი. ეტყობა, რომ ის ყველგან გარშემო [illegible]
და ჰქონდეს, როგორც, მაგალ., აქვს თბილისის სიონის სობოროს,
მაგრამ ნანგრევებისაგან ის ქვეშ არის მოტანებული. ეტყობა ის ლოდი
არის გამოკვეთილი ბერებისაგან და ეკკლესიად ქცეული. ახლოს რომ
მისვიდეთ და დავკვირდეთ იმას, სწორედ უგუმბათო ეკკლესია გეგონე-
ბათ, ასეა ხელოვნებით გათლილი; მაგრამ შორიდამვე ის ერთი უბრალო
ქვა უშველებელი ლოდი გგონიათ. ზევიდამ წვერშიაც, ჩემის აზრით,
ის ყოფილა აჭრილი და ზედ აშენებული ჰქონია გუმბათი, რომლისა-
გამო, უიმისოდაც მაღალს ცხვირ-წამოწვდილს მთაზე მდებარე ეკკლე-
სია, ძალიან შორიდამ გამოჩნდებოდა და ეჩვენებოდა კაცს დიდად და
მშვენივრად. ამ აზრს ამტკიცებს პირველად ლოდის ბანზე მყოფი ქვი-
ტკირის ნანგრევი და ჩაქცეული შენობის ქვა, ასე რომ ადვილად შე-
იძლება ამოაღაგოს ის კაცმა. მეორედ ამტკიცებს ხალხის გარდმოსაცემი,
რომ ლოდი ღრუე და სამხრეთის მხარეს კედელში კარებიც ჰქონია,
რომელიც ამ ჟამად არა სჩანს. ეს აზრი მე ნამდვილად მიმაჩნია და
ვგონებ, უღვთო შაჰპასახს რომ დაუმტკიცდება მახლობრივ მყოფი, სამხრეთით,
ღვთის-მშობლის ეკკლესია, მაშინ ის იმის ნანგრევს დაუხშავს და
ქვეშმოუტანებია. სწორედ იმ ალაგს, სადაც ხალხი კარებს უჩვე-
ნებს, საყენ ნახევარზე ნანგრევის ქვა და მიწა ჰყრია. ეს ეკკლესია არის
ანგილოზების მოვარეკლი და სალოცავი, მათი პატრონი და ხუცეში. მის
გარეშემო მყოფი ქვაც, ხეც და მიწაც წმინდად მიაჩნიათ და ამისთვის ხელს არ
ახლებენ. როგორც ეტყობა, მუნ მყოფი მილეწილ-მოლეწილი შენობებით,
აქ ყოფილა მონასტერი, აშენებული წმინდის გიორგის სახელზე. ამას ამ-
ტკიცებს სხვათა შორის აგრეთვე მეცადინეობა მუნ მცხოვრებთა ქუ-
ოხის მდინარიდამ რუვით ამ ეკკლესიაზე წყლის გასაყვანად. ხანუგვარს
მნავს მოუთხრობენ ანგილოზები ამ საწყლე რუვის გაითხრის თაობაზე.
მის შეტყობა გვიანებს არ იქმნება ურიგო, ამისთვის, რომ აქ მკითხვე-

ლი ჰმოვებს ინგილოს ხალხის ჭკვას, გამოსატყულებას, მხედრობას მე-ცრს დედაკაცებზე და სიყვარულზე. მაგრამ კიდრე ამ ამბის მოთხრო-ბას დავიწყებდე, მკითხველო, ნება მომეცი ერთი ისა ვსთქვა, რომ თუ აქ მართლათაც მონასტერი არ ყოფილიყოს, არ ეცდებოდნენ ამ რუვით იქ წყლის გაყვანას, ამისთვის რომ ერთი-ორი კაცისთვის წყ-ლის მოტანა შეიძლებოდა ქურმოხის მდინარიდამაც, რომელიც იქ ახ-ლოს, მთის ძირას, 80 საჟენზე, ჩამოუდის ეკკლესიას.....

მღვდლებს და მღვდელ-მთავრებს, ამბობენ ინგილოები, ძალიან დი-დად მოუწადინებიათ, რომ ამ ქურმოხის წმინდა გიორგის ეკკლესიას წყალი ახლოს ჰქონოდა. ამისთვის ფრიად დიდი მეცადინეობა გაუწე-იათ, რომ მთები გაეჭრან და ქურმოხის მდინარიდამ, რომელიც სოფ. კაკის სამხრეთით მომდინარეობს, იქ ეკკლესიაზე წყალი გაიყვანონ; მაგ-რამ ეს ვერას გზით ვერ მოუხერხებიათ. ამ დროს მოსულა ერთი მაჰმადიანი, ბეგისა, თუ ხანის შვილი, და სოფ. კახის და ამ ქურმოხის წმინდა გიორგის მღვდლისათვის ქალი ცოლად უთხოვნია. ქალი მა-ლიან ჭკვიანი და მშვენიერი რამ ყოფილა; მღვდელს არ ჰსურვებია მაჰ-მადიანისათვის მისი მითხოვება, მაგრამ ნებით თუ უნებლიედ იმას მა-ინც და მაინც უნდა მიეთხოვებინა, რადგან ამ ხანის თუ ბეგის შვილს ჰქონია იმოდენა გავლენა, რომ შეეძლო ძალადობითაც წაეყვანა თუ ნე-ბით არ მისცემდა. და აი ახლა, რომ დაჰფაროს მისგან ეს მოუწადინა-რობა და დაუმალოს იმას თავის ასულის შერთვა, მღვდელი იმას უდებს პირობას. თუ ის იმ მოხსენებულს ეკკლესიაზე ქურმოხის მდინარიდამ წყალს გაიყვანს, მაშინ მისცემს მას თავის ასულს. მიჯნურს თანხმო-ბა უთქვამს, უყიდნია მაშინვე წერაქვები და მიჰყოლია თავისივე ხელით რუვის თხრას წყლის გასაყვანად. ხუცესს ჰგონებია, რომ ის ვერ გაი-ყვანს წყალს, მაგრამ მეცადინეობა და შრომა, ჩემო უმხელო, აბა რას არ მოასწყენს: წყლის გასვლას თურმე დღე-დღეზე ელოდნენ და მღვდე-ლსაც პირობისამებრ ასული უნდა ცოლად შეერთო მისთვის. მას თუ-

რმე ძალიან უმძიმდა პირობის შესრულება: მუდამ იმის ფიქრობდა, რომ როგორმე მოეშორებინა თავის ქალის მიჯნური; მაგრამ ვერა მოეფიქრებინა რა. ამ ფიქრში და წუხილში ყოფილა მღვდელი, რომ მასთან მოსულა მისი ასულის შობაზე მყოფი ბებია—ბებერი დედაკაცი, და უთქვას: «ნუ გეშინიან! მე დაგიხსნევ ამ კაცის ხელიდგან, ოღონდ გაიგონე ჩემი რჩევა. მოდი ასული თქვენი დავმალოთ.... და თქვენ ყველგან ბრძანება გაეცით, რომ სადაც სოფ. კაცის მახლობლივ ცხვარი თუ საქონელი არის, ორ დღემდე ნუ მოაწოვებენ დედებს ნურც ბატკნებს, ნურც ხბორებს და ზაქებს, რომ რა არის დამშივდნენ და დედაშვილთა ერთმანერთის ნახვის სურვილი ჩაუვარდეთ. მესამე დღეს თქვენსას მოვიპატიჟოთ განგებ ხალხი, ვითომ რიგი გინდათ გადუხადოთ თქვენს მიცვალებულს ასულს, და შუადღისას ცხვარი ბატკნებში, ხბორები და ზაქები საქონელში გავრიოთ; ორი დღის უნახავი ცხვარი და საქონელი, თავისით შვილებს რომ დაინახვენ უდროვოდ, ძალიან დიდ ბღავილს ასტეხენ. იმათ ბღავილში მე ახალ გამომცხვარს ლავაშს ავიღებ და წავალ შენი ქალის მიჯნურთან...... ის მე დამინახავს და მკითხავს: რა ამბავია? მე ვეტყვი: «შენ საცოდავო, აქ ცუდ უბრალოდ თავი რათ მოიკალ, ახლა რაღა გეშველება: შენი საყვარელი მღვდლის ქალი მოკვდა, და აი ახლა იმისი და შენის საცოდაობით მთელი ქვეყანა იწვის, სტირის და ჰქუხს» იმას, თუ მართლაც მიჯნურია, ამ ამბავზე თავ-ზარი ეცემა, ელდა გულს შეუღონებს, მწუხარებას ვეღარ აიტანს: ან თავს მოიკლავს, ან არა და თავს აიღებს და დაიკარგება ამ ქვეყნიდგან....» ხუცესი დაეთანხმებულა ბებერის რჩევაზე და ისე მოქცეულა. ქალი დაუმალავს. მესამე დღეს ხალხი ბევრი შეყრია ეზოში. ამ დღეს ბებერსაც აულია თბილი ლავაშები და წასულა ქალის მიჯნურთან. უამბნია იმის მიჯნურის სიკვდილი, უხვენებია მღვდლის ეზოში, რომელიც ფერდობიდამ ისილვების, ხალხის ყრილობა ამის თაობაზე, მიუთითებია საქონლის და ცხვრის ბღავილზე და უთქვამს: «ისინი (ბღავიან) სტირიან შენი საცოდაოს სიკვდილის სა-

ცოდაობაზე, თორემ ახა ამ შუადღისას ისინი რათ იბრალებდნენ, და ან მღდლის ეზოში იმდენი ხალხი რათ მოიყრიდა თავს». — [illegible] ღველს და მხმნელს მიჯნურს ელდა ეცემა, მწუხარება გონება მიხდილად ჭყოივს, გაწყრება წუთი-სოფლის ამაოებაზე და მაცდურებაზე. მართლაც ბებერი არ მოსტყუვდა. თავისი მიჯნური ქალის სიკვდილის შეტყობის შემდეგ ვაჟი, სევდის ფიქრებში გართული, შეისვრის წერაქვს მაღლა.... შეუშვერს თავს, მოჰხვდება და იქვე ამოანთხევს ტვინს. ბებერმა ქალის მიჯნური მოჰკლა, მაგრამ ვიდრე შინ მოვიდოდა და მღვდელს ახარებდა ამ ამბავს, მისი საყვარელი ქალიც უეცრად მოკვდა. სამ დღეს უკან ბებერმაც მიიღო მათ ორთა მიჯნურთა სვედრი.

რადგან წმინდა გიორგიმ ისე მოასწრია, რომ ეს ორნი მიჯნურნი და მათი ბედნიერების დამრღვეველი ბებერი დედა-კაცი ერთმანერთის გაჰყვნენ საიქიოს; ამისთვის, ამბობენ ინგილოები, იმათი სამივე საფლავები მღვდელმა ერთად მოათხრევინა იმ მთის ფერდობზე, რუვის მახლობლივ, სადაც ვაჟმა თავი მოიკლა. შუაში მაცდური ბებერი დაუსაფლავებიათ და აქეთ-იქით მიჯნურნი — ქალ-ვაჟი, რომ რა არის, მოდალატე და მაცდურმა ბებერმა მათ პასუხი გასცეს საიქიოს, რომ როგორც მათ დაუშალეს შეერთება ცოლ-ქმრობის კავშირით, და მათ ცოდვაში ჩადგა, ეგრეთვე აქაც ამის მაჩვენებელ ნიშნად იყოს ის მდებარე მათ შუა. ამისთვის აქ ვაჟის საფლავზე წითელი ვარდი ამოსულა, ქალისაზე — თეთრი. შუაში ბებრის სამარეზე კი მჟმვის ეკალი. ეს ვარდები ცდილობენ ერთმანერთთან შეერთებას, მაგრამ შუაში მყოფი მჟმვის ეკალი, მათ არ უშვებს შესაერთებლად. და თუ ვინმემ შუაში მყოფი ეკალი მოსჭრა, რომ რა არის ვარდები შეერთდნენ, მაშინ ისინი (ვარდები) ორივე გახმებიან. ამ ვარდებისა გამო ესლა ამ მთას, სადაც ესენი ასაფლავიან, «ვარდის სერს» უწოდებენ.

მართალია თუ არა ეს ორთა მიჯნურთა ამბავი, მე ამაზე მკითხველს დაჯერებით ვერ დავარწმუნებ, მაგრამ მერწმუნოს კი, რომ

შე ის რუვი მანახავს ფოთლით და ხის ნამსხვრევ-ნამტვრევებით ავსე-ლი; მაგრამ მე თუ მკითხავთ, არც ეს არის გასაკვირი. სიყვარულის-გან ბევრი ამისთანაები მომხდარა. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი:

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა სცემდეს;
შენგან მეფე მონას ექმოს, შენგან ბრძენი ველად რბოდეს,
და ბულბულსა რად ეზრახვის, რომ შენ გამო ვარდს შეჰყეფდეს?

(თ. ალ. ჭავჭავაძე).

ინგილო — ჯანაშვილი.

---

(შემდეგი იქნება.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნაპერწკალი.

მძინავს, და ჩემსა გარშემო სძინავს ყოველსა არესა:
სიბნელე, თვალის ამშმელი, მოედო ყოველს მხარესა.
ამა სიბნელემ მოიცვა ცა და ქვეყანა ყოველი
და რაღაც თილისმის ძალით იპყრო კაცთ შთამომავალი.
სძინავთ კაცთ დევთა ძილითა, ზეცას ისმის მათი ქშენა, —
ცას ღრუბელი მოეფინა, მიწას ნისლი დაეშენა, —
სძინავთ კაცთა, ბნელით მოცულთ, სძინავთ — ძილით იქცნენ ქვათა
და კაცთ ცხოვრება ცხოველი მოსასპობლად არის მზათა.
აღარ არის მოძრაობა, აღარ ისმის კაცთ სახელი,
დადუმდა და მთლად მიმტკნარდა კაცთ გონება მხნე და მსჯელი,
და ქვეყანა, ქვად-ქცეული, აღარ ებრძვის ცხოვრებასა,
დაემონა ტვირთსა მძიმეს, დაემონა — მონებასა.
უცებ სადღაც ნაპერწკალმა მაღლა ზეცას გაიელვა,
და ამ ოდნავ განათებამ კაცთ თვალები შეუმსჭვალა.
მაშინ კაცთა შეაჩვენეს სინათლე და მისი ძალა
და ღმერთს მადლობა შესწირეს, რომ სიბნელე დაამყარა.

ზურაბ მოენიძე.

## სოფლის ყრილობა და მისი გასამართლება.

(სურათი).

ყოველ სოფელში აქვსთ ჩვეულებად, რომ ყოველს კვირას, ან უქმე დღეს (დღესასწაულს) შეიყრება სოფელი ერთ ადგილას; უფრო ხში-რად ეს ყრილობის ადგილი იქნება ხოლმე სოფლის დუქანს მახლობლად. კრება იმათი დაიწყება ხოლმე თითქის დილის ხუთი საათიდამ და და-რჩებიან იქ შუა-დღის მეთორმეტე საათამდის. როგორ შეიტყობენ ხოლმე სოფელში უქმე დღეს? სოფელში, როგორც უსწავლელი ხალ-ხი და საქმეში გართული, უფრო მეტ ნაწილს იმათგანსა რა დროს რა დღესასწაული მოდის, გარდა იმ სასაყდრო დღესასწაულისა, რომლის ტაძარიც ახლოს არის და რომელშიაც დღეობაში დიდი ყრილობა იცის. ალხისა, მაგალითად: დღეობა ალავერდისა, რომელიც მოდის 14 სექ-ტემბერს, თეთრ-გიორგისა (როგორც სახლი ეძახის) მოდის 15 აგვი-სტოს, შუა-მთისა და სხვ.,—სოფელი იმათი შეიტყობს დღესასწაულს, რომ წინა საღამოს დღესასწაულისას სოფლის საყდრის ცალს ზარს დაუწყებენ რეკას. ხან-და-ხან მოხდება ხოლმე, რომ ან მღვდელს დაა-ვიწყდება დარეკვა, ან ვერ მივა ზარის ხმა სიშორის გამო რომელსამე მოსახლემდის; მეორე დღეს ის კაცი, რომელმაც ზარის ხმა ვერ გაი-გონა წინა საღამოდ. არ შეიძლება, რომ იმ მუშა კაცს ერთი იმისთა-ნა არავინ შეხვდეს, რომელმაც იცის, რომ იმ დღეს უქმეა, დაუწყებს იმ მუშაკაცს ლანძღვას: «შე ოჯახ-დაქცეულო და შე სახლ-კარ ამოსაგდე-ბელო, არ გეყოფა ის ღვთის წყრომა, რომ ეს ამდენი ხანია ნაცარი გაგვიფუჭებს, რო ქალში ვახსაც ვერა ვრჩებით, სო მიწასთან გა-

ზასწორად სკოლაში.... ქრისტიანის თითო ოსური გამოსცალოთ და თქვენ ქვეყნისათვის მთელი სოფელი უნდა დალუპოს სოლომე სკ[illegible] ბიცი ქოქიცება: «არ გიცოდი, ბიცო, თუ დღეს უქმე იყო, — აბა რადის დ რეკავს?». — «მღვდელი შინ არ არის და იმიტომ არ დარეკეს. ხამოცი წლის ბიცი ხარ და არ იცი, რომ დღეს «ე ლ ი ა ს» უქმეა, წვალ და კეტ-ეჯი სოფელს, რომ დაგვარბიოს». ის ბიცი პირ-და-პირ იქ წამოვა, სადაც სოფელის ურილობა აქვს.......

მამასახლისი თავის კ ა ნ ტ ა ნ ტ ი (კანდიდატი), მერმე იმ რიგ-ზედვე სხედან სუდიები, ცალკე, სალხის მომორებით, იქვე ახლოს ზის სოფლის მწერალი, (სოფლის მწერლად იქნება სოლომე დიაკვანი, ან სხვა ვინმე ცოტა სანს ნამყოფი სადმე დაბალ სასწავლებელში). იმათ წინ არიან გლეხნი. ზოგი დაყუდებულია ჯოხზედ, ზოგს მოუდვია ჯოხი ბისყრზედ და ზედ ორი ხელები გადმოწყობილი აქვს, ზოგი მხარ-თე-მოზედ არის წამოწოლილი, ზოგს ჩიბუხი უჭირავს კბილებში, ტყავის ქუდი მოუხდია და ჩაჭყურებს, ცდილობს ქუდის ბეწვის გადაწევ გადმო-წევით, როგორც კარგი მქებარი ბუჩქებში ცხვირის ცეცებით, რომ იპოვოს თავისი შემაწუხებელი ნადირი, რომელსაც რამდენჯერმე მოასვენ-ების თავი, — და სხვა სალხნი სკამში და ლაპარაკში არიან.

მოდის გაცხარებული ის ბიცი, რომელსაც უქმის გამოტეხი მუშა-ბიცი ნახა. მოუახლოვდება სალხს და გამარჯვებას ეტყვის. სოფლის სალხი გადაუხდის მადლობას ამ ბიცს და ერთი იმათგანი ჰკითხავს: «საიდან მოხდიხარ ეგრე გაცხარებული, კიკოლა?»

კ ი კ ო ლ ა. გამატარეთ! (ხელით აქეთ-იქით აყენებს სალხს და წინ იწევს). მამა-სახლისს, კანტანტს, სუდიებს, სოფელს გამარჯვება თქვენი. (კიკოლა დაიწყობს თავის საჩივარს) ახლა ეს კარგია, მამა-სახლისო? დღევანდელ დღეს უქმე არ არი? დღეს ბიცი იმუშავებს?

მ ა მ ა - ს ა ხ ლ ი ს ი. ვინ იმუშავებს, რას ამბობ? დღეს ელიაობაა!

კ ი კ ო ლ ა. აბა ახლა ბაზიერაშვილს ჰკითხე, უქმეა თუ არა? მი-

წვერიდამ მოკლითლი, გაცდა, დიდა იყო, ჯერ მზეს არ ამოეშუქნა [illegible] განსხვებთან რომ მოვკდი, რადაც ჩაგი-ჩუგი შემომესმა, რა ქნა, გამოვ, თითქო ელვიათის არის, ეს ვინარი, რომ აქ მუშაობს? გადავიხედე ვენახში, შევხედე — ჭკინტა ბაზიერაშვილი კი იყო... იმდენი კი დაეთოხნა, რომ სადამომდის კაი ვაყაცს გაუჭირდება დათოხნა! სწორედ იმის საქმე იყო: ავი მეშა გვირამალხაო.

გლეხნი. (ერთი ხმით ყველანი იტყვიან). აი ოხრათ დაურჩეს თოხნიც და დანაბარიცა!!

ერთი იმათგანი გლეხი. ი დალოცვილმა ღმერთმა დასცეს თავისი ლახვარი და თავის თოხიანათ თან ჩაიტანოს! ეგ ხულ წაწყმენდილი!... უნდა ქვეყანა დალუპოს!..

მამასახლისი. აბა, ხოიგელო, იმას ერთი კარგი ნაგანზანისაში მოკცეთ.!

ხალხი. (ზოგი იძახის) უნდა აპატიოს, იქნება არ იცოდა, რა ქმე უყო.

ხუცია. თუ გადაასახლევგინეთ, მე ვიცი რაც დაგირეხალი იმას ფუ-რი არ დაუკლავთ.

მამა-სახლისი. მართალა, არც კი რამე იყვეს, რას დაუკლავთ? თუ დავარბიეთ, არ ვიცი....

იორდანე. (გლეხი, ხალხიდან წამოიწევს წინ მამა-სახლისისკენ). რატომ არა აქვსრა, ერთი ასეთი ლორის ქოხმერი იყვეს, რო ერთი იმისი გამლომა, მხაკ, რათაც უნდა ლირს!

კანდიდატი. ეგ სოლ მეზობელია, მაგას ეცოდინება. (ჭიკოლაძეზე აჩვენებს).

ხუციები. აბა გაგვზავნოთ გზირი და მოვაყვანინოთ. გზირო! (ქმასიან ხუციები გზირს) აბა შენ ერთი მოსწრაფე ბიჭი წაიყვანე და წადი, და ბაზიერაშვილის ქოხმერი მოგვიყვანეთ და მოიტანეთ.

ბ ზ ი კ ი. გაგიხარიან, მე მალე ის დავალოცო, (მკვდრის [illegible] დაუძინებაა მეცელზედ გატეხის დროს) და იმის მწვადებ[illegible] დავაწყებინო!

მ ო ჩ ი ვ ა რ ი. ახლა, მამასახლისო! ი ჩვენი საქმე რა უყოთ?

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. რა საქმე, შენ ჩემთან არ გიჩივლია.

მ ო ჩ ი ვ ა რ ი. მთელმა ხალხმა გაიგო, რო სამალდეები (აზუზუ-ბი) ამიხსნეს გუთანადამ, სამხრის რო გამოვუშვათ... ის კი აღარ მახსოვს, როდის იყო... (მიუბრუნდება სხვა გლეხს და ჩურჩულებს) ფუდანაც! არ გახსოვს გუთანი როდის გავიტანეთ? ეს კი მახსოვს, რო გაიარეს (ზო-რველი დღე ხნის დაწყობისა) და ორი დღე კიდევ სხვა ყანაით ამ ქო-ანით მიწაში, რა ჭქვიან, კაცო? ჩემი მიწის საქცევის ბოლოს ბერისკის ზიარზე. აი, დასწყევლოს ღმერთმა, რა გულის სხა მე მაქვს. (სხვა გლეხი) იქ ჟამოტანით მიწაა.—მერე აღარ მახსოვს კვირა იყო თუ უქმე, გუთანი გამომწყვდეული გვქონდა და მეორე დღეს ჩემი ხვნა იყო. აბა ი ორ-ქრ ჩემ მიწაში სო სე არა დგა რა და, იქით ტყის პირზე წაკლდით ზურ-ის საჭმელად. კაი სადილიც ჩამოგვიტანა ჩემმა დედაკაცმა: ლობიო-ქონში ჭინჭარი გემრიელობისა, ერთი ქოთანი წველა (მაწონი) თავის ნამცხვარით (ზურგი). აბა, ი ზურგი რო ვჭამეთ, სარი მოვგიდის, უნდა შევაბათ, ვნახეთ სამალდეები აღარ არის.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. რა გინდა ახლა, რო გვიცხადებ შენ დანა-კარგზედ?

მ ო ჩ ი ვ ა რ ი. რა მინდა და ის მინდა, რო ერთი იმის მამაპა-პავი ქურდი მიპოვნოთ და კაი ძროხის წამოუქციოთ და დაუკლათ.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. ჭკა რა ოქროები ხართ, მე როგორ უნდა გიპოვნოთ ვიღაცამ ერთი სამალდე მოგპარაო.

მ ო ჩ ი ვ ა რ ი. კაცო, და, მართლა მოხამართლე თუ არა ხარ, ან რათა ამოგირჩიეთ, ან იმ ხისხლის ღვინის დროს (მკათათვე) რათა გმჭელით, თუ კი ჩვენ საქმეს არ გაგვიწვლიდამ?

სუდია. შე ოხერო, და, ჩვენ, შვილო, რაც [illegible] გვიწერია, იმას იქით ვერ გადავალთ. იქ, შვილო, სამართლის [illegible]ზედ არ გვიწერია. იქა სწერია: საჩივარი ათ თუმნამდის გადასწყვიტეო, — შენი სამართლები ათ მაურათაც არა ღირს.

მოჩივარი. მაშ წავალ და მიროვის სუდში ვიჩივლებ, ერთი ჯარგათ კი გაგასხურებინებთ, რო სამართალს არ მაძლევთ. (გაჯავრებული გაბრუნდება).

2 მოჩივარი. მამასახლისო! საჩივარი რამ საქმე მაქვს თქვენთან. მე შინ არ ვიყავი, გზის საკეთებლად ვიყავი, ჩემ დედაკაცს დაუჭერია ორი დედა ბატი და წიკანასათვის (გლეხი იმ სოფლისა) მიუბარებინა სანახევროთ; ჭუკები გამოჩეკეს, თითოს ათ-ათი ჭუკი ჰყვანდა; აი დიდი წვიმა-სეტყვა რო მოვიდა, კარში დაყარა და სულ ერთიან ჭუკებიც და დედებიც თან წყალო ნაიღვარს. ესლა იმის სამართალს გთხოვთ.

მამასახლისი. სუდიებს მოახსენე და ეგენი გაგისამართლებენ.

2 მოჩივარი. (სუდიებს მიუბრუნდება და ჰკითხავს) რო გაარჩიეთ ჩემი საჩივარი?

სუდიები. გავიგონეთ.

1 სუდია. ესლა შენ რა სამართალი გინდა?

2 სუდია. მაგას რა უნდა და ის ქნდომებს, რო ბატები თავისი ნასყვარი ჭუკებით უზღას.

3 სუდია. ვაი თქვენი პატრონის ბრალი! რათ უნდა უზღას? ღმერთს წინ ვინ დაუდგება: წვიმაც იმისი ნებაა და სიკვდილიც, ან კიდევ უკვდავთ ვინ დაუდგება კაცს.

2 მოჩივარი. იმას რო თავის დროზედ შეერეკა საქათმეში, არც ერთი არ მოკვდებოდა: არც დედები და არც ჭუკები.

1 სუდია. ჰოდა, თუკი ღვთის ნება იყო, იქაც შევარდებოდა წყალი, და იქაც დაიხოცებოდნენ. ამას წინათ რო დიდი წვიმა იყო

და ხუტუკა, აი სკვები რო გადმოკარდნენ და ხოჯლები გააფუჭეს, იმ წამის სიტ-ყვაში კარში დაგვრჩომოდნენ ინდოურის ჭუკები, მაგრამ [illegible] არ დააკლდა, ეხლაც ჩვენოდენა ინდოურის ჭუკები არა ვის-ჰყავს.

2 მოჩივარი. კაცო! რომელ სჯულში გაგონილა, თქვენი ჭო-რიმე, მივაბარო გასაზრდელად, დედებიც მოიკლას, არცარა მომცესრა, ეხლა ჩემზედ უნდა შემოიდოთ ეგ სამართალი?!

2 სუდია. მე ისე ვამბობ, რო ჭუკებისას კი ვერას მისცემს და ბატები კი უნდა დაუბრუნოს; იმიტომ რომა, თუ გეზრდევინებინა, ხო მა-გასაც ერგებოდა და იმასაც, რაკი ვერ გაზარდა თავის თავნისას რაღას ემართლება.

1 სუდია. მეც აგრე ვამბობ, რო დედა ბატები უთუოთ უნდა და-უბრუნოს. მაინც კიდევ დაუძახოთ ი კაცს, იქნება სხვაში სუთამს რაშიმე. (მოჩივარს ეუბნება) აბა წადი დაუძახე აქა!

3 სუდია. აბა ეგ უანგარიშო ლაპარაკი რო იცით, ტყუილათ არას თქვით, რო უნდა მოეცესო, დასაცავან და რაღა ქმაგები უნდა მის-ცეს. (ამ დროს მოპასუხეც მოვა).

2 სუდია. (მოპასუხეს) ჩვენ გადავწყვიტეთ: რომ შენ მაგისი ბატები გბარებია, მოუვლელობით კარში დაგრჩენია ბატები თავისის ჭუკებითა და ნაღვარს დაუხოცნია, ეხლა მაგას ჭუკები ჩაუტარეთ, დედე-ბი კი უნდა უზღა.

მოპასუხე. რათ უნდა უზღა, მე მაგისთვის ხო ის პირობა არ მიმიცია, რო თუ დაიხოცნენ, გიზღა მეთქი; არ დახოცილიყო ჩემთვი-საც კარგი იყო... დახოცვაც და წვიმაც ღვთის ნებაა. (მოპასუხე ახლო მდგომარე მესამე სუდიას წასტუტუნებს ჩუმად: კაცო ი ქათამი რის-თვის მოგიყვანე გუშინ, სიტყვაში დამეხმარე მეთქი).

3 სუდია. (წამოიწყებს ცოტა წინ იმ ადგილიდამ, სადაც იდგა) კაცო! ეგ კანონების ანგარიშები აიზედ უნდა გაარჩიოთ (აწვენებს მოპასუხეზედ).

რომ არ დასხოცილიყვნენ უნდა მიეცა, რო დაიხოცნენ, ქსლა რაღა უნდა მისცეს?

2 ხ უ ც ე ს ი. (გაჯავრებული) ქმენდე, შვილო, როგორც გინდათ გაუსამართლეთ! ეს ოხერი გაზა კარა კვლავ საქმეს, რო მტყუანია... მე კი თავს დავანებებ და...

1 ხ უ ც ე ს ი. მაგაზე მტყუანი რაღა იქნება: თავის ბატონიც დაუხოცნია და სარგებელიც: თავის თავი დღეში უკვდავია.

3 ხ უ ც ე ს ი. თქვენ თუ კი ერთი თქვით, სრა ალაჲ გადაწყვიტეთ, მტყუანია და გადასახდელიო, მაგისთვის რა გაჯავრებთ! (ხალხი და ხუცესები ცოტა გაშორდებიან იმ ადგილს, სადაც იდგნენ. იმავე ადგილს დარჩებიან მესამე ხუცესი და მოჩივარნი. მოჩივარნი დაბლის ხმით მესამე ხუცესს).
ძმაო! ვაი შენი პატრონის ბრალი, განა ი ოხერი ქათამი მეჭმიათ მოვიყვანე ეშმაკმა? ი ქათამი ან უნდა ისევ დამიბრუნოს, ძმაო, ან ერთი გამასამართლე კარგათ.

3 ხ უ ც ე ს ი შენი მოყვანილი ქათამი გუშინვე დავკალით...

მ ო ჩ ი ვ ა რ ი ს ო მ ე ხ ი. გამარჯვებათ ხალხსა! მამასახლისოვ, თუ გიყვარდე, ჩემი საქმე გადაწყვეტოთ დღეს, და რაც გუშინ მოთქვამს შენთვის, მამასახლისო, მეტობრივ გადავიხდი.

მ ა მ ა ს ა ს ლ ი ს ი. შენ მაგისი ფიქრი ნუ გაქვს, ეგ ჩვენ მოვრიგდეთ ცალკე. აბა ის აქ არის, ვისაც შენ უჩივი?

მ ო ჩ. ს ო მ ე ხ ი. აქ არ არის. მარამ აქ იყოს, არ იყოს, — სულ ერთი ანგარიშია. მართებს, მაგუჭამაა — გიდეც უნდა მამცეს, მეც ასეთს დროს მაქვია იმისთვის კი კატოპა, როცა კოდი ბუღი ხუთი მინანთულე იყო.

მ ა მ ა ს ა ს ლ ი ს ი. რამდენი ემართებს?

მ ო ჩ. ს ო მ ე ხ ი. დავითობის მართებს: (შლის დავთარს და კითხულობს) თერთმეტი მანეთი და ხუთი შაური, იამისუქეი კი ათი ხაპალნე წინადა თავი ღვინო თავის ვერსისა უნდა მამცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. დავთრის ვალი როდის აუღია? ან [illegible]-ჭადრის თამასუქი გაქვს?

მ ო ხ. ს ო მ ე ხ ი. აქ რო დუქნი მქონდა, მაშინ აიღო: ზოგი ქალმანი წაუღია, ზოგი საპონი, ზოგი არაყი დაულევია. ჩემი ნათლი-მამა კაცია, უარი ხო ვერ ვეტყოდი, არა ნუ დალევ არაყი, ან სხვა რამეს ნუ წაიღებ მეთქი. თამასუქიც გერბის ქაღალდზედ არის გაკეთე-ბული, ძალიან ახალიც არის. (იღებს თამასუქს ჯიბიდამ) აი როგორი ახალი ქაღალდია.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. ეს დავთრის ვალი კიდევ ჰო, გადავიწყვეტამთ; მარამ ამ ათი საპალნისას კი ვერ გადავწყვეტამთ უმისოთ.

მ ო ხ. ს ო მ ე ხ ი. მამასახლისო! ერთი აქეთ მოიხედე. (გადუყვანს ცალკე და უჩვენებს) გუშინ ხო ერთი თუმანი დაგპირებივარ, მართალია თუ არა? ჯანი გავარდეს, სუთი მანეთი და ერთი კაი წალაც, ბოლოცან შუშანას შეუყრილი, შენი ოჯახშა იყოს: ოღონდ ეს საქმე გამიკეთე.

მ ა მ ა ს ა ს. იმ კაცს ახლავ დავიბარებთ და შენი საქმე ჩემს კი-სერზედ იყოს. ხალხისკენ წავიდეთ, თორემ იტყვიან ქრთამს ართმევ-სო. (ორნივ წამოვლენ ხალხისკენ).

მ ა მ ა ს ა ს. (გზირს) გზირო! აბა წადი და ერთი ბერიას დაუძახე, უთხარ მამასახლისი გიბარებს თქო.

მ ო ხ. ს ო მ ე ხ ი. მედუქნე! (ქანის მახლობლად დუქნიდან მოდის მედუქნე) ერთი შუშით არაყი მოიტანე! მედუქნე სიხარულით გამო-არბენინებს გრაფინით არაყს.

მ ო ხ. ს ო მ ე ხ ი. მაჰრიგი მამასახლისს (მამასახლისი დაილოცება: დი-დება ღმერთსა, გაუმარჯოს აქა ბძანებელსა, ღმერთმა გაგიმარჯოსთ! და დალევს). მაჰრიგი სუდიებს. (სუდიებიც დალევენ. სომეხი ეშმაკობით სხვა გლე-ხებსაც ასმევს, რა არის აზრი არ აიღოს, თუ რათ ასმევს არაყს ამ მოსამართლეებს. ერთ იმ არაყ დალეულ გლეხებთაგანს ისე იამება არაყი, რო ეტყვის სომეხს: გაცხონე მამა შენი, ეს რა კაი სპირტი იყო.

წორეთ ერთი თვე კი იქნება რაც არ დამილევია.—ამ ხნის განმავლობაში გზირიც მოიყვანს ხომხის მოპასუხეს.

მ ა მ ა ს ა ხ. (ხომხის მოპასუხეს). ბერო! აბა ეს კაცი ფულს გედავებს დ̃ ათ საპალნე ღვინოს, რას იტყვი, უნდა გაუსწორდე.

ბ ე რ ო. მე მაგ კაცისა რაც მემართა, კიდეც მივეცი დ̃ მოვრჩი კიდეც.

მ ა მ ა ს ა ხ. (მოჩ. ხომეხს). ხო გეყურება რასაც ამბობს? არა მმართებსო.

მ ო ჩ. ხ ო მ ე ხ ი. ქართველი კაცი თავის დღეში არ იტყვის მმართებსო. (ქართველებს აქაური ხომხები გლეხ კაცებს ეძახიან). არა, ერთი შენა გკითხამ, მაგისი ლიტონი სიტყვა უფრო დასაჯერია, თუ ჩემი დავთარში დაწერილი დ̃ თამასუქისა?

ბ ე რ ო. აბა ერთი რამდენი მმართებს, ჰკითხე, მამასახლისო.

მ ო ჩ. ხ ო მ ე ხ ი. ფული შენ შემჭამე დ̃ აღარცკი გახსოვს რამდენია. აბა ერთი ცეცხლიც ეგ არის, როცა სჭამთ, მაშინ არ კითხულობთ, იმასით დაწერეო, როცა პატრონი თავისი მოიკითხამს, მაშინ იმასით: მეტი დაგიწერიაო. რამდენია დ̃—თერთმეტი მანეთი დ̃ ხუთი შაური დუქნისა, დავთრით დ̃ ათი საპალნეც ნასყიდობისა.

ბ ე რ ო. ეგ დუქნისა როდინდელია? (ჰკითხავს ხომეხს).

მ ო ჩ. ხ ო მ ე ხ ი. შარშანწინდელია.

ბ ე რ ო. შარშან არ იყო მაგ კალში ათი კოდი პური, სამი კოდი ქერი დ̃ ერთი კოდიც სიმ.ნდი დ̃ ლობიო მოგეცი.

მ ო ჩ. ხ ო მ ე ხ ი. ის სხვა ვალი იყო, რო მამეცი; თუ მოგეცა, დავთარში წაშლილი იქნებოდა.

ბ ე რ ო. რატომ არ მოშალე, შე კაი კაცო, ვისი ბრალია? მაშ კარგი, ნათლიავ, (ეუბნება ხომეხს) ერთი შედი საყდარში, ჯვარ-ხახარებაზედ დაიფიცე, დ̃, ამ ხალხის მოწმობით, ხო მამიცია, კიდევ მოგცემ, ჯანი გავარდეს.

მოჩ. ხომეხი. ჭაცო! დავთარი რომელი იყიდა ხვალის? ქ სულ ნიშნულდათ სწერია: ბერომ ერთი შოლტი ქაღალდი [illegible] 70 კაპ., ნახევარ გირვანქა სანთლი 20 კ., — ძა, სანთლი მგონი არ გაგონოს, მაშინ მანზანდა სანთლის მგონი იყო, — ორი გირვანქა თევზი კიდევ წაიღო ბერომ, 70 კაპ.

ბერო. მაშ ჩემი თავსი ამოსწყვიტოს ღმერთმა, თუ მაგეებში სულ გასწორებული არ ვიყო.

მოჩ. ხომ. ახარ, დამაცალე კიდევ არის დაწერილი, ჯერ სულ არ წამიკითხავს დავთარი.

მამასახ. რაღას კითხულობ, (ხომესს) უნდა მოგცეს, ამისი ვალია.

ხომეხი. ჰო, ეს სხვა არის, თუ მომცემ, ეგ სხვა არი.

ბერო. ჭაცო! რა ლაპარაკობ! რაც მემართა, კიდეც მივეცი, თურამეტმეტი ხო ვერ მივცემ; ჩემი ნებით არას მივცემ, თუ წამართმევთ და მაგისი მე ვიცი, გავირეკავ ი მოწმეს, ვიასაც მივეცი და ი სამართლის კარს მივალ, და თუ უსამართლოს გამსდის, მაშინ გამონჩნდება?

მოჩ. ხომეხი. მოხსამართლეები ხართ, ჭაცო, თქვენც ღმერთი შეხედეთ, დანახარჯი აქვს, დავთარში მიწერია, ნახევარი მაინც მამცეს!

მამასახლისი. ბერო! ნახევარი უნდა მისცე, არ შეიძლება.

ბერო. ერთ ბეწვასაც არას მივცემ.

მოჩ. ხომეხი. (რომ შეატყობს, რომ არას აძლევს, მაშინ ეტყვის) ამაზედ მიროვის სუდში ვიჩივლებ! ამ თამასუქისა გადამიწყვიტეთ, ამაზე ხო უარს ვერ იტყვით, ეს ღერბის ქაღალდზედ და ზაკონით გაკეთებულია.

მამასახლისი. ამაზედ რაღას ეტყვი? (ეუბნება ბეროს).

ბერო. ერთი თამასუქის ვალი გვემართა მაგისი, საწყალი მამა ჩემის დროს იყო აღებული, კაი ხანიც არის მას აქეთ, ჩვენ რო ესლა იმა სარ-ზაქი არა გვეავს, მაშინ მაგას რო სუთი თუმანი გამოვა-

რთვით, ერთი ფურცამეხი ვიყიდეთ, ეგ ირმს ზაქი ჩვი[illegible] დედას, ასა ხწორეთ იმ ხხიხსა მიზანივით. იმ ხუთ თუმანში ერთი ხაპალეძე ქაშნიკი მივეცით (ქაშნიკი ის არის, რომ: ვინც ფულს ისესხებს, ის წინად აძლევს თავის მოვალეს რამდენსამე ღვინოს, ის ღვინო არც თავნიდამ ერიცხება ფულის პატრონს, არც სარგებლად ეთვლება, ისე ფეშქეშივით არის). მამაჩემი რომ მოკვდა და გავიყარენით, ეგ ვალი მე მერგო და მაინც მოვიშორე: ხუთი ხაპალეძე ერთხელ მივეცი, ხამი ერთხელ და ორიც ერთხელ, ბარათიც ხელში მაქვს. ეგ გაზაფხულზე მაგას მირზნის სუდში ეჩივლა, დაგვიბარეს და ეგ გამტყუნდა. მირზნის სუდმა უთხრა, არა გცხვენიაო, გამოგირთმევია ვალს ედავებიო.

მოხ. ხომესი. რას ამბობ, კაცო, ის მამაშენის ვალი იყო, ეს შენი ვალია. ქათამი წყალს დალევს, ღმერთს შეხედამსო, როცა სჭამ, მაშინ გემრიელია და როცა გართმევ — მწარეა?

მამასახლისი. (ბეროს) ზაკონის განონით ღერძის ქაღალდზედ დაწერილი თამასუქი აქვს; მაგას რა უდგა წინ? შენი ვალია, უნდა მისცე. შემოდგომამდის ვადა მამიცია, თუ მაშინ არ მისცემ, საქონელს გაგიყიდი და მივცემ.

ბერო. ნაცარსაც არ მივცემ, რომ თვალში ჩაიყაროს. ეგ თამასუქი მირზნის სუდშიაც იყო, რა უთხრეს მიღებული გაქვსო, ვალს ედავებიო. ქარგათ კაცი შენი ყუდიანობა, რაც გალაპარაკებს ეგრე მოსნქით, (მიდგომით) მარამ იქიმი არა მაქვს, იქ იყოს ჩემი სამართლია, თორემ ერთი კარგა კი გაგასწორებინებ ლუპორტით სუდთან, გაგისმარიან იმან კარგი წირა იცოდეს, მაშინ გამოგაჩენ მე შენა!

მამასახლისი. (მოხივარ ხომესს) აბა მოიტანე ე თამასუქი, არა სჯერა ე კაცს!

ბერო. რაც არა მმართებსრა, რა უნდა დავიჯერო.

მოხ. ხომესი. თამასუქს რა ჩვენება უნდა? (მალიან დიდ უარზედ არის თამასუქის ჩვენებაზედ, ხელში კი უჭირავს, მარამ არ უნდა

რომ სხვამ წაიკითხოს; ამისთვის რომ ის თამასუქი არ არის, ჩამწერელო; ის არის თავისგან გადაწერილი პირი იმ თამასუქისა, რომელიც მომ-რიგებელ მოსამართლესთან შეეტანა, მაგრამ უარი ეთქვათ, რადგანაც მოპასუხეს წარედგინა ბარათები, რომლიდგანაც სჩანდა, რომ იმას მიე-დო გმაყოფილება ერთი ოთხად: კალი არის აღებული 1850 წელს, მიცემული იყო ის კალი 1853 წელში; თუმცა ბარათები ქძლევინა ხო-მესს, რა დროს რამდენი წაელო ღვინო, მაგრამ თამასუქი თითონვე დარჩენოდა ხელში). ღერბოვის ქაღალდზედ არის და კარგაც არის ზა-კონით. (მამასახლისს) შენ პრავო გაქვ უჩვენებლადაც გადასწყვიტო, შენ მე შენი სოვისტით გადამიწყვიტე, და ნახე მომცემს თუ არა?

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. (ბეროს) ჩვენ გადავწყვიტეთ, რო შენ შემო-დგომაზედ უთუოთ უნდა ჩააბარო. (ქასის მწერალს) აბა მოდი ერთი განაჩენი დასწერე.

მ წ ე რ ა ლ ი. (დაიწყობს). ჩუღთ წელსა ივლისის კ-სა დღესა გადავ-წყვიტეთ ჩვენ სოფლის ბ.....ს სუდიებმა, რომელიც რო წარმოადგი-ნა თამასუქი ავეტიქ ჩიზანოვმა ფულისა რომელიც მართებია ბერო ბუჩუკარაძეს ათი საპალნე ღვინო ეს ღვინო ჩვენ გადავწყვიტეთ უნდა მისცეს ბერომ ავეტიქ ჩიზანოვსა შემოდგომაზედ ერთი საპალნე და დანარჩენი ყოველს წელს ამლიოს *).

გამოუცხადებენ და დიდად გაჯავრდება ბერო, დაიწყებს ყვირილს: მე ვიცი თქვენ დომმა გადაგაწყვეტინათ აგრე, დილას რო მოქონდა. მაშ ღმერთმა დამლუპოს თუ, ფ..... მამასახლისს და სუდიებს არ უყვეს ი ქრისტესაგან დალოცვილებმა ქოთამის აღებაზედ, თქვენც იმ ანგარიშ-ში არ ჩაგყაროთ! (ოკრუჟნის სუდმა გადასწყვიტა, რომ ციმბირში უნ-და გადასახლებულიყვნენ).

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. აბა, მოიტათ ბეჭედი დავკრა. ორი აბაზი უნ-

*) ეს განაჩენი მე თვითონ მოვისმინე.

და მოგვცე, პულოჟენიაში გვიწერია ორი აბაზი უნდა გამოვართვათ, ვისაც ბეჭედს დაუკრავთ (უჩვენებს ხომეხს).

ს უ დ ი ე ბ ი. (მამასახლისს) პური არ გშიან, კაცო! წავიდეთ, აგე მზე სად გადექწვერა. დორიც გაუტეხავთ, გზიდამ ჩაატარა ხორცი ქვეითკენ, თქვენკენ მიქონდა. მართლა, ის კი დამავიწყდა, პოსიტკები (პოს-ტკა) გვაქვს დასარიგებელი, მირჩენის სუდიის ჩაოვარმა რო ჩამოი-ტანა.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. ხალხო! ხოველობა გათავდა გვირამდინ, — ჭ დაი-შლებიან.

ს. მგალობელი.

## . . . . . . სიმღერა.

დღეს რომ შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანა:
მტერად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანა.

ლხინში მოლხინეს მოვულხენთ,
ჭირში მოჭირნეს ვუშველით;
ფიქრის, საქმის შრომის დროსა
ბრძენსაც არ დაუვარდებით.

დიდს არ გავექელვინებით
და მხარს მივცემთ პატარასა;
ამაყს გულ-და-გულ დავსვდებით
და თაყვანს ვსცემთ სამართალსა.

წინ წასვლაში არ დავიხევთ,
არ გავწირავთ უკან რჩომილს;
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
უღონოსა და დავრდომილს.

უანგაროდ მივალთ წინა,
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,
რომ წინანი უკანასთვის
უნდა იქმნენ გზად და ხიდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულის შვილნი ჩვენც ვართ;
და მისთვის ვზრდით ჭაბუკს სულს,
რომ ყოველთვის გამოვადგეთ
ჩვენის საყვარელს მამულს.

. . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . .

ეგრე გამოსადეგნივართ
ყველგან და ყველასთანა;
თუ დედამ შვილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანა.

* * *

ი. [illegible]

# პასუხი მაცდურს.

მისთვის ვეღარ ვმღერ როგორც ბულბული,
რომ გულში ვარდი აღარ მიყვავა....
მის ნაცვლად ეკლით ამევსო გული
და ზედ ყორანი შავი დამჩხავა!

ეს არის ჩემი შავ-ბედის წერა,
მოძმეებისგან გამოკვებილი;
მისთვის აღარ აქვს ჩემს გულს ტკბილი მღერა,
სევდის ჯაჭვითა არის დაბმული.

მეხსიერება დროისა წარსულისა
უსუსტრად, მტრულად მარად მაგონებს,
მით მომავალი მიშფოთებს სულსა,
წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მაღონებს.

ჰოი, სად ხარ, დროვ! ოდეს ეთერსა,
ვით ტრფობის ქალ-ღმერთს თაყვანი ვეცი?
მაშინ მოყვასად ვრაცხდი თვით მტერსა,
და სიცოცხლეცა მქონდა ორ ვეცი.

არ მითქვამს მისთვის «მიყვარხარ, ქალო!»
არც იმას უთქვამს თუ მომწონხარო;
თურმე ჩემი ხარ ტრფობისა ძალო,
ვით უკვდავების მკურნალი წყარო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომლის მიგნებას და დაწაფებას
ბევრს არ ანიჭებს ნუგეშად ღმერთი!
იგემებს მხოლოდ ამ ნეტარებას
მისგან რჩეული ათასში ერთი!

სატრფოსა გულსა ჩუმის ტრფიალით
მიიზიდავდა მგერით ეს გული!
თითქოს ვიყავით უცნაურ ძალით
ერთმანერთისთვის დაბადებული?

დღეს კი ამაო იქმნა ეს ფიქრი,
მე დავრჩი ობლად, შენ გამეყარე,
მაგრამ შენ გმონებ მაინც, თუმც განქრი:—
გულს მახატია შენი სამარე.

და საფლავის ქვას რომ წარმოვიდგენ,
რომელზედაცა ასე სწერია:
«ნეტარნი დღენი ადრე წარვიდნენ;
შენი ეთერი დღეს აქ მტვერია»,—

მაშინ ხელიდამ მვარდება ჩანგი,
რომელზედაცა ნაღველს ცრემლად ვღვრი;
მისგან ედება სიმებსა ჟანგი,
და იმიტომაც აღარას ვმღერი.

თ. აკ. წერეთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წერილი რედაქტორთან.

(მეორე.)

უფ. ანჩისხატის-უბნელის აზრი აწინდელი სცენის მოყვარეთ ქართული წარმოდგენების შესახებ.

უფ. რედაქტორო!

სხვა—სხვის ომში ბრძენია....
(ამბობს ქართული ანდაზა.)

წარსულ წერილში მე მოგელაპარაკეთ წლევანდელი ქართული წარმოდგენების მოთამაშეებზედ და, მეძლების გვარად, გავარჩიე თვითეული მოთამაშის როლის აღსრულება,—და ახლა, პირობისა-მებრ, მოგახსენებთ რასმე, თქვენი მკითხველებითურთ, უფ. ანჩისხატის-უბნელის აზრზედ, რომელიც მან წარმოსთქვა სხარტულად ხსენებულ წარმოდგენების შესახებ და აგრეთვე ადრეც წარმოუთქვამს მას «დროებაში». ხოლო აზრი მისი მდგომარეობს იმაში, რომ წარმოდგენები არ გვივარგა, მოთავენი უხეირონი არიან და დასასრულ—ამისთანა უხეირო წარმოდგენებს ისევ ის სჯობია, სულ არა წარმოსდგენა.

აქ არ შეიძლება არ გავიმეოროთ ჩვენი ბრძნული ანდაზა: «სხვა

სხვის ომში ბრძენია». სწორედ რომ ასეა. იმაზედ ადვილი არაფერია, როგორც სხვის საქმის გაკიცხვა და სხვის მოქმედებაში სიბრძნის გამოჩნა. თუ მე მკითხავთ, უფ. რედაქტორო, ეს ხასიათი, ამ გვარი ბრძნობა — შეადგენს უძლურობის ღონეს და, მეტი რომ არა ვსთქვათ რა, ის, ვინც ასე იქცევა, ამტკიცებს თავის უძლურობას.

როგორც მოგახსენეთ წარსულ წერილში, ჩვენი წლევანდელი წარმოდგენაები სრულებით არ იყვნენ გასაკიცხნი, და თავის გვარ წარმოდგენაებში ყოველთვის შეიძლება კ ა რ გ ი ქონდეს მათ. რასაკვირველია, ზოგი ერთი უხერხულობა ჰქონდა მათ, მაგრამ ისიც უფრო მომეტებით უალაგო-ალაგას წარმოდგენისაგან იყო და კიდევ სხვა ჩვენი თეატრის გარემოებისაგან, და უფრო ნაკლებ მოთამაშეთაგან ანუ მოთავეებისაგან. ეს უხერხულობა და ცუდი გარემოება ამ ჟამად სდევნის ჩვენს თეატრს და მისი გასწორება არ არის დამოკიდებული ერთ რომელსამე პიროვნებაზედ. მაშასადამე ამ შემთხვევაში მოთავენი და მოთამაშენი ყველაზედ ნაკლებ გასაკიცხებიან. ამ უხერხულობის გასასწორებლად საჭიროა საერთო მოქმედება, და მანამ ეს საერთო მოქმედება არ სად არის, მანამ ქართული წარმოდგენაები ვერ იქნებიან უნაკლულევანო და წარმატებით აღსრულებულნი, რაც უნდა სასტიკად და მსხვილი სიტყვებით ვსაჯოთ მათზედ. ეს უხერხულობა და საზოგადო ცუდი გარემოება ჩვენი ქართული თეატრისა სულაც არ არის დამოკიდებული მოთავეებზედ, ან მოთამაშეებზედ, მაშასადამე მათი გაკიცხვა ამ შემთხვევაში იქნება დიდი მოუფიქრებლობა; იმათგან ისიც დიდი ღვაწლია, რომ ხან-და-ხან მოგვაგონებენ ხოლმე ჩვენს სამშობლო თეატრს და სულ არ გვავიწყებინებენ მას. ამაზედ მომეტებულს მათგან ვერას მოვითხოვთ. და თუ ჩვენ საზოგადოებაებს ვსჯავთ, რომელნიც უფრო მომეტებით წარმოსდგენან ჩვენი თეატრის საზოგადო გარემოებისაგან, — მაშინ ჩვენ უნდა ვაწყოთ მოქმედება და ერთგულად დავეხმაროთ სცენის მოყვარეებს, რომ

რასაც ისინი ვერ აკეთებენ, ჩვენ გავაკეთოთ, და ამ გვარად [illegible] საქმეს წარმატება რამე სივცეთ.

ყველა საზოგადო საქმე ითხოვს საზოგადო დახმარებას. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ, ვგონებ, თვით ანჩისხატის-უბნელიც არ შეწინააღმდეგება ამაში. ქართული თეატრი არის საზოგადოდ ყველა ქართველების საქმე: ჩემი, თქვენი, ა—ნის, ბ—ნის და თვით ანჩისხატის-უბნელისაც და სხვ. მე, თქვენ, ა—ნმა, ბ—ნმა და სხვ. უნდა ერთად მოვკიდოთ ხელი და ერთად, საზოგადო ჩვენი ღონის-ძიებით, ვისაც რა გზით შეგვიძლიან, მოვიყვანოთ იგი აღსრულებაში. როდესაც ჩვენ ასე მოვიქცევით, მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ რაგინად წავა ჩვენი საქმე და მიახლოებით მაინც მივაღწევთ ჩვენს წადილს. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ყველამ უგულებელ-ყოფით ხსენებული საქმე და მის აღსასრულებლად გამოვიდნენ მხოლოდ ორიოდენი, რომელნიც, რასაკვირველია, ყველა საქმის მოთხოვნილებას ვერ გაუძღვებიან და მაშასადამე ყოველის მხრივ უნაკლულევანებოდ ვერ აღასრულებენ. მაშინ რომ ჩვენ ძალიან გავკიცხოთ ის მომქმედი პირნი, იმას არ გამოვაცხადებთ ამით, რომ როგორც ერთი მწერალი ამბობს: ყველანი ბევრსა ვთხოულობთ და ჩხირის გადაბრუნების ოდენა შრომასაც არ ვეწევით!

უფ. ანჩისხატის-უბნელს არ მოსწონს წლევანდელი წარმოდგენაები და საზოგადოდ არც ერთი ამ ახლო წლიწადებში სცენის მოყვარეთაგან მომხდარი ქართული წარმოდგენაები. თუ სასტიკად დავიწყებთ მათზედ სჯას, სწორე მოგახსენოთ, არც მე ვარ სრულებით კმაყოფილი იმისთანა წარმოდგენებით; ამიტომ რომ თუნდ კარგადაც ითამაშონ მოთამაშე პირებმა, მაინც, როგორც ვსთქვი, შეიძლება მრავალი უხერხულობა შეჰნიშნოთ მას, მაგალითად: სცენის სიპატარავე, სადაც თავისუფლად და როლის მოთხოვნილებისა-მებრ ვერ შეუძლიანთ აქტიორებს მოქმედება, — დეკორაციების ანუ სურათების ერთგვარობა და ამისგამო — ქუჩის მაგივრად ოთახის წარმოდგენა, დარბაზის მაგივ-

რად — ევროპიული სალონის, ბაღის მაგივრად — ნუ [illegible] ცანებით — ოთახის შიგნითი ერთი ან ორი კედლის; მდიდრულად მორთულის მაგივრად, თითქმის ცარიელის, ამასთან უკარობა, უფან-ჯრობა და სხვა და სხვა; აგრეთვე რამდენი სცენისთვის საჭირო ნივთების უქონლობა. რაღა თქმა უნდა, რომ ნამდვილი თეატრის სცენასთან ვე-რას გზით ვერ მოვა ხელ-და-ხელ გაკეთებული რამდენიმე წარმოდგე-ნისთვის პატარა ზალაში შესასხლეული სცენა; რაღა თქმა უნდა, რომ წარმოდგენები ნამდვილი თეატრის სცენაზედ უმჯობესია და უფრო მოსახერხებელი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მოწყობილობა ჩვენ არა გვაქვს, და რადგან ასეა — მეტი ღონე არ არის — დროებამდის იმა-ზედ უნდა დავკმაყოფილდეთ, რასაც ამ ჟამად მოვახერხებთ, და არა თუ გასაკიცხი არ არის ამ გვარად მოხერხებული თეატრები, არამედ ყო-ველის ღონის-ძიებით უნდა ვეცადნეთ მისს წარმატებას, რომ ეგების უკეთესობამდის მივაღწიოთ; ამასთან ვერავინ ვერ დამარწმუნებს მე, რომ «უხარობას ცალ-უღელი ხარი არა სჯობდეს»: ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ ამის წინააღმდეგს ვერავინ ვერ მოახერხებს.

არ სად არ დაწყობილა თეატრი ერთბაშად. დარწმუნებული ვარ, რომ უფ. ანჩისხატის-უბნელი ვერც ერთ ქვეყანას ვერ წარმოადგენს, რომ თეატრი, ნამდვილი თეატრის შენობა, თავის გაწყობილებით და აქტიორებით ერთბაშად გაჩენილიყოს, ან მიწიდამ ამოსულიყოს. მანამ თეატრის-თვალს არ იხილავდნენ ქვეყანაზედ, მანამ არც ერთი საქმე არ გაკეთდება ერთბაშად, დიდად და უნაკლულევნოდ, და მაშასადამე — არც თეატრი. როგორც ვიცით, თეატრი ყველგან დაწყობილა სცენის მო-ყვარული წარმოდგენებით, პატარა ზალებში. მაგრამ, არა. არა თუ ზოგ-და ზარ სცენის მოყვარეთაგან, არამედ უფრო მცირედიდგან. ჯერ — ქუ-ჩის, სახალხო, მუნჯი წარმოდგენებიდგან; შემდეგ (დროს განმავლო-ბით) ეს წარმოდგენები უფრო წარმატებაში შესულან, ქუჩიდგან და მე-დნიდგან გადასულან ოთახებში, იქიდგან — ზალებში, შემდეგ ზალები

გაუუმჯობესებითა, უფრო მიუმსგავსებითა ნამდვილი თეატრისა[illegible] მერე პატარა თეატრები აუშენებიათ, და ბოლოს ნამდვილი [illegible] სასახლე დაუდგავთ თეატრის დანიშნულებისათვის, ყველა სათეატრო მოწყობილებითურთ — მანქნებით, სურათებით და სხვა და სხვა. აგრეთვე თვით წარმოსადგენი საგნებიც წარმატებაში შესულან: უწინ, სახალხო ქეზის წარმოდგენებიდგან (მაგალით. ბერიკა, ყეენი და სხვ.) გადასულან სალაპარაკო წარმოდგენებთან და მაშინ, წარმატების გვარად, დაბადებულან სურათები, კომედიები, დრამები, ტრაგედიები და სხვ., რომელთაც ამ ჟამად ხმარობენ, და რომელთაც საგნად აქვსთ ხალხის ხასიათების, ცხოვრების და გრძნობების წარმოდგენა. ერთის სიტყვით, დაწყებული კარ კარავის იტყვის, ვიდრე თეატრები, რომლებიც ამ ჟამად არსებენ განათლებულ ქვეყნებში — ის თეატრები ერთიანად, ნატრის-თვალის შეწყობით შემდგარიყვნენ. ვინც ხალხის განათლების მომხრეა, ის იცის ცოტაოდნად მაინც, ამისათვის, უეჭველია, ცხადია, რომ თეატრები (ნამდვილის აზრით), — როგორც სხვა განათლების სახსარი და ნაწარმოები, — დაწყებულან პატარა კერძო-პირთა სახლებიდგან (მრავალ-გვარი სცენის ნაკლულოვანებით) და დროს განმავლობით ბოლოს მიუღწევიათ დიდ, საუცხოოდ თეატრებისთვის აშენებულ სასახლემდის. ყველგან არის ყოველი და ამისგამო, საზოგადო განათლების თუ წარმატების კანონის ძალით, ჩვენშიაც ასე მოხდება. მეტი ჩვენ აგვცდებით ამას. ამის გამო, უფ. რედაქტორო, ჩვენის მხრით ისეთი დიდ-იმედოვანი გარდაწყვეტილებაა, რომ გითხრათ: «ამისთანა წარმოდგენების ქონა — არ ქონას სჯობიან», ეს არის სწორეთ უცოდინარობის ალვარება.

ამასთან ეს მოსაზრებაც რომ წარმოვიდგინოთ, მაშინ უფრო ცხადად გვეჩვენება უფ. ანონსისტის-უწყებისგან წარმოთქმული აზრის გამოუცდელობა და უსაფუძვლობა. რაც ქართველებს ხელეა, თითქმის გამოურიცხველად ყველას თავის გონიერი მიზეზები აქვს და მამასადამე მისი მოუხერხებლობა შეუძლებელია. ამ საბუთის ძალით არ შეიძლება

ჩვენ დიდსულოვანი განვარგულებს მოვასწდობით მის მოუხდენელობისთვის. რაკი მოსვლა და სვლებს, სჩანს — საკუთრად ჩვენგან არ ყოფილა დამოკიდებული მისი მოსვლისა, არამედ სასოვალო გარემოებისაგან, და საზოგადო გარემოებას კი ჩვენ (ერთეულნი) ვერ ავცდებით წინ — მეტადრე ცარიელი სიტყვებით. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლიან ვიმოქმედოთ მხოლოდ სხვა ნაირად. ჩვენ შეგვიძლიან სხვა მიმართულება მივცეთ საქმეს, ესე იგი, თუ ცუდია — კარგ გზაზედ დავაყენოთ, გავაუმჯობესოთ. ამის მეტი ჩვენ ხელთ არა არის, და უფრო გონიერებაც ითხოვს ჩვენგან ამ მხრივ მოქმედებას. ამ ჩემ ნათქვამს თითონ საქმე ამტკიცებს. მაგ. ანჩისხატის-უბნელთა თუმცა მარმაშვე მოახდინა თავის გარდაწყვეტილება, თუ აკრძალვა: «ამისთანა წარმოდგენებს, ისა ხელობას ნუ წარმოსდგენო», მაგრამ დასწვდეთ, რომ წარმოდგენანი იმის გარდაწყვეტილებაზედ არა ყოფილან დამოკიდებულნი, არამედ სხვა რამე გარემოებაზედ, რომლის წინააღმდეგ მოქმედებისთვის მისი ცარიელი სიტყვები ერთად უმნიშვნელოდნი არიან. ამ ჩვენი სიტყვების საბუთიც ის არის, რომ მისი სასტიკი გარდაწყვეტილების შემდეგ ქართული წარმოდგენა მოსდა, თუ არა ვცდები, ორჯელ თუ სამჯერ (იმდენი, რამდენიც ყოველ წელიწადს მოსდებს ხოლმე). ერთის სიტყვით, რამე საქმის მოსვლა არ არის საკუთრად ჩვენ ხელთ, (თუ მეტადრე ცარიელი სიტყვის მეტი არას დავხარჯავთ მისთვის),—ჩვენ ხელთ მხოლოდ ის არის, რომ მოსასვლელ საქმეს შეგვიძლიან რამე მიმართულება მივცეთ: უკეთესი თუ უარესი; მაგრამ სწორედ ესეც არა: ეს არის დამოკიდებული ჩვენს გავლენაზედ და გამჭრიახობაზედ და თვით საქმის თვისებაზედაც. რასაკვირველია, ვინც გაგებანია და მომქმედი, ის საქმეს კარგ მიმართულებას მისცემს და ჩვენც, თუ კი საქმისთვის კეთილი გვსურს, ასე უნდა მოვიქცეთ ხოლმე. მაგრამ ეს არის უბედურება, რომ ყველას არ კადნიერება ამ გვარი ქცევა და მოქმედება, კადნიერებით დიდსულოვანი სიტყვები, გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტილებანი, განკარგულებანი, «სხვის ოშში ბრძნობა», ან, უფრო-ლოდ ვსთქვათ, ცარიელის ფრაზებით კორიანტელის აყენება.

ამ გვარი მიმართულება რომ არ იყოს ჩვენს ახალს თაობაში, რომ ჭკვიანობა ცოტად გვიყვარდეს, სხვის საქმეში გარეწრობით არ ვიჩენდეთ გონიერებას, არამედ საქმეში დავეხმარებოდეთ ხოლმე ერთიმანერთს, მომქმედნი ვიყვნეთ,—მაშინ გარწმუნებთ, უფ. რედაქტორო, არც ერთი ჩვენი კეთილი სურვილი არ ჩაივლის ამაოდ, არამედ ყველას მიეცემოდა აღსრულება და წადილის მიღწევა.

უფ. ანჩისხატის-უბნელს არ მოსწონს წლევანდელი წარმოდგენების მოთავეები, არც აქტიორები ეჭაშნიკებიან, (მათ შესახებ წინა-წერილში მოგახსენეთ და ესლაც იმავე აზრისა ვარ)—ძალიან კარგი. მაგრამ უმეტესი უსიერობა არ არის საქმის დროს გარეშე უკან მიმალვა და იქიდგან ქენჯნის სროლა. ეს რა დახმარებაა? საზოგადო საქმეს—და ამისთანა ხორცს, როგორიც ჩვენი თეატრია—სიტყვების რახარუხი და წინდაუხედავი ჭკვიანობა კი არ უნდა,—დახმარება უნდა, შემწეობას ითხოვს. ჩვენ რომ მართლა უსიერობა არა გვჭირდეს და ყველა ჩვენგანი შეეწირავდეს ხოლმე ცოტაოდენს შრომას ჩვენი თეატრის საქმეს, მე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ ჩვენი წარმოდგენები არაოდეს არ მოხდება ცუდად, არამედ დროს განმავლობით წარმატებამდის მიაღწევს და მომავალში მოგვცემს ნამდვილს თეატრს და გავარჯიშებულ აქტიორებს.

ამისთანა საქმეში ერთი მოთავე (მეტადრე ჩვენში) ძალიან ცოტაა. მიტომ არის ცოტა, რომ ჩვენში ეს საქმე ჯერ სრულებით მოუწყობელია. ამ საქმისთვის საჭიროა რამდენიმე კაცის მშობრივი დახმარება და გამჭრიახობა *). მაშასადამე თუ ერთმა მოთავემ ვერა გააწყორა—საკვირველი არ არის. განა არ შეიძლებოდა, რომ რამდენიმე კა-

*) რამდენიმე მოთავე მიტომ უფრო საჭიროა, რომ პირველ შემოსვლაში თეატრის საქმე თანხას ითხოვს მოთავეებისაგან და ერთი

ცს ერთად ეთავათ ეს საქმე? განა არ იპოვებიან ჩვენში ამ გვარი პირები? ჩემის აზრით, უფ. რედაქტორო, ამ ჟამად ჩვენში თეატრის საქმე მტკიცედ უნდა იყოს შეკავშირებული ლიტერატურასთან, ამიტომ რომ თეატრი თითქმის იგივე ლიტერატურაა, თუმცა კი სხვა სახით. ლიტერატურის მოთავეებს უნდა ეკისრათ და იკისრონ ხოლმე ამ ჟამად ქართული წარმოდგენები და არა თუ დრო-გამოშვებით მოახდენდნენ ხოლმე, არამედ გამუდმებით ცდილობდნენ იმისთვის და მიზნათაც იქონიონ მისი სისრულეში მოყვანა—ნამდვილი თეატრის დადგენა, რასაკვირველია, რამდენათაც ეს საქმე ამ დროში მოსახერხებელია ჩვენში... მაგრამ მის ნაცვლად ჩვენ რას ვხედავთ? თვით ჩვენ ლიტერატურასაც არ ეტყობი რიგიანი კავშირი, აზრისა და მოქმედების ერთ-გვარობა და აბა მისი მოთავენი თეატრისთვის რა გზით შეერთდებიან!...

ჩვენთვის კი ვსთქვათ, და, როგორც მიდევნებია თვალ-ყური, ჩვენში ლაპარაკი და მსხვილ-მსხვილი სიტყვებით ქარების აქებს უფრო ქადილებით, ვიდრე საქმის კეთება. რასაკვირველია, იქნება ამ გვარი გამონაკლები შეიძლება არ მოგეწონოსთ, მაგრამ, როგორც მაზრის მცხოვრებს (პროვინციალს), იმედი მაქვს, მომიტევებთ. ხომ მოგეხსენებათ, მაზრის მცხოვრებს სატასტო ქალაქის ეტიკეტისა (ზრდილობისა) არა გაეგებარა და ტლანქი ცუდივითა სცხოვრის. ამისგამო იმედი მაქვს სხვებთანაც ბოდიშს მომხდით, თუ ამ ლაპარაკში შევცოდე რამე ჩემი პროვინციალობით...—იმას მოგახსენებდით, რომ ჩვენში ლაპარაკს უფრო ძალას ატანენ, ვიდრე საქმის კეთებას. და თუ მოსაქმე ვინმე გამოჩნდა, ვითარცა უდაბნოში მღაღადებელი, იმის შესახებაც მსხვილ-მსხვილი სიტყვებით გამოილაშქრებენ ხოლმე. და ესეც უნდა გითხრათ, რომ თუ ეს საქმის

---

მოთავე კი ძნელად დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, თუ ფულიანი არ არის, და ფულიან მოთავეებს კი ჯერ სანად სქინავთ ჩვენში ამ გვარი საქმისათვის.

მოქმედი მივიდა მოსისხნებულ გვარ ხალხითან დასმარების ქართველ-
ლად, — დარწმუნებული იყავით — უარს მიიღებს ან გა...
დაცინვასაც (ზოგს უკან კი), და ეს უკანასკნელი პასუხი მაშინ უფრო მო-
სალოდნელია, თუ მთხოვნელი საქმის მოქმედი ქუდოსანია და ეს მეო-
რე — მდაბიოსანი. დიახ, ჩვენში ეს გარჩევაც გასდევსთ: მდაბიოსანი ქუ-
დოსანს ვერ თანაუგრძნობს ვერც ერთ საქმეში, თითქოს ერთმანერთი-
სა მათ არა გაეგებათრა. ეს არის ჩვენი დაურდომელი აზრის შედეგი.
სამწუხაროა და სასაცილო, მაგრამ სწორედ ასე გასდევსთ, — უეჭველია
თქვენც დამესმარებით. ამ გვარ გარემოებაში ნუ გვაქვს იმედი, რომ
რამე საზოგადო კეთილი საქმე რიგიანად გაკეთდეს ჩვენში, და ვურჩევ
ნურც უფ. ანჩისხატის-უბნელსა აქვს იმედი, რომ, თუ სცენის მოყვა-
რენი დაასხებენ თავს ქართულ წარმოდგენებს, უცებ გამოვიდეს ვინმე
რიგიანი, ბევრი ფულიანი მოქმედი და სულ-და-სულ დაუგავდგას დიდი სა-
თეატრო სასახლე და მუნ დაიწყოს ბრწყინვალე წარმოდგენები.... ეს
ოცნებაა, ჭაერში ცისე-დარბაზების აშენება... იქვე ამ დიდ იმედებს რომ
თავი დავანებოთ და საქმეში ერთმანერთს ვუსმარებოდეთ — მაშინ უფრო
საიმედო იქნება ჩვენი საქმის აღსრულება....

აი, უფ. რედაქტორო, ჩვენში თითქმის ყველა საზოგადო საქმე
ასე კეთდება. მოთავეები თანამგრძნობელს და დამსმარებელს ვერა ჰპო-
ვებენ და, რადა თქმა უნდა, რომ ისე ვერ აღსრულდებიან საქმეს, როგო-
რც რიგია. რაც გინდა საზოგადო საქმე აიღეთ, დიდი თუ პატარა, —
სულ ყველგან ამ უსერსულობასა ჰნახავთ. ამის მიზეზი, მე მგონია,
არის ჩვენი სხვა რიგი თავის-მოყვარეობა, რომლისა გამო ისეთი გრ-
ძნობიანი ვართ, რომ სხვისა ძნელად მოგვეწონება რამე და ჩვენი უსე-
ართო ყოველთვის სხვის წინებულ საქმეზედ მეტად მოგვაწონია. ჩვენ და-
ვიწყობთ საერთოდ რამე მცირე საქმეს, ვიწყობთ მაზედ რჩევას, გვ-
ერს ერთმანერთის დახმარებით მოვიყვანოთ იგი აღსრულებაში, მაგ-
რამ ბოლოს ჩვენი განზრახვისაგან ცარიელებივით ჩებით, რადგან თვითეული

ჩვენგანი სულ იმისა ცდილობს, რომ თავისი გაიყვანოს და სხვისი [illegible] მიიღოსრა; ახლა ისიც რომ მოხდება ხოლმე, რომ ერთი, [illegible] აწყობს სხვა წევრებზედ გავლენის მოპოვებას და მათს თავისებურად მართვას; ერთსა და იმავე საქმეში თუ ბევრია ამ გვარი გავლენის მაძ-ებნი პირები, რაღა თქმა უნდა, რომ მათგან დაწყობილი საქმე ვერ ისეირებს, რადგან იმ თავის-მოყვარე წევრებს საერთო საქმე, რომლისთვისაც მოქმედებდნენ, აღარ აგონდებათ, აგონდებათ მხოლოდ თავისთი პიროვნება, რომლის ბადლად ქვეყანაზედ აღარა მიაჩნიათრა, და საქმე კი ისე ავიწყდებათ, როგორც მარმსნდელი თოვლი. ან კიდევ ისიც მოხდება ხოლმე, რომ საზოგადო რჩევით დაიწყებენ მოქმედებას და თვისგან რომელიმე წევრს ჩააბარებენ რამე გამგეობას. მაშინ ეს გამგე წევრი მართლა წარმოიდგენს, რომ დიდი ვინმე ბრძანდება და — ახლოს ნულარ ეკარებით: ის მაშინ ივიწყებს, რომ სხვა წევრებიდგან არის დამოკიდებული და იმისა ცდილობს, რომ საზოგადო საქმე განაკერძოვოს, თავისად გახადოს, და აქედამ ის მოხდება ხოლმე, რომ თვით საქმე, რომლისთვისაც რამდენიმე პირმა იშრომეს და გაიაგლასით მოიყვანეს აღსრულებაში, ის საქმე ერთი ორი თავის-მოყვარე პიროვნების მიზეზით ისე ჩაიფუშება ხოლმე, როგორც უსაძირკვე-ლო დამპალი შენობა, და წევრებიც ისე გაიფანტებიან, ვითარცა მტვერი ქარისაგან.

აი ამ გარემოებაშია ჩვენი თეატრის საქმეც. მე მიკვირს, თუ როგორ არ იცის ეს ყოვ. ანჩისხატის ყმაწვილმა? მაგრამ უეჭველია იცის და მაინც იმ აზრისაა, რომ თუ კი ასე, — სულ თავი დავანებოთო. ახლა, რომ თითქმის ყველა საქმეს ასეთი გარემოება აქვს ჩვენში და ისეთივე ჭირიანი ანუ ქცევაც აქვს ბევრგან სხვაგანაც — მაშ აღარა უნდა გავკეთდეთრა?... ამაზედ რა პასუხს მომცემს ყოვ. ანჩისხატის-ყმაწვილი?

არც ერთი საქმე არა გვედება ისე, რომ დაბრკოლებას არა ჰქონდესრა. ჰაცს რომ ყველა დაბრკოლების შეეშინდეს, ხომ სულ ვეღარას

გააკეთებს თავის სიცოცხლეში — უნდა ცოცხლივ დაიმარხოს! თითქმის გაცდა ის ჭეშმარიტება, რომ კაცის სიცოცხლე ხუთ [illegible] შესდგება. ამისთანა საზოგადო საქმეები, როგორც თეატრი და სხვა, თითქმის ყველგან ცუდი, მოუხერხებელი გარემოებით დაბადებულან. მაგალითად, ჩვენში, სომხური თეატრი. ნუ თუ გგონიათ, რომ ის უკეთეს მდგომარეობაშია საზოგადოების მხრივ, ვიდრე ჩვენი? ჩემის აზრით, საზოგადოებისაგან ჩვენ თეატრსაც და იმათსასაც ერთნაირი თანაგრძნობა აქვს. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ მათი მოქმედი პირები უფრო დახელოვნებულნი არიან, მოთავეები ბევრნი ჭკვით და ერთმანერთის დახმარებითა და იმედით უფრო გამჭრიახნი არიან. ჩვენი თეატრი ამ უკანასკნელ სიკეთეს მოკლებულია, და მარადის მოკლებული იქნება, თუ იმ აზრს დავადექით, რა აზრსაც ადგას უფ. ანჩისხატის-უბნელი, ესე იგი, თუ სულ თავი დავანებეთ ქართულ წარმოდგენაებს და სცენის მოყვარეთაც ურჩიეთ თავიანთ ქოხში დადგომა. მე დარწმუნებული ვარ, რომ კარგი აქტიორების ყოლისათვის საჭირო ვარჯიშობა არის საჭირო, რადგან სიზმარში, ვითარცა არც ერთი საქმე, აგრეთვე არც აქტიორები დაიბადებიან, აგრეთვე არც ციდან ჩამოგვიცვივიან მანანასავით. ხოლო მოთავეებს გამჭრიახობა მაშინ ექნებათ, როდესაც მათი შ ლ ი ა პ ო ს ნ ო ბ ა და ქ უ დ ო ს ნ ო ბ ა საზოგადოდ არ იქნება მიღებული მათდამი სხვათაგან თანაგრძნობისა და დახმარების მოსაპოვებლად და რიგიანად მაშინ წავა ქართული თეატრის საქმე, როდესაც ითავებენ რამდენიმე პირნი, შლიაპოსნობისა და ქუდოსნობის განურჩევლად, და ერთმანერთს ძმურად და უარის უთქმელად, ჭკვიანობის ჯიბეში ჩადებით, დაეხმარებიან. და ამისთვის კი ის არ არის საჭირო, რომ «სცენის მოყვარეთ თავი დაანებონ ქართულ წარმოდგენაებს», არამედ საჭიროა მოასწავლონ ხოლმე ხშირად და ეცადნენ, რომ ერთგულად და საქმისადმი სიყვარულით ეხმარებოდნენ ერთმანერთს და არა თავის გამოჩენისათვის ანუ ბარაქალაობისათვის; ამასთან იმასაც უნდა ცდილო-

ზდიან, რომ აწინდელი შეცდომა მომავალში გაასწორონ. ყოველი საქმე ასე იქმნის წარმატებაში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენში თეატრის საქმე კარგა წავა, თუ რიგიანად აწარმოებს იგი სცენის მოყვარეებმა და თუ მათ, მსხვილი სიტყვების მაგივრად, საქმით დაგვეხმარებიან; ბევრი რიგიანი აქტიორი გამოჩნდება, როგორც გვარწმუნებს ზოგიერთი აწინდელი აქტიორების თამაშობა. თუ მოთავეები არ გაჰგვანან, გურჩიოთ, უფ. ანჩისხატის-უბნელო, რიგიან პირებს, რომ ითავონ თეატრის საქმე და თუ ამ საქმეში ჩვენი შრომაც საჭირო იყოს — ნუ გვიდგებით უკუ: თქვენც, უფ. ანჩისხატის-უბნელო, ჩვენც და ყველა ქართველის ვალია ქართული თეატრისათვის ზრუნვა, ყველამ უნდა შევწიროთ მას იმდენი მსხვერპლი, რამდენიც კი შეგვიძლიან, და ნუ კი ამბობთ, რომ «სჯობის ხელი არ წამოსდგენილო» — ეს ხომ ჩვენ საზოგადო დავრდომილებას აცხადებს და არა საქმის დახმარებას, — არამედ უთხარით მოთავეებს, თუ საჭიროთ გაქვსთ, რა და რა მათი მოქმედება არ კარგა და როგორ იმოქმედონ, რომ, საქმე კარგა წავიდეს; ერთი სიტყვით, ეცადეთ ახალი, უკეთესი გარემოება დაჰბადოთ ჩვენი თეატრისათვის, თუ მისთვის რამე კეთილი გსურსთ (ამის ეჭვი კი სრულებით არა მაქვს) და თვითონაც დაეხმარებით მას არა მარტო სიტყვით, — მეტადრე იმ გვარი სიტყვით, როგორითაც ეხმარებით, — არამედ საქმითაც. მაშინ უფრო უკეთესად წავა ქართული წარმოდგენები, მაშინ უფრო ადვილად ვიქონებთ იმედს მომავალში რიგიანი ქართული თეატრის ნახვისას. ახლა კი, თუ მხოლოდ ცარიელი მკვახე და დიდგული სიტყვებით ვემსახურეთ ჩვენ საზოგადო საქმეებს და მათ შორის თეატრსაც. — მაშინ ჯერ თვითონ ჩვენც ხელ ვერას გავაკეთებთ, რადგან სიტყვები ქარს მიაქვს, და ამას გარდა სხვებსაც აურევთ გზას და კვალს.

ასე, უფ. რედაქტორო, საქმეში — მოქმედება უფრო საჭიროა, ვიდრე ცარიელი სიტყვები, და თუ გვსურს რამე გვქონდეს — ვიმოქმედოთ კიდეც ერთგულად და გამჭრიახობით: ყველა ფერი შრომით და მოქმედებით მოიპოვება — ნათქვამია ბრძენთაგან, და, ჩემთავად ვიტყვი, სადაც გაკეთება საჭირო, იქ ცარიელი სიტყვებით არა თუ ვერა გავაკეთებთ რა, არამედ იმ სიტყვების თქმაზედ მოხმარებული დროც ამაოდ იკარგება;

და ამასთან ისიც რომ წარმოვიდგინოთ, რომ «მთქმელს გამოსდის [illegible]-და», მაშინ დავრწმუნდებით, რომ ყველა სიტყვა მო[illegible] ითქვას, რომ გამცნოს გზა-კვალი არ აუღიოს მთქმელმა. ამ გვარად მოფიქრებულად მოქმედებს, სიტყვით თუ საქმით, ასირებული ჭკვიანობისა და თავის-მოყვარეობის ჯიბეში შენახვა უფრო დიდს სარგებლობას მოგვიტანს და უფრო ბევრს გაგვაკეთებინებს.

---

ამ წერილის დასასრულ მოგახსენებთ, რომ ეხლა ჩვენ თბილისში კარგი გარემოება აქვს ქართულ წარმოდგენებს: ეხლა შეიძლებოდა მოგვებით წარმომდგარიყვნენ ქართველი თეატრები, რადგან თითქმის ყველა თბილისის მაზრის კეთილშობილი საზოგადოება მანდ არის შეყრილი კენჭის საყრელად. ეს გარემოება დიდ თეატრშიაც მოასერხებინებდა სცენის მოყვარეებს წარმოდგენას, თუ კი ისინი მოთავეებს და დამხმარებლებს იშოვნიან. აი, უფ. ახნისსატის-უმცროსი, კარგი დრო ქართველი თეატრის მესახებ მოქმედებისათვის: რასაკვირველია, ამ ჟამად სრულად ვერ დაბოლოვდება თეატრის საქმე, მაგრამ, საქმეს დაწყობა უნდა და მერე — ერთგული შრომა. აი, მოხერხებული დრო, მოუწოდეთ მოთავეებს, თქვენც დაეხმარენით, საქმით და არა სიტყვით.

გავიგონე, ნამდვილი წყაროებიდგან, რომ სომხის სცენის მოყვარეებს აღდგომის შემდეგ ჯერ ორჯელ ჰქონიათ წარმოდგენა დიდ თეატრში. ჩვენთვის დიდი სირცხვილია, რომ ასე უკანა ვრჩებით ყველას და უფრო სირცხვილია, რომ ამისთანა მოხერხებული დროთი არა ვსარგებლობთ. მაგრამ ამის მიზეზი კიდეც მოგახსენეთ, ეს ის არის, რომ ცარიელი სიტყვების ბრახა-ბრუხი უფრო გვიყვარს, ვიდრე საქმე, მოქმედება. ეს სასიათი რომ არა გვშორდეს, უფრო გამოსადეგნი ვიქნებით.

ახლა კი გამოგეთხოვებით.... დრომდის.

თქვენი ჟურნალის თანამგრძნობელი.

ა. გუჩქელი.

1870 წ. აპრილის 25-ს. გუჩქეთი.

## «დროების» ბიბლიოგრაფიის შესაფერი ბიბლიოგრაფია.

### მსხვილად დაფქულმა ბევრი ქატო იცის.

.....— რა ძალიან ქუხს!.. ეტყობა ყოჩაღად არის...

— როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო, — ხომ გაგიგონია?.... შენ უყურე, რომ ეგ ქუხილი სულ ქარად გადაიქცეს!...

(ერთი უცნობი მოთხრობიდგან).

წისქვილი რომ მოიშლება, აუცილებელია მსხვილად დაიწყებს ფქვას; ამის უსწორობას რომ ზედ დავართოთ ბორბლების უსიამოვნო ღრიჭინი, ქვების მოუქნელი რახრახი და აგრეთვე ყველა სხვა მისი მოწყობილობის მოშლილობა და ჩახი ჩუხი, — მაშინ ჩვენ წარმოვიდგენთ აგჳ-ულებას, როგორც გარეგნობით, ისე შინაგანი თვისებით მოშლილი და უსწორო.

ამ მოშლილი წისქვილისგან ჩვენ შეგვიძლიან გავიყვანოთ შედარებითი გზა და მივიდეთ ყველა სხვა საქმეებთან, გინა სიტყვებთან და დარწმუნებითაც ვსთქვათ, რომ ღრიალი, ჭრიალი, რახრახი, ჩახი-ჩუხი და სხვა ამ გვარი უსიამოვნო ხმაურობა არასოდეს არ წარმოსდგება საქმის,

ვანა სიტყვის, ღირსებისაგან, — სწორედ ისე, როგორც მოშორებული წის-ქვილის ამ გვარი ხმაურობაები არ არიან მისი წმინდა და [illegible] დაიმქის თავდებები. ამ გვარ მოვლინებას და მის შედეგს ხშირად ბუნებაშიაც შეხვდებით ხოლმე. მაგალითად, ვის არ ახსოვს თავის სიცოცხლეში, რომ ბევრჯელ დიდი ჭექა-ქუხილი ყოფილა, მაგრამ კი წვეთი სულ არ მოსულა — და სწორედ ამიტომაც უნდა იყოს ნათქვამი: «როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო».

ამ წინასიტყვაობიდგან შეიძლება თვით საგანთან გადავიდეთ და ზევით ნათქვამი მომლოდი წისქვილის უხეიროობა მოუვიდა გაზეთის «დროებისა» და — მოშლოდნობის გამო, თუ რაღაც მიზეზით — მოჰყვა რახ-რახ-ჭრიალს და მისდაგვარადაც დაიფქვა როგორც «მნათობის» შესახებ, ისე ლექსების წერის შესახებაც. ჯერ წისქვილისაგან მომხდარი მსხვილად ფქვა რა რიგად მაზარალებელია ჯანისთვის, რადგან ფქვილის ქატოს მარტო შინაურ ოთხ ფეხებსა და ფრინველებს აჭმევენ, — და ახლა იფიქრეთ იმ ქატოზედ, რომელიც ლიტერატურული მსხვილად ფქვასაგან წარმოსდგება: უბედურება ის არის, რომ ლიტერატურულ ქატოს ვერც ერთი სულიერი ვერ გამოიყენებს: ვერც ოთხ ფეხი და ფრინველები, საჭმელი ნივთების გაჭრის გარდა; ისინიც მხოლოდ მარტო იმ ქაღალდს ხმარობენ, სხვა და სხვა სასაუზმე საჭმლების გასახვევად, რომელზედაც ბეჭდის მეშვეობით ის ლიტერატურული ქატო ჰხვევია.

ახლა მოგახსენებთ «დროების» მხოლოდ დაფქულის სურათს, და იფიქრეთ, თუ რამდენი ლიტერატურული ქატო აქვდება მას.

«დროება» (№ 16) განსილავს რა ამ 1870 წ. «მნათობის» პირველ ნომერს, ამბობს: «ლექსებად «მნათობს» ნაწყვეტ ნაწყვეტი პროზა მიუდის და ხელ-მძღვანელ სტატიად — ყმაწვილური ბოდვა; კრიტიკა ესაგუმებლო ქებას შეხსმად გარდაუქცევია, პოლემიკა ლაყბობად.....» და სხვ. და სხვ. უნდა მოგახსენოთ მკითხველებს, «დროებისასაც» და «მნა-

ობისასაც», რომ ეს ყველა ნათქვამი «დროებისა» არის მკ[illegible] მსხვილად ფქვა და ცარიელი უსაფუძვლო სიტყვების რახარუხი, და[illegible]რატურული ქარი და მტვერი; — და ამასთან ისიც უეჭველია, რომ ამ სიტყვების მწერალს მათი მნიშვნელობა არა სცოდნია. რას ჰნიშნავს სიტყვები: «ლექსებად ნაწყვეტ-ნაწყვეტი პროზის მიღება»? ჩვენ დასარწმუნებლად, რომ «დროებას» ესმის ეს გამოხატულება, საჭიროა გავარკვიოს მან ეს თავის ნათქვამი სიტყვები და ამასთან შეგვატყობინოს, თუ საზოგადოდ რას ითხოვს იგი ლექსებისაგან, რა მიაჩნია იმას პროზად ლექსებში, რაგვარ ლექსებს უფრო ძვირად აფასებს იგი? და, ვერმოობით, რით არიან გასაკიცხავნი მისგან გარჩეული (?) «მნათობში» დაბეჭდილი ლექსები. მაშ კი ჩვენ ვიტყვით, რომ ეს სიტყვები იმის-თვის არიან ნათქვამნი, რომ ლამაზი ფრაზა გამოდის. ახლა სიტყვა-ბი: «სულმძღვანელ სტატიად — ყვავილური ბოდვა». აი, უფრო მსხვილად ფქვა! აქ მკითხველი ქარის მეტს ვერას ჰნახავს; ეს არის დაღერღი-ლი ფრაზი მოშლილობის გამო. ჩვენა გვგონია, რომ ეს სიტყვები პო-ეზიის მოგონებაზედ უხმარია «დროებას» და ასე მსხვილად დაღერღვას ღვარ დაჰჭირდებია, რადგან ზოგიერთს მსხვილად დაღერღილი უფრო მოსწონს, მიტომ რომ უფრო თვალით საჩნის... «კრიტიკა უსაფუძვ-ლო ქებით შეხსმად გარდაიქცევა».... უხეირო ცხენმა იცის: თუ ერთი ადგავ მიუშვეს — დაიწყებს სიარულს და აღარაფერს დაერიდება; იმას მაშინ რაც უნდა შეჰხვდეს გზაზედ: ქვები, ღრეები, ხევები — ყველგან ბოტებს, თუმცა მრავალი ვაი-ვაგლახით და ცხვირ-პირის მტვრევით კი, რასაკვირველია; ხოლო არ მოიფიქრებს იმას, რომ გზა დაათვალიეროს და მაზედ გაიაროს. ეს, რასაკვირველია, დავარდნილი და უჭკუო ცხენის ხასიათია. კარგი ჯიშის ცხენი კი ყოველთვის კარგ გზას აირჩევს... სწორედ ამ უხეირო ცხენის საქმე მოჰხვდია «დროების» ბიბლიოგრა-ფიის მწერალს კალამსაც: რაკი ერთი აჰჭრევია გზა და კვალი — მერე აღ-არას დაჰჭირდებია და აღარც იმასთანა ბრძოლას, რომელიც ლიტერატუ-

რული ტყუილისა და სიცრუვის წრის დროს მისდამი [illegible]
დამტკიცება ჩვენთვის ძალიან ადვილია. მოიხსენეთ: «კრიტიკა [illegible]
ძლიერ ქების შესხმად გარდაიქცევაო» — ამ სიტყვებს «დროება» უნდა
ამბობდეს კუნელის სტატიის შესახებ, რომელშიაც განდიდებული არიან
წლევანდელი ქართული წარმოდგენანი და მოთამაშე აქტიორები, — და
აგრეთვე ბიბლიოგრაფიულ ფურცელშიდაც, გაბრიელ ეპისკოპოზის ქა-
დაგებათ შესახებ. კუნელის სტატიის შესახებ ჩვენ გადაჭრით ვიტყვით,
რომ «დროების» მწერალი სრულებით ვერ იქნება მიაჯრილი, რადგან ყოვლად
დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი სრულებით არ დასწრებია ხსენებულ წა-
რმოდგენაზედ; და «დროების» ერთ ცვარ სახიასის კი — სხვისის ჭკვით
სჯის — ამ შემთხვევაში საბუთად ვერ მოვიღებთ, — მაშასადამე ერთი სიც-
რუვე «დროებისა», რომ ის ამბობს, ვითომც უსაფუძვლო ქება იპყრო-
ბებოდეს კუნელის სტატიაში: რადგან არ დასწრებია, ამიტომ არც ის
უცოდინება უსაფუძვლოა, თუ საფუძვლიანი ქება კუნელის სტატიაში.
მეორე მისი სიცრუვე ის არის, რომ კუნელის სტატიაში არა მხო-
ლოდ ქება იპყრობება, დასარწმუნებლად ურჩევთ წაიკითხოს. ხოლო
თუ გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებათ შესახებ ბიბლიოგრაფიაზედ ამ-
ბობს, მაშინ ჩვენ მასზე სიცრუვეს შევწამებთ, რადგან გაბრიელ ეპის-
კოპოზის ქადაგებანი სწორედ შესანიშნავნი არიან თავიანთ ღირსებით;
დასარწმუნებლად ვურჩევთ ესენიც წაიკითხოს, რომ შეეძლოს მათზედ
სჯა; მაგრამ კი დარწმუნებულნი ვართ, რომ «დროებამ» არც ის იცის: «მნა-
თობი» უსაფუძვლოდ შეასხამს ქებას გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგება-
ებს, თუ საფუძვლით.

ახლა ის უნდა ვკითხოთ «დროებას», თუ რას ჰნიშნავს ეს მისი
წინ-დაუხედაობა, რომ იმ პოლემიკას, რომელიც ჯერ პირველად თა-
თონ წააკითხა თავის მკითხველებს, სწორედ იმ პოლემიკას, «მნა-
თობში» დაბეჭდილს, უწოდებს ლ ა უ ბ ო ბ ა დ? მაგრამ იქნება რაიმე
მანქანების ძალით, რაც «დროებაში» იყო დაბეჭდილი ის პოლემიკა,

მაშინ ლაყბობას არ შეადგენდა, და შეიცვალა ლაყბობად მხოლოდ იმი-ტომ, რომ «მნათობში» დაიბეჭდა (იგივე). ეს გარემოება [illegible] «დროებას» უბრალოდ მოახსენების უქონლობაში, რომლის შემწეობით გონიერი კაცი არასოდეს არ ეწინააღმდეგება თავის თავს, მერე ასე წინ-დაუხედავად და აშკარად!... მაგრამ «დროებისაგან» რათ გვიკვირს ეს წინდაუხედაობა? ეს ჯერ ყვავილებია.

ამ მსხვილ-მსხვილი, მაგრამ უსურო, გარდაწყვეტილებაებს შემდეგ «დროება» ამბობს, ვითომც «მნათობი» ისეთს თხზულებაებს სთარგმნის, რომელთაც თავის სამშობლო ენაზედაც არა ჰყავსთ მკითხველები. უკა-ცრავად კი არ ვიყვეთ, და ეს წარმოთქმა სწორედ სასაცილოა . . . . . . . . . . . . . . . . , და გვიკვირს, რომ დარბაისელმა, მეხუთე წელიწადში გადამდგარმა «დროებამ» როგორ არ დაიხედა წინ ამ სი-ცრუეს წარმოთქმის დროს მაინც?! ახლა რომ მოვახსენოთ რა თხზულება-ნი არიან თარგმნილნი «მნათობში», რომელთაც თავის სამშობლო ენაზედაც არა ჰყავსთ მკითხველები, მაშინ დარწმუნდებით ამ ჩვენი სიტყვის სიმართლეში. ეს თხზულებანი არიან: დონ-კიხო-ტი — სერვანტესისა, ლუკმა-პურის ამბავი — მასესი, ყმაწვილების მოვლა — გომბისა და საუბარი ჩინეთის მეურნეობაზედ — სკარჩკოვისა. «დროების» აზრებით ამ თხზულებაებს თავიანთ სამშობლო ენაზედ არა ჰყავსთ მკი-თხველები! ვაი, შენ, ჩემო თავო! იქნება მართლა მოიშალა «დროების» აგებულება და ამიტომ არახუნებს ასე წინდაუხედავად!? მაგრამ, მოვახ-სენოთ რათ მოჰსვლია ესეთი წინდაუხედაობა: ეს აზრი უფიქრია «ჩინეთის მეურნეობაზედ საუბრის» შესახებ და, ჭერი ბიჭო, თან ჩაუ-ტანების «დონ-კიხოტიც, მასეც და გომბიც (მაგრამ გომბისა ბოლოს შეჰშინებია და შენიშვნაში ცოტა შეუმსუბუქებია მის შესახებ თავის წინ-დაუხედაობა). რასაკვირველია, არც იმას დავივიწყებთ, რომ «ჩინეთის მეურნეობაზედ საუბარს» რუსულში მკითხველები არა ჰყავანდეს; მაგრამ თუ გინდ რომ ასეც იყოს, ეს მაინც იმას არ ამტკიცებს, რომ ეს

თხზულება ჩვენთვის გამოუსადეგია. «ჩინეთის მეურნეობაზედ საუბარი», შესაძლებელია რუსეთში არ გამოდგეს და ამიტომ მკითხველებსაც ბევრი არა ჰქონდეს, და ესეც იმიტომ, რომ რუსეთი და ჩინეთი ჰავით და მდებარეობით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ აქედამ ის სულაც არ გამოდის, რომ ჩვენშიაც არ გამოდგება ის «საუბარი». რაც რუსეთში არ გამოდგება, ის შეიძლება ჩვენში გამოდგეს და «ჩინეთის მეურნეობაზედ საუბარი» კი ჩვენთვის სწორედ გამოსადეგი წიგნი იქნება, რადგან ჩინეთის მიწა, ჰავა და მდებარეობა ჩვენი ქვეყნისას მიახლოვებითა ჰგავს და ამის გამო ჩინეთისთვის გამოსადეგი მიწის მუშავება — ჩვენი მიწისთვისაც გამოსადეგი იქნება. ამასთან «დროება» ძალიან აჩქარდა თავის გარდაწყვეტილების წარმოთქმაში. დალოცვილი, რაზედ ცხარობს ასე ძალიან! უნდა მოეცადნა, მაშ სულ არ დაბეჭდილიყო და მაშინ წარმოეთქვა მაზედ თავის გარდაწყვეტილება, — მით უფრო უნდა მოეცადნა, რომ თუ წაიკითხა, იმასაც ჰნახავდა, რომ ის «საუბარი» სიტყვა სიტყვით არ არის ნათარგმნი, არამედ დამატებულიც არის მთარგმნელისაგან. მაგრამ ჩვენა გვგონია «დროების» არც ეს გაუგია და იქნება მხოლოდ გადაფურცლა და რაიმე მანქანების ძალით არ მოეწონა და — დაიწყო მის შესახებ მოშლილი წისქვილივით მსხვილად ფქვა.

აქ არ შეიძლება «მნათობმა» არ მოახსენოს «დროებას», ერთხელ სამარადისოდ, რომ ის («მნათობი») თავის ფურცლებზედ სწორად იმისთვის ჰბეჭდავს ისეთ თხზულებებს, რომელნიც მართალია საჟურნალონი არ არიან, რომ «მნათობი» შესდგება ორი ნაწილისაგან: სალიტერატურო (საჟურნალო) და დამატებისაგან. დამატებაში ჰბეჭდავს (ბევრჯელ) არა საჟურნალო თხზულებათ თარგმანსა იმ მოსაზრების მალით, რომ ჩვენში ჯერ ხანად სასარგებლო თხზულებანი ვერ გაეცნობიან ჩვენს მკითხველებს, თუ არა ამ საშუალებით. ამ გვარი წიგნების ცალკე ბეჭვდა კარგია, მაგრამ ჯერ ჩვენ არა გვაქვს ის გარემოება, რომ

ცალკე ვბეჭდოთ ისინი. ამასთან ეს თხზულებანი «მნათობიდგან» ცალკე წიგნებათაც იბეჭდებიან, სახელდობრ: «დონ კიხოტი — ხამასი ეგზემპლიარი, «კომბი» — ხუთასი ეგზემპლიარი, და «ჩინეთის მეურნეობაზედ საუბარი — სამასი ეგზემპლიარი. «მნათობს» ეს დამატების საწილი თითქმის ხელ ამ გვარი სასარგებლო თხზულებებისთვისა აქვს დანიშნული და შეძლების გვარად ყოველთვის ეცდება სადმე ცალკე წიგნებათაც დაბეჭდოს ეს თხზულებანი: ჯერ ხანად ამ გვარად უფრო შესაძლებელია კარგი თხზულებების გავრცელება ხალხში, რადგან ამ შემთხვევაში მათ ბეჭვდაზედ ხარჯი ერთი სამად მცირდება და მაშასადამე ფასიც ისეთი ექნებათ დაბეჭდილ წიგნებს, რომ უფრო ადვილი სასყიდელნი იქნებიან.... და «მნათობს» იმედი აქვს, სხვაც რომ არა იყოსრა, ამით მაინც არგოს ხალხს და გაკეთოს რამე მომავლისთვის, მაგრამ ეს კი ძალიან უკვირს მას, რომ «დროება», დარბაისელი «დროება», რას წარმოუდგენს ისეთს, რომ ან აწმყოსთვის და ან მომავლისთვის ვარგოდეს რამე? — მსხვილ სიტყვებს? ფრაზებით გორიანტელის აყენებას? — მაგრამ ეს ვისთვის რა გამოსადეგია?!....

ახლა ისევ «დროების» რასარუსს დაუბრუნდეთ. ის იმასაც აყვედრებს «მნათობს», ვითომც «მნათობი» სტატიებს «დროებიდგან» რამდენიმე კვირის უკან გადაბეჭდავს ხოლმე. ვინც ორივე გამოცემას («მნათობისაც» და «დროებისაც») არა კითხულობს, იმას, რასაკვირველია, მართალი ეგონება ეს სიტყვები, და ამით «მნათობს», რაც თქმა უნდა, მათ წინაშე ნაზარი ეკარგება, ხოლო «დროებას» — ემატება; მაგრამ საქმე ის არის, რომ «დროებას» აქაცა სცრუობს. აქ ჯერ ის უნდა მოგახსენოთ, რომ «მნათობს» თავის დღეში არ დასჭირდება «დროების» სტატიები, ან კი რა სტატიები აქვს «დროებას» ისეთი, რომ «მნათობი» დაეხარბდეს მათ? კიდევ ეს არის უბედურება, რომ ვაცი თავით ბოლომდის დავრდომილი იყოს და ჭკვიანობდეს კი — ჩემგან სწავლობდე ჭკუა და გონებასაო: ვურჩევთ, რომ «დროებამ» იცნოს თავის თავი და

უფრო ზოგიერთად იწყებოდეს..... ახლა მოგახსენებთ, ხელი რა დაბე-ჭდილა «დროებიდგან», ან უფრო მართლა ვსთქვათ, რა [illegible] «მნათობისაც» და «დროებასაც» დასაბეჭდად. ესენი არიან: ერ-თი სტატია პოლემიკური (რომელიც «დროების» აზრით «მნათობში» დაბეჭდილი შეადგენს—ლ ა ყ ბ ო ბ ა ს და დროებაში (ისპეცე წინ) დაბეჭ-დილი კი—არა (ასე უნდა ვიფიქროთ). ეს სტატია «მნათობმა» დაბეჭ-და მისი ავტორის თხოვნით, როგორც თვით გამოაცხადა შენიშვნაში,—მაშასადამე, ხელი ერთის, რომ მას ცალკე მოუპხვლოდეს თავის ავტო-რისაგან.—ერთი სტატია განცხადებითი—ძველი წიგნების ბეჭდის შესახებ, რომელიც უთუოდ უნდა დაბეჭდილიყო ყველა ქართულ გამო-ცემებში. ეს სტატიაც იმათის თხოვნით დაბეჭდა «მნათობმა», ვისაც მინდობილი აქვს ძველი წიგნების გამოცემა.—ამას გარდა დაბეჭდა გა-დევ ერთი განცხადება გელათ-მობილეთ წინამძღოლებისაგან და ხამაც სხ-ვა განცხადება: «დროებისა» «სახოვლო გაზეთისა» და «კავკაზის» გამო-ცემაზედ. ესენიც რასაკვირველია მათი პატრონების თხოვნით დაბეჭდა «მნათობმა». აი ესენი არიან, თუ არიან, «დროებიდგან» გ ა დ მ ო ბ ე ჭ-დ ი ლ ნ ი (ასე ჭხუის იფიქროს «დროებამ» და—დაე იფიქროს, თუ კი ამით სიამოვნებით მოეფხანება მას გული). ამათ გარდა ჩვენ არაფე-რი არ ვიცით «დროებიდგან» გ ა დ მ ო ბ ე ჭ დ ი ლ ი, მასამ არ გვინებებს თვითონ «დროებას». ამას შემდეგ არ უნდა ვიფიქროთ, რომ «დროება» მართლა მოშლილა? ასე რომ არ იყოს, განა ასე უთავბოლოდ დაჭიფ-ქავდა? სწორედ რომ საკვირველია ეს მისი უსაფუძვლო და უცნაური რასარუსი!....

ახლა გადავიდეთ «დროების» ჭკუა-ქუხილთან. საკვირველია, რომ «დროებას» გამოუცვლია თავის სახეთი და კრთომაშად დიდ რამეებს შეს-დგომია, ასე რომ მწერლებისთვის თითქმის წესებსაც სწერს, და ეს წესები მისი აზრით უფრო ლექსების მწერლებს სჭირდებათ, და ია იმათგან მოუქცევია თავის ოის-წულეწაში გამოკიდილი გონიერება.

„დროებისა" აზრით ჩვენ ლიტერატურაში ლექსებს არავითარი სარ-გებლობა არ მოუტანია, და ამიტომ ურჩევს თავის პოეტებს და აგრეთვე სხვა მალექსეებსაც, რომ მათ ყველამ თავი დაანებონ ლექ-სების წერას და პროზას მიჰყონ ხელი. ეს პოეტები, რომელთადმი არის მიქცეული ეს „დროებისა" მოძღვრება, თუ მოიხსენებთ, არიან: ზუ-რაბ მოყნიძე, ფაჩული, აკ. წერეთელი, ჭალადიდელი და სხვ. ჩვენ სრულებით არ გვესმის „დროებისა" (ასეა კიდევ ეს) წინდაუხედაობა. ნუ თუ იმას ჰგონია, რომ ეს მოიხსენებული პოეტები პროზას უკეთ დასწერენ ლექსებზედ? და ნუ თუ კიდევ „დროებასა" ჰგონია, რომ ამ პოეტებისთვის ადვილი იყოს ესლა მისი მოძღვრების მიღება? ან კი-დევ რა საჭიროება მოითხოვს ამას, როდესაც ეს პოეტები ჩინებულად აღ-სრულებენ თავის მწერლობას. რით დაგვარწმუნებს, რა თავდებს მოგვცემს, რომ ისინი პროზის წერით უფრო მეტს სარგებლობას მოიტანენ. და ან ნუ თუ ჰგონია, რომ ამ მის მოძღვრებას ეს პოეტები დიდის მოწიწე-ბით მიიღებენ მისგან? არ გვესმის, თუ რა საბუთით აქვს ამის იმედი. და თუ სხვებისგან აქვს მიქცეული ეს თვისი მოძღვრება, ესე იგი იმა-თვენ, რომელნიც პოეტობაში თავს სდებენ და უხეირო ლექსებს კი სწერენ,—იმათთვის. სწორე მოგახსენოთ, ისიც საკმაო მოძღვრებაა, რომ მათ ლექსებს არა ჰბეჭდენ რედაქციები და მით ატყობინებენ, რომ მათი პოეზია კუთხეში მისაგდებია, და არა გამოსაჩენი. როგორც „მნა-თობის" რედაქციას გამოუცდია, ამ გვარი, საშინაო, პოეტებისაგან გან-მეორებით აღარ მოსვლია მას ლექსები, რაკი უნახავთ მათ, რომ მათი ლექსები არ დაბეჭდილა. ეს გარემოება ყველა გვარ რედაქციის მხრივ მოძღვრებაზედ და ქადაგებაზედ უკეთესი მიგვაჩნია ჩვენ იმისთვის, რომ სუსტმა მოლექსეებმა ლექსები აღარა სწერონ. ხოლო თუ მოლექსის პროზის მწერლად გარდაქცევა მოვისურვეთ, ეს ჩვენ ხელთ არ არის, რადგან მ ე ბ ე ბ ე თ ი თ გამწერლება არ შეიძლება. თუ სუსტ მოლექსეს საზოგადოდ წერის მოთხოვნილება აქვს — ის უეჭველია უჩვენოთაც სა-

რჩევს მეორე საშუალებას წერისათვის — პოეზიას, რაკი ჰნახავს, რომ მის ლექსებს გასავალი არა აქვსთ; და თუ წერის ნამდვილი მოთხოვნილება არა აქვს, არამედ ლექსებს მხოლოდ იმიტომ სწერს, რომ მის ყურებს რითმები ასიამოვნებენ, — მაშინ ათასი უქადაგეთ — მაინც ის პოეზიას არ მოჰყოფს ხელს, არამედ სიკვდილამდის სულ ლექსებსა სწერს და იმას სულ არ ინაღვლის, თუ გინდ იმას ლექსებით თავების მეტმა ვერავინ ისარგებლოს: ის ლექსების წერით მხოლოდ იმ თავის სათუთ გრძნობას ემსახურება, რომელსაც მოსწონს რითმების ჟღერა (თუ კი არის) და რომელსაც უწოდებენ — სმენად. ამასთან ისიც უნდა მოვახსენოთ «დროებას», რომ უხეირო მოლექსე კარგ პროზის მწერლადაც არ გამოდგება. ამის მიზეზის გარკვევა, მგონია, საჭირო არ არის მისთვის. ვიტყვი მხოლოდ: თუ მოლექსეს გაგება არა აქვს მწერლობითი მოთხოვნილებისა, არ იცის საგნის არჩევა და სხვა ამ გვარი მწერლობითი პირობების აღსრულება, იმას პროზის წერაც კარ ჩაუნერგავს ამ გაგებასაც. მაშასადამე — მოლექსე იქნება ის, თუ პროზის მწერალი — ორივე შემთხვევაში უხეირო იქნება და ჩვენ არ გამოგვადგება. რასაკვირველია, არიან ისეთი მოლექსენი, რომელთ ლექსიდგან სჩანს, რომ აქვსთ მწერლობითი ნიჭი, რაღასაც ელტვიან, მაშასადამე აქვსთ წერის მოთხოვნილება, მაგრამ კი სუსტი მოლექსენი არიან ამ გვარი მოლექსენი ყოველთვის გაიგებენ ხოლმე გზას უჩვენ ქადაგებოდაც, დროს განმავლობით მოჰყოფენ ხოლმე ხელს პროზის წერას, ხოლო ლექსს თავს ანებებენ. ეს ორივე გვარი მაგალითები ჩვენ ხუთიოდეც ვიცით. ერთის სიტყვით ამ გვარ საგანზედ ქადაგება ლიტერატურაში უადგილო არის და მკადრეს ჩვენის აზრით მეტის-მეტს ჭკვიანობას.

მაგრამ «დროება» კიდევ სხვასაც ამბობს. ის ამბობს, რომ «დროებაში» ხშირად იბეჭდებოდნენ ლექსები, თითქმის ყოველ ნომერში, რომ იმ ლექსებს თუმცა «დიდი ღირსება» არა ჰქონდათ არც გარეგნობით და არც შინაგანი აზრით, მაგრამ იბეჭდავდა იმიტომ, რომ

მათი მწერლებისთვის კრიბაშიდ ფურცლები არ შეჰკვეცა და იმათგან მომა-ვალში, ვინმე სეირიანი პოეტი ენახა იმას. ამას ამბობს, როგორც მო-გახსენეთ, ზურაბ მოკნიძეზედ, ფაზელზედ, აკაკი წერეთელზედ, ჭალა-დიდელზედ და სხვ. (ესენი უფრო ხშირად «დროებაში» ჰბეჭდავდნენ თავიანთ ლექსებს).

მერე წუხილის კილოთი დაართობს იგივე «დროება», რომ ეს ჩვენი იმედი არ აღსრულდაო (პოეტი ვერავინ გამოგვივიდაო) და თუმ-ცა ლექსები გამრავლდნენ (კვირაში რამდენიმე ლექსსა ვბეჭდავდითო), მა-გრამ ლიტერატურას და მკითხველებს სარგებლობა ვე-რა მივეცითრაო.

ეს უკანასკნელი სიტყვა სწორედ სიმართლის აღიარებაა: «დროება» მართალს ამბობს, რომ მან, მეტადრე ამ უკანასკნელ წელიწა-დებში, არაფერი სარგებლობა არ მოუტანა არც ლიტერატურას და არც საზოგადოებას; მაგრამ იმას კი სცდება, რომ ამ თავის უსარგებლობას მოლექსეებს აბრალებს; ჩვენის აზრით თუ რამე სარგებლობა მოუტანა მან საზოგადოებას და ლიტერატურას, ისიც უმეტესად ლექსებით და არა თვისი უნაყოფო და უსეირო პროზით: მის ლექსებს თუ «დროების» ჭკვაში პატარა ღირსება აქვსთ, მის პროზას სულ არა ღირსება არა აქვს რა და გამოდის, რომ ისევ რაც ყოფილა «დროებაში» სეირიანი — ეს ყოფილა ლექსები. ამასთან ისიც უნდა გითხრათ, რომ ენა ქართული ლექსებში თუ ეტყობოდა «დროებას», თორემ მის პროზაში (მეტად-რე ამ უკანასკნელ წელიწადებში) ქართული ენა ისევე გაფუჭებულია და წამხდარი, როგორც უფერული და უსეირო მისი შინაარსი. ერთი სი-ტყვით ამ უკანასკნელ წელიწადებში თუ «დროებაში» იყო რამე — ისევ ლექსები იყო, სხვა არაფერი — დაბეჭდილი ასოებით აჭრელებული ფურცლების მეტი. მაშასადამე მოხსენებული მოლექსეებისა უმადური კი არ უნდა იყოს, არამედ, დიდად მადლიერი, რომ მათ ცოტა ღირ-სება მაინც მისცეს «დროებას».

და ამ ღირსების პატრონი «დროება» რათ ლაშქრობს ან ჟურნალ-გაზეთების წინააღმდეგ ასე წინდაუხედავად, ან თავისი დამამშვენებელი და ღირსების მცემი პოეტების წინააღმდეგ? ეს იმის მიზეზით დიდგულობს ასე, რომ დასავლეთის ქარს დასავლეთის ჭექა-ქუხილი წამოუღია და რადა-მანქანების ძალით ამ ჭექაქუხილს «დროებაც» აუქუხებია. მაგრამ ეს არაფერი: ხშირად გაგვიგონია: როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო.... თქვენ უყურეთ, რომ ქარის მოტანილი ეს «დროების» ჭექა-ქუხილი თითონაც სულ ქარად გადაიქცეს.....

ალარც ძალას, რომ გამოვიყვანო ჩემი თავი იმ მწუხარებიდამ, რომე-ლშიაც მე ჩავვარდი. აი, უფალნო, სამწუხარო მოთხრობა ჩემის უბე-დურებისა. მე ვცდილობდი მეამბნა თქვენთვის დიდის დაწვრილებით, რომ კვალად არ აღმეძრა ჩემში მრავალი შემაშფოთებელი სინანული. ნუ ეცდებით ჩემ რჩევასა და დარიგებას, და ნუ იფიქრებთ, რომ თქვე-ნი ჭკუით არჩეულს წამალს ვითარიმე განკურნება შეეძლოს ჩემი უბე-დურებისა.

თქვენი შემწეობა იმდენსავე სარგებლობას მომიტანს მე, რამდენ სარგებლობასაც მოუტანს ავადმყოფს ის წამალი, რომელსაც ის არ მიიღებს. მე არ ვეძებ განკურნებას უ ლუსცინდოდ, და თუ მას აღარ შე-უძლიან ჩემი იყოს და თუ ის სხვას მიეცა,—მეც ჩემის მხრით სრუ-ლიად მივეცემი უბედურებას, რადგან ბედნიერების კარი ჩემთვის დახ-შულია; თავის ორგულობით მას ჰსურდა ჩემი დაღუპვა, მაშ დაე და-ვიღუპო, რომ მით აღვასრულო იმის წადილი. დაე სთქვან, რომ მხო-ლოდ მე დამეკვეთა უბედურების შემსუბუქება, და იმასაც ვერ ვპოვებ, რასაც სხვა მაშვრალები ჰპოვებენ ხოლმე მით, რომ დარწმუნდებიან ხო-ლმე, ვითარმედ ნუგეში მათთვის შეუძლებელია; გარნა მე ვცნობ და ამ ცნობით ვიტანჯები, რომ ჩემნი ვნებანი ჩემი სიკვდილით არ მო-ისპობიან, არამედ გამყვებიან თან იმ საიქიოს.»

ამით დააბოლოვა კარდენიომ თავის გრძელი და სამწუხარო სი-ყვარულის ბაასი; და იმ წამს, როდესაც მღვდელმა დააპირა რაღაც ნუ-გეშსაცემი სიტყვების თქმა,—იმ წამს მოისმა საშინელი ხმა; ამ ხმამ მიიტაცა საზოგადო ყურადღება. მაგრამ ბრძენი ისტორიკოსი სიდ-ჰამედ-ბენენხელი ამ ადგილას ათავებს მეოცდა მეშვიდე თავს და იმ ხმა-ურობაზედ შემდეგ თავში მოგვითხრობს.

## თავი 28.

აქ მღვდელი, დალაქი და კარდენიო შეჰხვდებიან დონ-ფერნანდის საყვარელს, დოროთეას, რომელიც მოუთხრობს იმათ თავის გარდასავალს.

ბედნიერება იყო ქვეყნიერებისთვის, ათ წილად მომეტებით ბედნიერი

დრო იყო, როდესაც მოგვაწყობდა უშიშარი დონ-კიხოტი დამარცხებული. რა ძალიან ცდილობდა და როგორი გულითადი სურვილი ჰქონდა იმისა, რომ როგორმე აღედგინა კვალად და გაემტკიცებინა ქვეყანაზედ რაინდობის წოდება! წარმოიდგინეთ — თუ კი ეხლა, როდესაც მხოლოდ წიგნში ვკითხულობთ დონ-კიხოტის ვაჟ-კაცობას და სამაგალითო ღვაწლებს, ასეთს სიამოვნებას და კმაყოფილებას ვგრძნობთ მისგან, — მაშინ რაღა უნდა ყოფილიყო, რომ ვისმეს თავის თვალით ენახა დონ-კიხოტის ნამდვილი ცხოვრება და ხასიათი, — ისე, როგორც ჩვენ ეხლა წიგნში ვკითხულობთ!

მაგრამ ახლა ისევ ჩვენი მოთხრობა გავაგრძელოთ. როდესაც მღვდელი ელაპარაკებოდა და ნუგეშს აძლევდა კარდენიოს, იმათ შორი-ახლოდგან უეცრად მოესმათ სამწუხარო ტირილი და შემდეგი მოთქმა: «ოჰ, ღმერთო ჩემო! ძლივს არ ვიპოვე ისეთი ადგილი, რომელიც დაჰფარავს ამ ჩემ დამძიმებულს გვამს. ჰო, მგონია, ვიპოვე, თუ კი-დევ ჩემმა ბედმა არ განმაშორა ამ დაფარულ ადგილს. ეს ამისთანა ღრე-ტყე და კლდეები, ეს განშორებული ადგილი, სადაც უნდა დავლიო სული, რამდენით მომეტებულად სატრფო არიან ჩემთვის, ვიდრე ხა-ლხი, რომელთ შორის ვერავის ვიპოვი, რომ გამიზიაროს დარდი და შემიმსუბუქოს მწუხარებას.» ზემოხსენებულმა პირებმა იგრძნეს, რომ ეს ხმა ძალიან შორიდგან არ უნდა ყოფილიყო და მაშინვე წავიდნენ იმ ბედზედ მომტირალის საძებნელად. ოციოდ ნაბიჯიც არ გადაედგათ ჯერ, რომ იმათ შეასწრეს თვალი ერთ ახალ-გაზრდას, გლეხურად ჩაცმულ ყმაწვილს. პირისახე კარგად ვერ დაუნახეს, რადგან ის უცხო ყმაწვი-ლი მოხრილი იდგა და წყაროში ფეხებს იბანდა. მიიპარნენ იმასთან ჩუმად და ნახეს, რომ მას ფეხები სითეთრისგან ორ წმინდა მარმარილოს ქვის ნატეხს უგავდა. მერე გაჰკვირდნენ, რომ იმ ყმაწვილს ისეთი თეთრი და მშვენიერი ფეხები ჰქონდა და მიჰხვდნენ, რომ ის ფეხები ურმის უკან დევნისა და ტალახის რევის ღირსნი არ იყვნენ, როგორც შეიძლებოდა ეფიქრა კაცს იმის გლეხურ ტანისამოსზედ. ეს ფარულად დათვალიერება უცხო ყმაწვილმა ვერ შეატყო. შემდეგ მღვდელმა თავის ამხანაგებს ანიშნა, რომ კლდის უკანიდამ მიჰპაროდნენ იმ

ყმაწვილს და ისე შეეფერათ. ამ უცნობს ეცვა ზემოდან რაღაც ლურჯის მგზავსი და წელზედ ბრტყელი თასმის თეთრი ქამარი [illegible] ამხანაგი მაუდის ჰქონდა და მაუდისავე ქუდი ეხურა, [illegible]-ლი ქუდის მსგავსი. ჰერანგის ამხანაგი აქწივა მუხლებამდის და წვივები გამოსჭვირავდნენ თეთრად მარმარილოსავით. რომ გაათავა ფეხების ბან-ვა, გამოიღო ქუდიდგან პირსახოცის ნაცვლად ხელსახოცი და, რა გა-დიყარა უკან თმები, გამოუჩნდა პირისახე. ამ დროს ვხედავ რაღაც თავზარი დაეცათ ყმაწვილის საკვირველი სიმშვენიერისა გამო; კარდე-ნიომ ჩუმად წასჩურჩულა მღვდელს: ეს ან ლუსცინდა უნდა იყოს და ან სრულებით ქვეყნიერი არსება არ არის». ამ მშვენიერმა ადამიანმა მოიხადა ქუდი და, რა გაიქნ-გამოიქნია თავი, ისე გულხავლავად დაიწყეს ნართმა თმებმა რხევა და ქანაობა, რომ იმისი სიმშვენიერე და სიკე-კლუცე თვით მზესაც შეჰშურდებოდა. ახლაკი ჩვენმა გმირებმა ცხადად დაინახეს, რომ იმათ წინ იდგა ყმაწვილი კაცი კი არა, არამედ მშვენიერი ქალი, რომლის მგზავსი თავის დღეში არ ენახათ არც იმ ორ დონ-კისოტის მეგობრებს და არც თვით კარდენიოს — ლუსცინდას მეტი. კარდენიო არწმუნებდა იმათ, რომ მხოლოდ ლუსცინდას სიმშვენიერეს შეედრებოდა იმ ქალის სიმშვენიერე. იმის გრძელი და მო-მსხო ზილფი კავები ჰფარავდნენ არა მარტო მხარ-ბეჭს, არამედ მთელ ტანს და ამ გვარი ხშირი და გაგიჟებული თმებისაგამო მთელი სხეულო-საგან უჩანდა მხოლოდ ფეხები. ტუროვა და ლამაზი ხელები ამ ჟამად სავარცხლის ნაცვლად ემსახურებოდნენ მას, და რადგან იმის ფეხები ემ-სგავსებოდნენ მარმარილოს ქვებს, ახლა ხელები თოვლის მგზავსად ბრწყინავდნენ თეთრად. ამისგამო არ შეიძლებოდა ჩვენ მოგზაურებს არ გაჰღვიძებოდათ ამ საქმის გამოძიების სურვილი, და ამიტომ მაღ-ვას თავი დაანებეს. მოჰკრა თუ არა ყური რაღაც ფეხის ხმას, მშვენიერმა ქალმა მაშინვე პირისახიდგან მხარ-ბეჭისკენ გადიყარა თმები, მიიხედა და, დაინახა თუ არა სამი ვიღაც უცხო კაცი, ხელი დასტა-ცა ხელსახოცს და შეშინებული გაიქცა. მაგრამ იმისმა ნაზმა ფეხებმა დიდხანს ვერ შესძლეს ქვიშაზედ სირბილი და რამდენიმე ნაბიჯის გადა-დგმის შემდეგ ძლივ შესძლეს სიარული და საწყალმა ქალმა, მეტი ღონე არ იყო, წაიქცა. ჩვენი გმირები მაშინვე მიეშველნენ და

მღვდელმა მშვიდის ხმით უთხრა. «ქალბატონო, ვინც უნდა ბრძანდებოდე, მაინც ჩვენი ნუ გეშინებათ; ჩვენ გულში სხვა განზრახვა არა არის რა, მხოლოდ გვსურს გემსახუროთ, რითაც შეგვეძლება. ნუ ეცდები ჩვენგან გაქცევას: ხომ ჰხედავ, რომ ნებას არ გაძლევენ შენი ნაზი ფეხები და არც ჩვენ განებებთ თავს.» შემკრთალმა ქალმა ხმა ვეღარ ამოიღო და მიწაზედ დაკრულსავით ერთ ალაგას დარჩა. მღვდელმა ხელი მოჰკიდა და უთხრა კიდევ: «თქვენი თმები, ქალბატონო, აშკარად აცხადებენ თქვენს ვინაობას და ტყუილადღა ხცდილობთ დაიფაროთ თავი სხვანაირის ტანისამოსით. ჩვენ ცხადად ვხედავთ, რომ თქვენ უბრალო საქმისთვის არა ხართ გამოქცეული ამისთანა უდაბურ ალაგას, და რადგან ბედმა თქვენთან შეგვახვედრა,—მზათა ვართ შეძლებისამებრ რჩევა მოგცეთ რამე, თუმცა სრულებით თქვენი მორჩენა არ შეგვეძლება. მშვენიერო ქალო, იცოდეთ, რომ რაც უნდა დიდ მწუხარებაში იყოს ადამიანი, ვიდრე ცოცხალი არის, იმან არას დროს არ უნდა შეურაცხ-ჰყოს მოყვასის გულითადი რჩევა და ნუგეში. მაშ დამშვიდდით, საწყალებრივო ქალო, ანუ საწყალებრივო ქალბატონო, ანუ გვიამბეთ როგორ გიწოდოთ, ვინა ბრძანდებით? ნუ ჰკრთით და ნუ გეშინიანთ ჩვენი; გვითხარით რა ამბავია თქვენის თავს. დარწმუნებული ბძანდებოდეთ, ჩვენ ყველას სათითაოდ, ვისაც რა შეგვეძლება, ვეცდებით შეგიმსუბუქოთ მწუხარება». გაბრუებული და გონება-დაკარგული მშვენიერი ქალი შეშლილივით იდგა და ყურს უგდებდა; ისე განცვიფრებული უყურებდა მღვდელს, როგორც გენახოსთ ერთი უხეირო, უსწავლელი გლეხკაცი, როდესაც დიდად უნახავს ნივთს აჩვენებენ რასმე. დასასრულ, რაკი ნახა ამ ქალმა, რომ მღვდელი ისე გულით ეხვეწებოდა იმის ვინაობისა და ვითარების შეტყობას და მასთანავე ალუთქვამდა ნუგეშის-ცემას,—მშვენიერმა ამოიდგა ენა და დაიწყო: «რადგან ამ უდაბურმა მთებმა ვერ დამფარეს ხალხისაგან და რადგან ამ გაწეწილმა თმებმა გამომაშკარავეს,—ტყუილიღაა: ეხლა მე თქვენ ვეღარასფერს ვერ მოგატყუებთ. გმადლობთ, უფალნო, მაგ ყურადღებისათვის, რომ ასეთ თანაგრძნობას იჩენთ ჩემდამი. რადგან ასეა, უნდა ავასრულო თქვენი სურვილი და ყველა ჩემი თავსგარდასავალი დაუმალავად განგიცხადოთ. ესეც კი უნდა მოიხსენოთ, რომ მე ძრიელ მეშინიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაი თუ ჩემმა უბედურების მოთხრობამ თქვენში დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს და იქნება თქვენ ძრიელ შესწუხდეთ; მაგრამ სამწუხარო უფრო ის არის ჩემთვის, რომ ვერაფერს მიწამლებთ და ვერცარა ნუგეშს მომცემთ რასმე. მე მხოლოდ იმისთვის გიამბობთ ყველა ჩემს თავს-გარდასავალს (რომელიც მალიან მეძნელება), რომ ცუდი არა იფიქროთრა ჩემზედ და არა სთქვათ: შეუფერებელი ტანისამოსი რათ აცვია ამ ადამიანს და რას დაეხირება ამ უდაბურ მთებშიაო. ეს სიტყვები ამ ახალგაზდა ქალმა ისეთი მშვენიერი და ნაზის ხმით წარმოსთქვა და ისე გონებიანად, რომ ჩვენი გმირები ამან უფრო გააკვირვა და უფრო დასწყვიტა გული, ვიდრე პირველ ნახვის დროს მისმა სახის სილამაზემ.—იმათ აღუთქვეს შესაძლებელი სამსახური და სთხოვდნენ, რომ ჩქარა დაეწყო თავისი ამბავი. საწყალმა ქალმა ბევრი აღარ იხვეწია ისინი: გაისწორა ტანსაცმელი და თმები, დაჯდა ერთს დიდ ქვაზედ და გარს შემოისხა სამი უცნობი მსმენელი. შემდეგ, როგორც იყო, შეიმაგრა თავი, შეიკავა ცრემლები, რომლებიც ის იყო სავსე თვალებიდგან ჩამოცვივნას აპირებდნენ, და საამური წმინდა ხმით ასე დაიწყო თავისი სამწუხარო ამბავი.

«ჩვენი სოფლის ახლოს, ანდალუზიაში, არის ერთი პატარა ქალაქი; ამ ქალაქს ერთი ისპანიის გრაფის სახელი ჰქვიან და იმ გრაფობაში ეკუთვნის ის ქალაქი. იმ გრაფსა ჰყავს ორი შვილი: უფროსი მამულის მემკვიდრე არის და იქნება იმის მაღალი თვისებების მემკვიდრეც გახდეს; მაგრამ უმცროსისა კი არა ვიცით, იმის მეტი, რომ იქნება იმან განელონის ბოროტ-მოქმედება და ავაზაკობა და ველიდოს ღალატობა დაიმკვიდროს. ჩემი მშობლები ამ ქვეყანაში სცხოვრებენ. მაღალი ჩამომავლობისა არ არიან ისინი, მაგრამ ისეთი გამოჩენილი და მდიდრები არიან, რომ მთელი ეს მხარე იცნობს იმათ. ფულებსა და ქვეყნიურ სიმდიდრეს რომ ის ფასი ჰქონდეს, რაც ბუნებით ნიჭს, სწავლას და დიდ ჩამომავლობასა აქვს, ჩვენ აღარაფერი გვაკლდებოდარა და მეც ამისთანა უბედურება არ შემემთხვეოდა. ყველა ჩემი უბედო-

*) ველიდო ყოფილა რაინდი, რომელსაც მეთერთმეტე საუკუნეს დასასრულს მოუკლავს კოროლი სანჩო მეორე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა იმაში მდგომარეობს, რომ უბრალო ჩამომავლობისა ვარ. მართალია, არც ისე ძალიან უგანასკნელი გვარისა ვარ, მაგრამ მა[illegible] იყო მიზეზი ჩემის ამ გვარი გაუბედურებისა. ჩემი მშობლები უბრალო მიწის მხვნელნი არიან, მაგრამ თავიანთი კარგი მდგომარეობით და სიმდიდრით თითქმის აზნაურობას დაიმტკიცებს. ისინი სიმდიდრეს არაფრად არ აფასებდნენ: იმათი სიმდიდრეც, ბედნიერებაც და უდიდებულესი საუნჯეც მხოლოდ მე ვიყავ. მე ვიყავი იმათი ქონების ერთად-ერთი მემკვიდრე და, რასაკვირველია, სულ ჩემ ფერობაში იყვნენ. მე ვიყავ იმათთვის სარკე, რომელსაც შემომცქეროდნენ და სიხარულით სტკბებოდნენ; მე ვიყავ იმათი სიბერის სიხარული და ნუგეში. ამასთანავე მე ვიყავ როგორც იმათი გულის პატრონი, აგრეთვე იმათი ქონებისაც. მე ვაყენებდი მოსამსახურეებს საქმეზედ, მე ვაძლევდი იმათ ფულს, მე ვუგდებდი ყურს საქონელსაც, ვენახებსაც, ქათმებსაც და სრულიად ჩემ ხელში იყო ოჯახის სახლოსნობა. ყველაფერს ისე გულმოდგინედ და სალისიანად ვუგდებდი ყურს, რომ არ შემიძლიან სიტყვებით გადმოგცეთ. როცა გავათავებდი სახლოსნობის წესს და ყველა მოჯამაგირეებს თავის საქმეებზედ დავაყენებდი, დანარჩენ დროს ვატარებდი ჭრა-კერვაში, რთვაში, წიგნის კითხვაში და ან ქნარს უკრავდი ხოლმე. და ასე სიტკბოებით და სიამოვნებით ვატარებდი ჩემი ცხოვრების დღეთა. თქვენ ნუ იფიქრებთ, რომ ჩემი მშობლებისა და ჩვენი ცხოვრების ქება იმისათვის გავავრცელე ასე, რომ მე ტყუილი ვესხა მოყვარს: ამითი მხოლოდ მე მსურს დაგანახოთ: ჩემი ბრალი ყოფილა, რომ იმისთანა სიმდიდრისთვის თავი დამინებებია და ამ მდგომარეობაში ვარ, თუ არა. მაგრამ ამაო იყო ჩემი ამ გვარი სასიამოვნო და უდარდელი ცხოვრება, ტყუილი იყო ჩემი ოთხ-კედელშუა მონასტრული ცხოვრება, ტყუილად მქონდა იმედი, რომ შინაურების მეტს არავის ვენახე. დღესასწაულობით თუ ეკკლესიაში გავყვებოდი დედაჩემს ან ჩვენ გოგოებს, მაშინაც ისეთნაირად მოვიბურდნავდი სახეს, რომ თვალების მეტი აღარა მიჩანდა რა, და თვალებსაც იმისათვის ვიჩენდი, რომ სიარულში გზა დამენახა. მაგრამ, გამიწყრა ღმერთი, მცბიერმა თვალებმა, სიყვარულის თვალებმა დამლოეს მე. ჩემდა საუბედუროდ, ვერცოვის

უმეცრობამ შვილმა, დონ-ფერნანდომ, მოჰკრა როგორღაც თვალი, შე-ყვარდი და დამიწყო დევნა....»

კარდენიომ ფერნანდის სახელი რომ გაიგონა, ერთბაშად შეიცვა-ლა სახეზედ და დაიწყო შფოთვა ავადმყოფივით, ასე რომ მღვდელმა და დალაქმა რომ შენიშნეს, იფიქრეს უთუოდ ამ კაცს თავისმა ჩვეუ-ლებრივმა სიგიჟემ მოუარაო. კარდენიომ თან-და-თან კანკალს მოუმატა, დაუწყო ოფლმა დენა და გაშტერებული უყურებდა თვალ-მოუშორებლივ გულის საკლავად მოლაპარაკე ქალსა: კარდენიო მიხვდა ვინც იყო ეს ქალი. დოროთეა ყურადღებას არ აქცევდა კარდენიოს და განაგრძელე-ბდა თავის ამბავს: «დამიმალავს თუ არა ამ კაცმა, ჩაუვარდა გულში გიჟუ-რი სიყვარული და, მართლა, კიდეც მიაღწია თავის გულის წადილს. მაგრამ, ეს ამბავი რომ ძრიელ არ გაგრძელდეს, მე იმეებს არ გამოუდ-გები, რაც იმან საქმეები ჩაიდინა იმ დროს, როცა უნდოდა გამოეცხა-დებინა ჩემთვის თავისი მხეცური სიყვარული: ვინ იცის რამდენჯერ დაჰქროდა ჩემი გამდელი დედაკაცი, რამდენ საჩუქრებს უძღვნიდა ჩემ დედ-მამას, რამდენ წვეულებასა და დღესასწაულებს ჰმართავდა და ღამ-ღამე ქეიფის ყიჟინით და ცნახით არავის მოსვენებას აღარ აძლევდა. მასთანავე, ჩემ უნებურად, ვინ იცის, რამდენი წერილები მომდიოდა იმისგან, სულ ფიცითა და აღთქმებით გატენილები. მაგრამ მე ამაებს სრულებით ყურს არ ვუგდებდი და უფრო-და-უფრო ვერიდებოდი, რო-გორც ჩემს მკვლელს. ყველა ამას ვსჩადიოდი იმისათვის კი არა, რომ არ მომწონდა ის და ან ჩემი უღირსი იყო, — წინააღმდეგ, მე თი-თონ არ ვიცი, ისე რათ ვიქცეოდი. მაგრამ ესეი მომწონდა, რომ იმი-სთანა გამოჩენილს და ყოჩაღ კაცს ვუყვარდი, როგორიც იყო დონ-ფერნანდი, და ძრიელ დიდ სიამოვნებას მაძლევდნენ იმის წერილები, რომლებსაც ვკითხულობდი ჩემ ქებასა და შემკობას. რა უყოთ? ჩვენ, ქალები, ისეთი ბუნებისანი ვართ, რომ, რაც უნდა ცუდი სახისანი ვიყვნეთ, მაინც ძრიელ გვესიამოვნება, როდესაც ვინმე მოგვი-წონებს და ლამაზს დაგვიძახებს. დონ-ფერნანდი არა ჰმალავდა თავის სიყვარულს და იმისი სურვილი არა თუ სხვებმა, თვით ჩემმა დედმამამაც გაიგეს. მე ჩემის ჭკუის გაფრთხილებით და მშობლების დარიგებით იმის ფიცსა და თხოვნას ყურს არ ვუგდებდი და ამიტომ ჩემგან ვერა-

ფერი პასუხი ვერ მიიღო. ჩემი დედმამა მალიმალ გამიმეორებდა ხოლ-მე, რომ იმათი ბედნიერება, კეთილდღეობა და ყოველი [illegible] დამოკიდებული იმაზედ, რომ მე კარგი სახელი მქონდა. ასე მეტყოდ-ნენ ხოლმე: «შენი თავიც აიღე და დონ-ფერნანდისაც, გაზომე, რამ-დენით შორის სდგეხარ იმაზედ და მაშინ შენვე მიჴსვდები, ეგ ფიცი და სჭექნა წმინდის გულით არიან ნაწერნი თუ არაო». ამასთანავე ჩემს მშობლები იმასაც მპირდებოდნენ, რომ ჩემი სურვილით ვისაც რა დროს მოვინდომებდი, ჩვენებური იქნებოდა თუ სხვა ქვეყნისა, მაშინვე დამაქორწილებდნენ. იმათთვის ჩემი გათხოვება ძრიელ უადვილესი საქმე იყო, ამისთვის რომ ჩემი სილამაზისა და მამიჩემის სიმდიდრის ხმა ყველგან იყო მოდებული. ამის მიზეზისა გამო მე ჩემ აზრზედ მტკი-ცედ ვიდექი და არაფერი სიტყვა და იმედი არა მიმიცარა დონ-ფერნან-დისთვის იმის გულისთქმაზედ. მაგრამ, როგორც გატყობდი, დონ-ფე-რნანდს მაინც უფრო-და-უფრო უცხოვლდებოდა სიყვარული და უფრო-და-უფრო ელტოდა თავის გულის თქმის მიღწევას: იმისი სიყვარული მართალი რომ ყოფილიყო, მაშინ მე თქვენ ამ საცოდაობაშიაც ხომ ვეღარა მნახავდით. შემდეგ იმან საიდგანღაც შეიტყო, რომ ჩემი მშო-ბლები ვითომ მალე მიპირობდნენ გათხოვებას. ეს ამბავი უკარგავდა იმას ჩემი მოპოვების იმედს—ხელიდგან ვერთმეოდი. ეს რომ შეიტყო, იმან მიჴმართა შემდეგ ღონისძიებას:

«ერთ ღამეს დავრჩი საწოლში მარტო ჩემის მოახლით და ყველა კარებები მაგრა ჩავკეტე, რომ ჩემის გაუფრთხილებლობით არაფერი არა შემმთხვეოდა რა და ჭორები არა შეედგინათრა. მაგრამ სულ ტყუ-ილად.... წარმოიდგინეთ, რა რიგად შევკრთი და გავკვირდი, რომ საი-დგანღაც გამიჩნდა ჩემს ოთახში დონ-ფერნანდი. ეშმაკმა იცის, რო-გორ შემოპარულიყო, რადგან ყველა კარებები ჩემის ხელით დავკეტე მაგრა. იმავ წამში ისეთ ნაირად გავხდი, რომ ვეღარც რამე დავინახე და ვეღარც ხმა ამოვიღე შიშისა და სირცხვილისაგან; და თუნდა დაყვი-რება მომესურვებინა, მაინც ვერ დავიყვირებდი, რადგან იმან მაშინვე პირზედ ხელი დამაფარა, და აბა რაღას უშველიდი ჩემ თავს. ამ კაცმა დაიწყო ფიცილი და შეჩვენება თავის თავზედ, რომ სრულებით დავკერ-წმუნებინე ყოველისფერზედ რასაც ამბობდა; ასეთა ძალიან გაკვირვებული

ჯარ, თუ რა ძალა ჰქონდა ტყუილ ფიცს და თავის შეჩვენებას. ამისთანავე შემომტიროდა ცხარის ცრემლით და ყველა სიტყვაზედ ღრმად ამოიოხრებდა, რომ უსულო არსებასაც კი შეაბრალებდა თავის თავს. მე, საწყალმა, გამოუცდელმა და ამ გვარი საქმის უნახავმა, ცოტ-ცოტად დავიჯერე ყველაფერი, რასაც მეუბნებოდა ის მოღალატე. მე ეს მიკვირს ბოლოს ისე როგორ დამძლია და ამიყოლია, რომელსაც მე წინდაწინ შებრალების მეტი არა აღმოაჩენია რა და არა მითქვამს რა იმისთვის სასიამოვნო და სასიხარულო. პირველი შიშისაგან რომ მოვბრუნდი, — არცკი მეგონა, თუ ასრე გავბედავდი, — მივუბრუნდი და უთხარი ამაყად: «შენს მაგივრად რომ ქალს გაცოფებულ ლომს ვეჭირო თავის ბრჭყალებში და მას ბრჭყალებიდგან თავის გამოხსნა შეეძლოს ჩემი ქალწულების შეწირვით, მაშინაც არ დავეთანხმებოდი ამაზედ, და თუმცა ჩემი გვამი ახლა თქვენს ხელშია, მაინც სული თავისუფალია და მხოლოდ ჩემ სინიდისს ემორჩილება და თქვენ სინიდისს ეწინააღმდეგება, თუ ძალას მოიხმარებთ ჩემზედ. თუმცა ახლა მე თქვენ ხელში ვარ, მაგრამ მაინც თქვენი მონა და მოსამსახურე არა ვარ, და თუმცა თქვენ მაღალი შთამომავლობისა ბრძანდებით, მაინც სრულებით არა ხართ ჩემი მბრძანებელი. მე მაქვს იმდენივე ჩემი საკუთარი ღირსების გრძნობანი, რამდენიც თქვენ. თქვენი ღირსება და სიმდიდრე ჩემთვის არაფერია. მე თქვენი სიტყვები ვერ მომატყუებენ და თქვენი ცრემლით ვერ დამიყოლიებთ. და თუ ჩემი დედმამა გინდომებსთ ჩემ ქმრად და იმათ ჩემი სახელი არ დამცირდება, მაშინ, ჩემის ნების წინააღმდეგ, დავთანხმდები იმათ სურვილზედ და გავჰხდებით თქვენ ჩემი ქმარი, რასაც ახლა ძალით სცდილობთ. მე თქვენ გეფიცებით, რომ ჩემი გული მხოლოდ ჩემს სჯულიერს ქმარს უნდა ეკუთვნოდეს.»

— «ოჰ, თუკი საქმე მაგაზედ არის დამოკიდებული, შეჰყვირა უსინიდისო მატყუარამ, მაშ აჰა ჩემი ხელი, დაიჭირე, შენ გეკუთვნის, ჩემო დოროთეა! (ეს სახელი ერქვა იმ საწყალ ქალს) მე ვიქნები შენი ნამდვილი ქმარი და ჩვენი ცოლ-ქმრობის მოწმად მოუწოდებ ზეცას, რომელსაც არა დაემალება რა, და ამ ყოვლად წმინდა ღვთის-მშობლის ხატს, ჩვენ პირდაპირ რომ ასვენია».

კარდენიომ რომ დოროთეას სახელი გაიგონა, წინანდელივით კი-

დევ დაიწყო კანკალი და ცახცახი, და ეხლა კი ნამდვილად დარწმუნდა მარქელ თავის აზრში: იმან შეიტყო ნამდვილად, ვინც იყო ის მშვენიერი უცხო ქალი. კარდენიოს არ უნდოდა სიტყვა გაეწყვეტინებინა ქალისთვის, თუმცა მისი მოთხრობის ბოლო თითქმის იცოდა; მაგრამ ეს კი უთხრა: «როგორა, ქალო? თქვენ დოროთეა გქვიათ? მე ვიცნობდი ერთ დოროთეას, რომლის ამბავიც თქვენსას ძრიელ მიემსგავსება; მაგრამ გთხოვთ გააგრძელოთ თქვენი ლაპარაკი. როდესმე მეც გეტყვით მაგვარ ამბავს და ის ამბავი მაგ ამბავზედ ნაკლებ არ გაგაკვირვებთ თქვენ». დოროთეამ შეხედა აძონძილ კარდენიოს და სთხოვა ეამბნა, თუ კი იცოდა რამე ამბავი. ამას შემდეგ დაუმატა დოროთეამ: «დასასრული მე ეხლა დამრჩენია იმედათ, რომ რაც უნდა დიდი უბედურება რამ შემემთხვეს, გულ-გრილად უნდა დავხვდე. დარწმუნებული ვარ, რომ ამას იქით ჩემ უბედურებას ვეღარაფერი მოემატება». — «მე გეტყვით ყველაფერს ჩემი გულის პასუხს, მიუგო კარდენიომ, მაგრამ ჯერ დრო არ არის და არც თქვენთვის არის ჯერ საჭირო». — «თქვენი ნებაა, წინააღმდეგი არ გავიხდებით, მიუგო დოროთეამ, და განაგრძელა თავისი ამბავი: «დონ-ფერნანდომა ჩამოიღო ღვთის მშობლის ხატი ჩვენი ცოლ-ქმრობითი შეკავშირების მოწმად, და დაიფიცა, რომ ჯვარი უნდა დაეწერა ჩემზედ. მაგრამ მე ეს მაშინვე მოვაგონე და უთხარი, რომ კაი თუ მამა თქვენი კმაყოფილი არ დარჩეს ამ თქვენ ცოლის შერთვაზედ, რადგან მე უბრალო გვარის ქალი ვარ მეთქი. მე წინადვე ვაფრთხილებდი იმას, რომ ჩემი სილამაზით არ მოტყუებულიყო და ბოლოს ნანვა არ დაეწყო: უბრალო გვარის ქალი რათ შევირთეო. ამასთანავე მე ისიცა ვსთხოვე, რომ ჩემთვის თავი დაენებებინა, რომ მე ჩემი ტოლი და ჩემი შესაფერი ვინმე შემხვედროდა ქმრად. მე ისიც მოვაგონე, რომ მაღალ-დაბალი წამომავლობის ცოლ-ქმართა შორის უკმაყოფილობა ადვილად მოხდება ხოლმე, და აღარც კი მახსოვს, რამდენი ამ გვარი წინა-დადებები ვუთხარი, მაგრამ არ იქნა, ვერაფრით დავაღწიე თავი. მაგრამ ჩემ გულში ისეც კი ვიფიქრე: განა ჩემს მეტი მდაბალი ხარისხის ქალები მაღალი გვარისაზედ არა თხოვდებიან, და განა, დონ-ფერნანდის მეტი, უბრალო გვარის ქალებს არავინა თხოულობენ, სილამაზისაგამო. მაშინ უთხარ ჩემ თავს: თუ კი ამ გვარი მაგალითი ქვეყანაზედ ათასი სხვა ხდება

ხოლმე, მე რაღათ მოვკრიდი ამისთანა ბედნიერებას, რომელიც ჩემი ხვე ხელში მეძლევა მას. მაგრამ ისევ კი ვიფიქრე: უის[illegible] და ტკბილი სიყვარული გამოუცხადო, ღმერთს როგორც მოვატყუო და ღვთის დედას მეთქი; თუ არა და ეს კაცი ძალას მოიხმარებს, გამაუპატიურებს და ჩასაქკავებელი გავხდები. მაშინ სულ ამასაც იფიქრებდნენ, რომ დონ-ფერნანდი ვითომ მე შემომეყვანოს ჩემ საწოლში: და ამას როლითი გავიმართლებდი მე თავს. მაგრამ ეს ფიქრები კიდევ ვერ შემაშინებდნენ და ვერ შემაცდენდნენ, რომ დონ-ფერნანდს არ დაეწყო ფიცი, შეხვეწნას და ამასთანავე ტირილი, აგე რომ თვალებიდგან წყაროსავით ჩამოსდიოდა ცრემლი. და რადგან თითონაც ისეთი მშვენიერი მეხედულობის ვაჟკაცი იყო, რომ რაც უნდა ცივი გულისა ვყოფილიყავ, მაინც გამიტაცებდა, გავხედე და დავუთმე ნება იმის სურვილზედ. მაშინ დაუძახე ჩემ მოახლეს, რომ ის ყოფილიყო ქვეყნიური მოწამე ჩვენი ფიცისა.

ამას შემდეგ მე დღე-დღეზედ მოველოდი ჩვენ სჯულიერ მეუღლეობას, მაგრამ დონ-ფერნანდს თითქმის ფიქრათაც აღარ მოუვიდოდა, რადგან მიეწვდა თავის პირველ გულის წადილს. მართლაც და კაცი ისე ყოფილა: როდესაც თავისი პირველი უმანკოთ გულის წადილი შეუსრულდება, იმით დაუძლურდება თავისი ტრფობა და თავი დაუნებება. ეს სწორედ შევნიშნე მე დონ-ფერნანდში, რომელიც ეჩქარებოდა რომ მალე გამშორებოდა; ისევ იმ მოახლით, რომელიც შემოუშვა ჩემთან, გათენებამდის გაუღო კარები და გავიდა ჩემი საწოლიდგან. რომ მეთხოვებოდა, თუმცა პირველსავით გულიანად არა, მაგრამ კიდევ მარწმუნებდა, რომ უთუოდ აღასრულებდა თავის ფიცს, და ამის დასამტკიცებლად ამოიღო ჯიბიდგან ძვირფასი ბეჭედი და თითზედ გამიკეთა. ამას შემდეგ გავშორდით, მაგრამ არ ვიცი, როგორი გულით: გვიხაროდა, თუ დაღონებული ვიყავით. ეს კი მახსოვს, რომ სირცხვილისაგან სულ პირის ოფლი დამესხა, ჩემი თავი აღარ მახსოვდა და რაღაც მოუსვენებლობა მომეცა, აგე რომ ჩემ მოახლეს ვეღარც კი გაუჯავრდი, რომ იმას ჩუმად ჩემ საწოლში დაემალა დონ-ფერნანდი. მაშინ, ერთის სიტყვით, სულ დავივიწყე გონებით და ვეღარ ვარჩიობდი: საკეთილოდ მომივიდა ის საქმე, თუ საუბედუროდ. მაგრამ კი, რომ მიდიოდა, მე უთხარ დონ-ფერნანდს: ამას იქით მე შენ გეკუთვნი მეთქი და კიდეც და-

ქორწინებამდეთ, როდესაც შენი ნება იყავს, ღამ-ღამე მოდი ხოლმე იმავ გზით, როგორც ქონდა შემოსვლა მეთქი. მართლაც, ყოველ-ღამე კიდევ მეჩვენა და იმის შემდეგ ის ჩემთან აღარ მოსულა. ბევრი—ვეძებე, მაგრამ ვეღარსად ვერა ვნახე: ვეღარც ქუჩაში, ვეღარც სახლში, ვეღარც ეკკლესიაში და მთელი ის ჩემთვის დაუვიწყარი თვე სულ ვაი-ვაგლახით გამიტარებია. ის კი სხვაგან არსად წასულა, სულ თავის საყვარელ სადიროსაში ატარებდა დროებას. ოჰ, ღმერთო! რა გრძლათ მეჩვენებოდნენ ის დღეები, რა მწარე იყო ჩემთვის მაშინდელი ერთი წამი! ჯერ ცოტა ეზოში შევედ იმის ფიცის აღსრულებაზედ და მერე სრულებით დავკარგე სასოება. მაშინ კი ჯავრობამ დაუწყო მოსვლას და ჩემ გულის ჯავრს და სადარდელს სულ იმაზედ ვურიდობდი. მაგრამ ჩემ მწუხარებას დედ-მამას არ ვატყობინებდი და როგორც იყო ვიმაგრებდი ცრემლებს, რომლითაც თვალები მუდამ სავსე მქონდა. ამ გვარი ჩვეულებრივი ჩემი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდა. ბოლოს ის დროც მოვიდა, რომ წრეს გავიდა ჩემი მოთმინება, დამიდგა გონება და ჩემი უბედურება უნდა გამოაშკარავებულიყო. მომივიდა ამბავი, რომ დონ-ფერნანდს შეურთოს ერთი მდიდარი და გამოჩენილი კაცის ქალი, ლამაზი, მაგრამ უმზითო. იმ ქალს სახელად ლუსცინდა ერქმევა და იმათ ქორწილეში თურმე ერთი რაღაც საშინელი ამბავი მომხდარა».

კარდენიომ, გაიგონა თუ არა ლუსცინდას სახელი, შეუთამაშეს მხრებმა, წარბები შეიჭმუხნა, ტუჩებს კბენტა დაუწყო და მსწრაფლ თვალებიდგან წყაროსავით ცრემლები გადმოსცვივდა. დოროთეას კი თავისი ლაპარაკი არ შეუწყვეტია. «მე ეს სამწუხარო ახალი ამბავი რომ გავიგე,—იმის მაგიერად რომ გავმწარებულიყავ,—ნეტავი არ იქნებოდა—ისეთ ნაირად გავშფოთდი, რომ ქუჩიდგან უნდა გადავვარდნილიყავ, იმის უსინდისობა გამექარწყლებინა და მერე ჩემა თავიც მომკლა. მაგრამ ამ ამბავს სხვა ღონის-ძიება ვამჯობინე და მეორე ღამესვე მოვიყვანე აღსრულებაში. ჩემი განზრახვა გამოუცხადე ერთ ჩემს მოსამსახურეს და იმან ეს ტანისამოსი მიშოვნა; ჩავიცვი და დავადექი გზას. იგივე მოსამსახურე გამომყვა იმ ადგილამდის, სადაც უნდა მენახა ჩემი დამღუპველი. თუმცა პირველად არ მოეწონა იმას ეს ჩემი განზრახვა, მაგრამ რომ დამატყო—მტკიცედ ვიდექი ამ აზრზედ, დამ-

თანხმდა ყველგან გამოუთქმელს, თვით ქვეყნის კიდემდისაც. იმავ წამს ჩავაწყე ტილოს პარკში ჩემი კარგი ტანისამოსი და რამდენიმე თეთრი და შუა-ღამისას გამოვიპარე ჩემი დედმამის სახლიდგან იმ მოსამსახურით. ფეხით მოვდიოდი, მაგრამ თითქოს ფრთები მესხა, ისე მოვფრინავდი ფრინველივით. მე ისე იმისათვის მივეჩქარებოდი ქალაქში, რომ—თუმცა მოღალატე დონ-ფერნანდს თავის დაჭერილ საქმეს ვეღარ დაუშლიდი—მაინც ერთი ის უნდა მეკითხა იმისთვის, როგორილა თვალებით უყურებდა ის ან თავის თავს და ან მე რა თვალითღა შემომხედავდა. მესამე დღეს მივედი იმ ქალაქში და მაშინვე ვიკითხე ლუსცინდას დედმამის სადგომი. ერთმა კაცმა ყველაფერი დაწვრილებით მაცნობა, რასაც ვკითხავდი. მაშინვე მაჩვენა იმან ჩემი შემცილებლის სახლი და ყველაფერი მითხრა კიდეც, რაც იმის ქორწილში მომხდარიყო. იმ ქალაქში ამ დროს ყველგან თურმე სულ იმ ახალ ამბავზედ იყო ლაპარაკი. შევიტყე, რომ ლუსცინდას თავის ჯვარის წერაზედ რომ ეთქვა: ქმრად მსურს დონ-ფერნანდიო,—მაშინვე დაცემულიყო და გული შესწუხებოდა; საქმრო მაშინვე მიჰშველებოდა მოსაბრუნებლად და იმის უბეში ეპოვა პატარა ბარათი, რომელშიაც თურმე სწერდა დონ-ფერნანდს, რომ შენ მე ქმრად არ მინდიხარ და ვერც გახდებიო, ამიტომ რომ ჩემი ქმარი კარდენიო არისო.—კარდენიო ყოფილა კარგი კეთილშობილი ახალგაზრდა ვაჟკაცი, იმავე ქალაქში მცხოვრები, სადაურიც თითონ ლუსცინდა იყო.—და რომ თანხმობის ნიშანი «დიახ» წარმოეთქვა, ის დედმამის მალ-დატანებითა ვსთქვიო. სხვათა შორის ის თურმე სწერდა, რომ ქორწილის შემდეგ უთუოდ მოვიკლავ თავსაო. ეს განზრახვა ნამდვილად მტკიცდებოდა იმით, რომ საქორწილო ტანისამოსის ქვეშ დამალული სატევარი უპოვნეს იმისთვის. გაცოფებული ფერნანდი გაბრაზებულიყო და ლუსცინდას უბეში ნაპოვნი სატევრითვე თურმე უნდოდა თავი მოეკლა, მაგრამ ხალხს არ გაეშვა. ამბობენ, რომ დონ-ფერნანდს მაშინვე დაენებებინა იქაურობისთვის თავი; და პატარძალი რომ მოსულიერებულიყო, მეორე დღეს გამოეცხადებინა თავის დედმამისთვის, რომ ის იწოდებოდა თურმე კარდენიოს სჯულიერ ცოლად. ამბობდნენ კიდეც, განაგრძელა დოროთეამ, ვითომ კარდენიო დამალული ყოფილიყოს იმ ჯვარის წერის დროს და ჩუმად ეყურებინოს იმ ამბისთვის.

მერე მწუხარებისაგამო გავარდნილა თურმე იმ ქალაქიდგან და ბარათი დაუ-გდია, რომელშიაც სწყევლიდა თურმე ლუსციდას, როგორც მაცდუ-რეს, და აცხადებდა, რომ ამას იქით მე ველარავინ მნახავსო. მერმედ ლუსციდაც გაპარულა სახლიდგან და სადღაც დაკარგულა. ბევრი ვეძე-ბნათ მშობლებს აქეთ იქით, მაგრამ ვერსად ვერ უპოვნიათ და არ იცო-ან რა ჰქნან: ჯავრით ლამის დაიხოცნენ. ეს ახალი ამბები რომ გავიგო-ნე, მე ცოტა სასოება მომეცა; მე ძრიელ გამიხარდა, რომ დონ-ფერნა-ნდი სულცარიელი დარჩენილა. მეგონა, რომ ჩემ მწუხარებას აღარა ეშველებოდარა, მაგრამ დონ-ფერნანდისთვის თვით ღმერთს შეეკრავს ფიცის დარღვევის გზები და მეორე ცოლის შერთვის ნება არ მიეცა, უსწავლებია, რომ ქრისტიანი თავის სულზედაც უნდა ჰფიქრობდეს, და არა მხოლოდ ქვეყნიურ სიტკბოებაზედ ამითი ვგრძნობდი მე გულს და იმედს ვამლევდი ჩემ თავს. მაგრამ არ იქნა, არა მეშველარა და სხ-ვა-და-სხვა ცუდმა შემთხვევებმა შემაძულეს სიცოცხლე. ამასობაში დავრ-ბოდი ქალაქში აქა-იქა და ვეძებდი დონ-ფერნანდს: იქნება სადმე შევხვ-დე მეთქი, მაგრამ ვერსად ვერა ვნახე და არ ვიცოდი საით წავსული გადავკარგულიყავ. ამ დროს მოვკარ ყური, რომ მეიდანზე გზირი აცხა-დებდა ჩემ შესახებ: ამა და ამ ტანის და ამა და ამ სახის ქალს ვინც იპოვის, ესა და ეს საჩუქარი არის იმისთვის დანიშნულიო. მეუფრებოდა ისიც, ვითომ მე, რომელიც მოსამსახურე გამომყვა, იმას მოვეტაცნე. ეს სიტყვები უფრო გულში ტყვიასავით მომხვდნენ. ესლა სულ სრუ-ლებით სასოწარკვეთილებაში შევედ, რაკი ესეც გავიგონე, რომ ხმა დაეგდოთ: ვითომ მე და ჩემმა მოსამსახურემ ერთმანერთი შევიყვარეთ და იმ უსკირო ბარატა ნაჯაჯლანის კაცმა მომიტაცა. რაკი ეს ამბე-ბი გავიგონე, ჩემი მოსამსახურით გავეშურე იმ ქალაქიდგან. მაგრამ ჩემ ბიჭს შევატყე, რომ ცოტა არ იყოს როგორღაც ეზარებოდა ჩე-მს უკან დევნა. რომ ველარ ვპოვნეთ, როგორც იყო მოვატანე ამ მთებს. მაგრამ ამას მართლა ამბობენ: მარტო ერთი უბედურება კაცს არ მოად-გება, არამედ ერთ უბედურებას მეორეც ზედ მოჰყვება, და დასასრული ერთი უბედურებისა არის დასაბამი მეორე უბედურებისა. ეს სწორედ მე მომივიდა. ჩემმა ერთგულმა ბიჭმა რომ ამ მთებში მარტო დამიხე-და, დაივიწყა ჩემი ქალბატონობა და ჩემი სილამაზით სარგებლობა მო-

ინდომა. რაღა ბევრი დავაგვარო, იმან მოინდომა თავის გულის წადი-
ლის აღსრულება. მე, რასაკვირველია, მძიელ მეთაკილა და მეწყინა ეს
მისი განზრახვა. ჯერ ბევრი მელაპარაკა და მეხვეწა და მერე, სიტყვით
და საქციელით რომ ვერა გააწყორა, ძალადობა დაიწყო. მაგრამ იმ დროს
ზეცამ გადმოიხედა თავისის მოწყალებით და მომცა შეძლება, რომ მო-
მეშორებინა თავიდგან მისი უწმინდური განზრახვა: მე იმას ვკარი ქოთ-
ხამდე ხელი და სკამი ჩავარდა; მას შემდეგ აღარ ვიცი, ცოცხალი დარ-
ჩა იმ სკამში, თუ მოკვდა. აღარა დავდიერი ჩემ დალაღულობას და მა-
შინვე წამოვედი იქიდგან და როგორც იყო, შიშით და ვაი-ვაგლახით,
მოვატანე ამ მთების შუა გულს. მე სხვა არაფერი განზრახვა არა მაქვს
მხოლოდ მსურს დავემალო იმათ, რომლებიც მე მეძებენ. იმ დროიდგან
რამდენიმე თვე გასულა. აქ მე ერთი მეცხვარე, შემხვდა; იმ მეცხვარემ
დიდი სიკეთე დამდო მე: მომცა ადგილი ერთ თავის ქოხში, რომე-
ლიც ამ უდაბურ მთებში სდგას. იმ მეცხვარეს ვემსახურებოდი გარე-
სასს და რაც შემეძლო ვცდილობდი, რომ ახლო არ მივკარებოდი და
იმებზედ არ ვეცნე. მაგრამ ჩემი მეცადინეობა სულ ამაო იყო: ჩემმა ალამ შე-
მატყუა, რომ მე კაცი არ ვიყავ, და იმანაც ის მოინდომა ჩემგან, რაც
ჩემმა მოსამსახურემ. რადგან კაცს ბედი ყოველთვის არ მისცემს შვე-
ლას გაჭირებაში და რადგან იმ ადგილს სხვა რამე აღარ იყო, რომ
ისევ როგორმე გადამეგდო იქიდგან; ამისგამო მე ისევ გამოქცევა ვამ-
ჯობინე და დავსახლდი ამ მიყრუებულ ადგილში. ამ გვარად მო-
ვედი ამ ტყეში და ვეძებ იმისთანა ადგილს, სადაც შემეძლებოდეს თა-
ვისუფლად და სა-მალავ დავღვარო ცრემლი და ვთხოვო ზეცას,
რომ მოწყალე მექმნას და ან ბოლომდის ამ უდაბნოში დამარჩინოს,
ან სრულებით მოსპოს ქვეყანაზედ ჩემი სახსენებელი, რომ ყველამ თა-
ვი დამანებოს, აღარა მეძიებდნენ, და ამ რიგად მოვისვენო მე გაუბედუ-
რებულმა და ბედ-შეკრულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თავი 29.

**აქ კარდენიო და დოროთეა გამოუმცნაურებიან ერთმანეთს, და შემდეგ მღვდელი, დალაქი და ისინი დაასწყობენ პირობაებს და წავლენ დონ-კი-ხოტის საძებნელად.**

დოროთეამ რომ დაასრულა თავისი სამწუხარო ამბავი, სთქვა: «ეს იყო ჩემი ვინაობის ნამდვილი და ჭეშმარიტი ამბავი. ახლა თქვენ გასინჯეთ: როგორც მხედავთ, ამაზედ მეტი რაღა უნდა ვქნა და ამაზედ მეტად როგორ ვიტირო და ვიწუხარო. თქვენცა ჰხედავთ, რომ ყველაფერი ღონის-ძიება და ნუგეში ჩემთვის ფუჭია,— ჩემ მწუხარებას აღარა ეშველებარა. თქვენ მხოლოდ ამას გთხოვთ, რომ მიჩვენოთ სადმე იმისთანა საიმედო ადგილი, სადაც შემეძლებოდეს თავისუფლად გავატარო ჩემი სიცოცხლის დანარჩენი დრო; აქ მე მეშინიან, კაი თუ მაპოვნონ ჩემმა მაძებრებმა. ამის აღსრულება თქვენ ადვილად შეგიძლიანთ. როგორც ვიცი მე ჩემის მშობლების სიყვარულისაგან, შინ რომ დავბრუნდე, დიდის სიხარულით მიმიღებენ, მაგრამ ისეც ვიცი რანაირი ეჭვა ეცემათ, რომ მნახვენ ასე საცოდავად გამხდარს, გაუკითლებულს და სრულებით შეცვლილს. ამისთვის ისევ ამას ვარჩევ, სრულებით არ ვნახონ ჩემ მშობლებს და აღარა ვნახო იმათი მწუხარება, როცა მიხვდებიან თავიანთ საუკუნოდ დაღუპულს და ქვეყანაში შერცხვენილ ქალს». უკანასკნელ სიტყვაზედ საწყალი ქალი ჩაჩუმდა და გაწითლდა. იმის სიტყვის ამამღვრეველი სირცხვილი და სინანული გამოაცხადა მისმა პირისახის გაწითლებამ. ამ ამბის მსმენელნი აღიძრნენ უბედურისადმი თანაგრძნობით და მეტის-მეტად შეეცოდათ საწყალი ქალი. მღვდელს უნდოდა დაემშვიდებინა, მაგრამ კარდენიომ დაასწრო. «რა ბძანეთ, ქალო? თქვენ მშვენიერი დოროთეა ბრძანდებით, მდიდარი კლენარდოს ქალი?» დოროთეა გაჰკვირდა, რომ გაიგონა თავის მამის სახელი და, ამის მთქმელის ტანისამოსს რომ შეჰხედა, ჰკითხა მას: «თქვენ ვინა ბრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბიბლიოგრაფიო განცხადება.

მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, ეფიანჯის და ალადათოვის წიგნების მაგაზიებში, სემინარიაში (იაკ. გოგებაშვილთან) და «მნათობის» რედაქციაში ისყიდებიან:

გ ა ბ რ ი ე ლ ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი ს ქადაგებანი და მოძღვრებანი. ფასი მანეთ-ნახევარი, მომსხო ქაღალდზედ ორი მანეთი

კაცია, ადამიანი, მოთხრობა თ. ილია ჭავჭავაძისა. ფასი ათი შაური.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეოთხე გამოცემა. ფასი ყველგან ორი შაური.

ბუნების კარი, საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სასწავლებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, საქართველოს კარტით. ფასი ყველგან ცამეტი შაური.

საქართველოს კარტა, გამოცემული ი. გოგებაშვილისაგან. ფასი ექვსი შაური.

რუსული ენის დაწყებითი პრაკტიკული კურსი ქართველთათვის, შედგენილი გ. ქ—შვილის მიერ, მეორე გამოცემა. ფასი სამი აბაზი.

ამბები ძველი დროების ხალხებისა. ნაწილი პირველი. უწინდელი ინდოელები და ეგვიპტელები, რუსულიდამ ნათარგმნი. ფასი სამი შაური.

არითმეტიკა, შედგენილი ვასტანგ თულაშვილისაგან და მ. ყიფიანისაგან. ფასი სამი შაური.

თ. გიორგი ერისთავის თხზულებანი, ავტორის პორტრეტით. პირველი და მეორე ნაწილი. ფასი სამი აბაზი თბილისში.

ქატა-აწონა, კომედია, თხზ. დ. მეღვინეთხუცესიშვილისა. ფასი ერთი შაური.

ეთერიანი. ამბავი აბესალომ და ეთერისა. ფასი სამი შაური.

სინოპტიკური კალენდარი 1870 წ. ფასი ორი შაური.

პაწაწინა კალენდარი 1870 წ. ფასი ხუთი გროში.

სასიმღერო ლექსები. ფასი ერთი შაური.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«მნათობი» ამ 1870 წელში გამოდის იანვრიდგან ყოველ თვეს. თითო წიგნის სივრცე იქნება შვიდიდგან ათ თაბახამდის.

—

ამ 1870 «მნათობის» ფასი:

მთელი წლისა—გაგზავნით ყველა ალაგებში 8 მანეთი.
ნახევარ წლის ხელის მოწერა არ მიიღება, გარნა მთელი წლის ფასი შეიძლება შემოიტანონ ორნაწილად—ოთხ-ოთხი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში, «მნათობის» რედაქციის კონტორაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, დავით ავალოვის სახლებში.

აგრეთვე ჟ. ალადათოვის წიგნების მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ.

გარეშე ხელის-მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ ზემოხსენებული ადრესით.

გამ. ი[illegible]შვილი. რედ. ნ. ავალიშვილი.